ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისათვის

№ 5(305) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

აუდიტი
აღრიცხვა
ფინანსები

პლუს

ინფო კონსულტანტი

დამოუკიდებელი გამოცემა

იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – ლევან ნატროშვილი:
სოციალურად დაუცველი მოქალაქეების რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზეა – ყოველი მეხუთე ადამიანი შემწეობას იღებს

ჟურნალის პარტნიორი – ბოდნისა აუდიტური კონცერნი

გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER “AAF-MANAGEMENT” LTD

შინაარსი

ინფორმაცია საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ 3

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: მაისი-2025 6

ნათია სხვიტარიძე

ბუღალტრული პროფესიის მომავალი: როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზაცია პროფესიას 13

გიორგი ცერცვაძე

გასაჯაროვდა საქართველოს აუდიტური კომპანიების 2024 წლის მაჩვენებლები შემოსავლების მიხედვით 15

მაკა ხარაზიშვილი

ლარის გამყარების სამი მიზეზი 19

თემურ იობაშვილი

სავალუტო ფონდის შეჩერებული $280 მილიონიანი პროგრამის ბედი კვლავ გაურკვეველია 22

ლევან ნატროშვილი

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზეა – ყოველი მეხუთე ადამიანი შემწეობას იღებს 25

მაკა ხარაზიშვილი

დეპუტატების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები 28

კითხვა-პასუხი 35

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის 43

ფრიდონ კერვალიშვილი

გრენლანდიის ყიდვა და კანადის შტატად შემოერთება – ტრამპის სურვილები და რეალობა 45

უცხოური ვალუტის კურსები 51

გენერალური დირექტორი: **ფრიდონ ალშიბაია**.

მთავარი რედაქტორი: **გიორგი ცერცვაძე,** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: **თემურ იობაშვილი** (მთ. რედაქტორის მოადგილე), **მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი** (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), **მაკა ხარაზიშვილი.**

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: **ფრიდონ ალშიბაია** (საბჭოს თავმჯდომარე), **ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოღონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ წულაია.**

იურისტ-კონსულტანტი: **გიორგი ბოჭორიშვილი.**

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: **info@aaf.ge** ვებგვერდი: **www.aaf.ge**

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფრთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და

„ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)
ღირებულებაა 120 ლარი.

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,
ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);
(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: **ელზა ოთიაშვილი** (სამს. უფროსი), **მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი** (ბათუმი), **ბექა დოღონაძე** (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“

საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

წესდებით ფონდის საქმიანობა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების გამთლიანებას, სოციალურად დაუცველი ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერას, ასევე იმ ნიჭიერი სტუდენტებისა და მოსწავლეების წახალისებასა და მხარდაჭერას, რომლებსაც აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება და განსაკუთრებული მიღწევები. წესდება ითვალისწინებს მზრუნველობამოკლებული და ობოლი ბავშვების და მათი ოჯახებისთვის დახმარების გასაწევად კულტურული პროექტების განხორციელებას. ფონდი თავისი მიზნების განსახორციელებლად იღებს შემოწირულებებს მისი საქმიანობით დაინტერესებული საქართველოსა და უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, რომლებსაც სურვილი აქვთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ფონდის მიერ დასახული მიზნების განხორციელებაში.

ფონდის ანგარიშზე ირიცხება:

– მოქალაქეთა შემოწირულებები, რაც სრულად ხმარდება ქველმოქმედებას.

– ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შემოწირული მიზნობრივი თანხები, კონკრეტული საქველმოქმედო მიზნისთვის და სხვადასხვა კონკრეტული საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზებისთვის.

– ფონდის უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული და სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, რითაც ასევე ფინანსდება სხვადასხვა სახის ქველმოქმედება და ადმინისტრაციული ხარჯები.

– ფონდი „იავნანა“ თავის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას რეგულარულად აქვეყნებს თავის ოფიციალურ ფეისბუკ- და ვებგვერდებზე.

ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველთვის გამჭვირვალეა. ყოველწლიურად ქვეყნდება წლიური ანგარიში, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რაში დაიხარჯა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები. ზედმიწევნით სრულდება ყველა საგადასახადო მოთხოვნა.

შემოსულობები და ხარჯები - 2024		
ანგარიში	**დასახელება**	
	შემოსულობები	**237426.94**
	შემოწირულებები	**5208,5**
	საქველმოქმედო ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები	**5720**
	იჯარით გაცემული ფართიდან შემოსავლები და სხვა	**180717,92**
6190 1	შემოწირულებები	**12056.25**

6190 2	საქველმოქმედო ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები	**1135.0**
6130 6135 6140	იჯარით გაცემული ფართიდან შემოსავლები და სხვა	**174240.06**
6110	შემოსავლები რეალიზაციიდან	**8474.5**
6199	სხვა შემოსავლები	
8180	დადებითი საკურსო სხვაობები	**5.87 -**
8110	საპროცენტო შემოსავლები	**41515.26**
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	
	ხარჯები	**355810,27**
	შრომის ანაზღაურება	**131750**
7110; 7190; 7190 2; 7190 3	საქველმოქმედოდ გაწეული და საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები ფულადი და ნატურალური ფორმით. + წარმომადგენლობითი	**82662.8**
7210-7290	სასაქონლო მატერიალური მარაგები/კორექტირება	
7310,7311	ბეჭდვითი და რეკლამის ხარჯები	**10125.99**
7410	შრომის ანაზღაურება	**136681.35**
7430	კომუნიკაციის ხარჯი	**24634.55**
7445	კომპიუტერის ხარჯები	**4651.8**
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	**46.768.20**
7465	ქონების გადასახადი	**12823.74**
7435+7444+7450+7451	დაზღვევის ხარჯი, საკანცელარიო, საკონსულტაციო, მივლინება	**15658.62**
7446	საწვავის ხარჯი	**5065.8**
7440+7447	რემონტის ხარჯი	**10249.19**
7490-7499	სხვადასხვა ხარჯები	**5879.35**
8290	ბანკის მომსახურების ხარჯი	**598.0**
8210	საპროცენტო ხარჯები	
8280	უარყოფითი საკურსო სხვაობა	**10.88**

2024 წლის შედეგების მიხედვით ფონდის ფინანსური ანგარიშის მოკლე მიმოხილვა შემდეგ სურათს გვაძლევს:

შემოსულობები სულ შეადგენს: 237426,90 ლარს. მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1135 ლარი და შემოწირულებებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 12056,20 ლარი შეადგინა, რაც პირდაპირ მოხმარდა ბენეფიციარებს. ფონდის სხვა შემოსავლებმა ეკონომიკური საქმიანობიდან და სხვადასხვა არასაოპერაციო შემოსავლებმა სულ 224.235,69 ლარი შეადგინა, რაც ძირითადად მიმართული იყო ფონდის საერთო-ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად და სხვადასხვა ქველმოქმედებაზე.

2024 წლის ხარჯები სულ 355.810,20 ლარს შეადგენს. მ.შ. ქველმოქმედებაზე და საქველმოქმედო ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა 82.662,80 ლარი შეადგინა. სოციალურად დაუცველი ოჯახების თანადგომა ფონდისთვის ისევ ძირითად პრიორიტეტად რჩება. ამ ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა უმძიმესია. მათი უმეტესობა ცხოვრობს იძულებით გადაადგილებულთა საერთო საცხოვრებლებში, ბარაკებში, ავარიულ ბინებში და ისიც არ არის მათ საკუთრებაში. მათი ერთადერთი შემოსავალი სოციალური დახმარებაა. 2024 წელს სოციალური მუშაკების დახმარებით მოხდა განსაკუთრებით გაჭირვებული ოჯახების შერჩევა. მიუხედავად იმისა, რომ „იავნანას“ შესაძლებლობები ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეზღუდულია, წლის განმავლობაში გაწეულმა ქველმოქმედებამ 79.101 ლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფონდის საქმიანობაში ნიჭიერ სტუდენტთა და მოსწავლეთა დახმარებისა და წახალისების პროგრამას. წახალისების პროექტის ფარგლებში, 2006 წლიდან პაატა ბურჭულაძის სახელობის სტიპენდია დაწესებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში წლის ყველაზე წარჩინებულ სტუდენტს, თვეში 250 ლარის ოდენობით. 2015 წლიდან ფონდ „იავნანას“ გამგეობის გადაწყვეტილებით, დაწესებულია ფონდ „იავნანას“ სახელობითი სტიპენდიები. დებულების თანახმად, სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სტიპენდია დანიშნული აქვს 5 უნივერსიტეტის ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე თითო სტუდენტს, თვეში 300-300 ლარის ოდენობით.

ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროექტის ფარგლებში ფონდმა „იავნანა“ პიანისტ სანდრო გეგეჭკორს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსზე ქალაქ დიუსელდორფში გასამგზავრებელი ავიაბილეთი შეუძინა. ახალგაზრდა თაობის გამორჩეული პიანისტი სანდრო გეგეჭკორი არის არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული. სანდრო ჯულიარდის სკოლაში სწავლობს და პარალელურად მართავს კონცერტებს სხვადასხვა ქვეყნებში.

ფონდმა ფინანსური დახმარება გაუწია ქ. თბილისის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 სამუსიკო სკოლას, რომელსაც 2015 წლიდან ეხმარება. ამჯერად ფინანსური დახმარება მოხმარდა სკოლის დაარსებიდან 65 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტის ორგანიზებას. სასულე ორკესტრი წელს 50 წლის ხდება. გარდა ამისა, წელს ოთარ თაქთაქიშვილის დაბადებიდან 100 წელი სრულდება.

2024 წელს სტიპენდიებმა და სწავლის საფასურის სახით გაწეულმა დახმარებამ 19403 ლარი შეადგინა.

10 მარტს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში „იავნანას" ეგიდით გაიმართა ცნობილი უნგრული შემოქმედებითი კოლექტივის – წმინდა ეფრემის სახელობის მამაკაცთა გუნდის კონცერტი. შესრულდა 2022 წელს უნგრელი კომპოზიტორის ვიქტორ პაპის მიერ შექმნილი „რექვიემი". ამ ნაწარმოებით ავტორმა პატივი მიაგო უკრაინის ომში დაღუპულ უდანაშაულო, მშვიდობიან მოსახლეობას. რექვიემი დაიწერა ლიტერატურული ტექსტების გამოყენებით უკრაინულ და ლათინურ ენებზე. ვიქტორი უნგრეთის მოქალაქეა, დაიბადა უკრაინაში, მისი დედა კი რუსეთიდანაა. ამიტომ აღმოჩნდა კომპოზიტორისთვის კიდევ უფრო მტკივნეული ეს უსამართლო ომი და თანამოაზრეებთან და წმინდა ეფრემის სახელობის მამაკაცთა გუნდთან ერთად შექმნა პროექტი „გზა მშვიდობისკენ". პროექტის პრემიერა გასულ წელს უკვე შედგა ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში.

24 აპრილს ფონდში „იავნანა" პაატა ბურჭულაძის მუსიკალურ სალონში გაიმართა სალონური საღამო, რომელსაც დაესწრნენ სტუდენტები. სალონურ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს რეზი მარშანიამ, ანა ფალავანდიშვილმა. პაატა ბურჭულაძის სტუდიის მოსწავლეებმა. საღამოს ესწრებოდა ნინო ქათამაძე.

ფონდი „იავნანას“ მუსიკალური სალონი მთელი წლის მანძილზე მასპინძლობდა ახალი თაობის ხელოვანებს რეპეტიციებისა და ახალი შემოქმედებითი პროექტების შექმნის ხელშესაწყობად.

საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვა

საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვა – **ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.**

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: მაისი-2025

საქართველოს საპენსიო ფონდისა და შემოსავლების სამსახურის ერთობლივი ბრძანება

– 08.05.2025-ში მიღებული საპენსიო ფონდისა და შემოსავლების სამსახურის ერთობლივი №06/№01 ბრძანებით დამტკიცდა „საპენსიო შენატანების განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ წესი“.

წესი ვრცელდება 2025 წლის 1 მაისიდან მიღებულ ხელფასთან/თვითდასაქმებულის შემოსავალთან დაკავშირებულ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის საფუძველზე საპენსიო შენატანის განხორციელებაზე, რომელიც უნდა შესრულდეს შემოსავლების სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერით და საპენსიო ფონდის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2025 წლის 1 მაისამდე არსებულ/წარმოშობილ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულებაზე ვრცელდება საპენსიო ფონდის მიერ დამტკიცებული „საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის, ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის და საპენსიო შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ღონისძიებების და პროცედურების შესახებ ინსტრუქციით“ განსაზღვრული წესები და პირობები.

საპენსიო შენატანების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით შემოსავლების სამსახური და საპენსიო ფონდი უზრუნველყოფენ შემოსავლების სამსახურის სისტემასა და ელექტრონულ სისტემას შორის მონაცემების მიმოცვლას და სერვისის აწყობას, რომლის გათვალისწინებითაც, დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო დეკლარაცია, რომლის მონაცემები ასახულია გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, დაფიქსირდება ელექტრონულ სისტემაში, რაც დააინიციირებს საპენსიო დეკლარაციის ავტომატურად გენერირებასა და წარდგენა-დახურვას, ამ წესით დადგენილი პირობების შესრულების შემთხვევაში.

წესის მიზნებისათვის, პირის თვითდასაქმებულ პირად იდენტიფიცირებას მოახდენს საპენსიო ფონდი, ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციისა და შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

შემოსავლების სამსახურის სისტემის მეშვეობით, საპენსიო ფონდს გადაეცემა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, მათ შორის, შემდეგი ინფორმაცია:

ა) საშემოსავლო დეკლარაციის წარდგენის დრო (თარიღი, საათი, წუთი, წამი);

ბ) საშემოსავლო დეკლარაციაში ასახული პირის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);

გ) საშემოსავლო დეკლარაციის სახე;

დ) განხორციელებული განაცემი/მიღებული შემოსავალი;

ე) განაცემის თარიღი (განაცემის არსებობის შემთხვევაში).

დამსაქმებელი ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადაში და არაუგვიანეს აღნიშნული ვადისა უზრუნველყოს საბალანსო თანხის გადარიცხვა/ჩარიცხვა საპენსიო ფონდის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე.

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია მოიცავს სვეტს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელითა და ხარჯით განსახორციელებელი საპენსიო შენატანის (დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით) შესახებ, რომელიც ივსება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში შესაბამისი დასაქმებულის ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, ხოლო ჯამური საპენსიო შენატანის მოცულობის თანხის (დამსაქმებლის მიერ საკუთარი ხარჯით, დასაქმებულის სასარგებლოდ განსახორციელებელი საპენსიო შენატანი (დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით) და დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელითა და ხარჯით განხორციელებული საპენსიო შენატანის (დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით)) შესახებ ინფორმაციის დამსაქმებლისათვის მიწოდებას უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახური, შემოსავლების სამსახურის სისტემის მეშვეობით, შესაბამისი საშემოსავლო დეკლარაციის წარდგენისას.

იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლის მიერ საშემოსავლო დეკლარაციის წარდგენისას/დეკლარაციის წარდგენის შემდგომ დამსაქმებლის ელექტრონულ

გვერდზე არ ფიქსირდება სათანადო მოცულობის საბალანსო თანხა, რაც საჭიროა საპენსიო შენატანის განხორციელებისათვის, ასეთ შემთხვევაში, საპენსიო ფონდი უფლებამოსილია ელექტრონული სისტემის ან შემოსავლების სამსახურის სისტემის მეშვეობით აცნობოს დამსაქმებელს აღნიშნულის შესახებ.

თვითდასაქმებული ვალდებულია გათვალისწინებული საპენსიო შენატანის განხორციელების მიზნით, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია/ საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადაში და არაუგვიანეს აღნიშნული ვადისა უზრუნველყოს საბალანსო თანხის შესაბამისი მოცულობის გადარიცხვა/ჩარიცხვა საპენსიო ფონდის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე.

საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია/ საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია მოიცავს გრაფას თვითდასაქმებულის საპენსიო შენატანის (თვითდასაქმებულის შემოსავლის 4 პროცენტის ოდენობით) თაობაზე, რომელიც ივსება აღნიშნულ დეკლარაციაში შესაბამისი თვითდასაქმებულის შემოსავლის ოდენობის გათვალისწინებით. დეკლარაციის წარდგენისას ინფორმაცია მიეწოდება თვითდასაქმებულს, განსახორციელებელი საპენსიო შენატანის შესაბამისი ოდენობის საბალანსო თანხის გადარიცხვის/ჩარიცხვის საჭიროებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები

– ფინანსთა მინისტრის მიერ 02.05.2025-ში მიღებული №108 ბრძანებით, ცვლილება განხორციელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციაში.

„საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) 35-ე მუხლს დამატებული 1^1 პუნქტის მიხედვით, როდესაც საწარმო ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა, მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში ან გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემა „ORACLE“-ში დაშვების მიზნით სურს შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს განცხადება, ეს უკანასკნელი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას „eCustoms“-ში საბაჟო დეკლარაციის/ რეექსპორტის დეკლარაციის უშუალოდ შემვსები ფიზიკური პირ(ებ)ის შესახებ,რომლებიც განმცხადებლის მიერ დაქირავებულნი არიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

არასრულად შევსებული განცხადება უბრუნდება განმცხადებელს, განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში და, იმავდროულად, განესაზღვრება ხარვეზის აღმოფხვრის ვადაც.

განცხადებით გათვალისწინებული ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენიდან 10 დღის ვადაში შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მიიღება გადაწყვეტილება პირის „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ დაშვების თაობაზე, ხოლო დაშვებისთვის აუცილებელი მონაცემები „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ დაშვებულ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ეგზავნება მათ მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (www.rs.ge) ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე.

ცვლილება შევიდა ასევე „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენებით საერთო ტრანზიტის პროცედურის განხორციელების საბაჟო ფორმალობების შესახებ“ ინსტრუქციაშიც (დანართი №20), პირველი მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატა 1^1 და 1^2 პუნქტები:

„1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონელი, „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ შევსებული ტრანზიტის დეკლარაციის საფუძველზე, გადაადგილდება:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ტრანზიტულად გავლისას (საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტით);

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის/გარე გადამუშავების საბაჟო პროცედურით ან რეექსპორტით გატანისას (საავტომობილო ან საზღვაო ტრანსპორტით).

1^2. TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში „სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ რეგისტრირებული ტრანზიტის დეკლარაციის გამოყენება სავალდებულო არ არის.“

ამავე ბრძანებით განისაზღვრა საერთო ტრანზიტის პროცედურის განხორციელებისას ტრანზიტის დეკლარაციის გრაფების შევსების წესი (მუხლი 4^1).

ტრანზიტის დეკლარაციის მონაცემები დაყოფილია 9 განყოფილებად: ტრანზიტის პროცედურა (ზოგადი), ტრანზიტის პროცედურა (ძირითადი), მხარეები, ტრანზიტის გარანტიები, ტრანზიტის ავტორიზაციები, ქვეყნები და საბაჟო ოფისები, სასაქონლო პარტია, სასაქონლო პარტიათა ნაკრები და დოკუმენტები. ტრანზიტის დეკლარაციის მითითებული 9 განყოფილება პროცედურის მფლობელის მიერ ივსება ამ მუხლით განსაზღვრული წესით. ასევე დაემატა დანართი №20-I-04 („ტრანზიტის დეკლარაცია“).

„ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენებით საერთო ტრანზიტის პროცედურის განხორციელების საბაჟო ფორმალობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20) მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული „აუდიტორული დასკვნის“ წარდგენის ვალდებულება „ახალ კომპიუტერიზებულ სატრანზიტო სისტემაში (NCTS)“ ამ ბრძანების გამოქვეყნებამდე დაშვებულ პირებს წარმოეშობათ 2025

წლის 15 სექტემბრიდან.

– ფინანსთა მინისტრის მიერ 27.05.2025-ში მიღებული №126 ბრძანებით თანახმად, ტრანზიტის პროცედურაში მოქცეულ საქონელზე CTS დეკლარაციის სავალდებულო გამოყენების ვადა 1 ივლისამდე გადაიწია.

2025 წლის 1 თებერვლიდან,საქართველო შეუერთდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების მე-13 დანართით გათვალისწინებულ – საერთო სატრანზიტო კონვენციასა და საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების კონვენციას და გახდა ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) ნაწილი. რომლის შესაბამისადაც სავალდებულო გახდა NCTS დეკლარაციის გამოყენება, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტით გადაადგილებული (TIR წიგნაკით გადაზიდვის შემთხვევების გარდა), გარე გადამუშავების, ექსპორტის პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებული საქონლის მიმართ, ხოლო ტრანზიტის პროცედურაში მოქცეულ საქონელზე ეს ვალდებულება განსაზღვრული იყო 1 ივნისიდან.

– შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ 16.05.2025-ში მიღებული №9857 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდურ მითითებაში, რომლის თანახმად, მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვის შემთხვევაში (თუ მემკვიდრე არ აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას) თუ ჩამოწერის პირობები შეესაბამება საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა[1]“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა უნდა მოხდეს გარდაცვლილი პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი პირის საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში (თუ მემკვიდრე არ აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას, რის შესახებაც წარმოადგენს შესაბამის წერილობით განმარტებას),საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა მოხდება გარდაცვლილი პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილებები

– 29.05.2025-ში მიღებულ იქნა ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილება №132 გადაწყვეტილება, რომელიც ეხება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის მიერ საკუთარი წევრებისთვის დადგენილი საწევროს სანაცვლოდ გაწეული მომსახურებისა და შეგროვებული ნარჩენების მიწოდების დღგ-ით დაბეგვრას. №132 გადაწყვეტილებაში განხილულია ორი მომენტი:

1. საკუთარი წევრებისთვის დადგენილი საწევროს სანაცვლოდ მომსახურების გაწევა – *სსკ-ის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,სსკ-ის 170-ე და 171-ე მუხლებით გათვალისწინებული დასაბეგრი ოპერაციები დღგ-სგან გათავისუფლებულია დღგ-ის ჩათვლის უფლების გარეშე, რაც ნიშნავს, რომ ამ ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში დასაბეგრ პირებს უფლება არ აქვთ ჩაითვალონ დღგ, ამ ოპერაციებზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით.*

სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია ორგანიზაციის მიერ მისი საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, საკუთარი წევრებისთვის დადგენილი საწევროების სანაცვლოდ მომსახურების გაწევა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული საქონლის მიწოდება.

ამის გათვალისწინებით, სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისთვის განმსაზღვრელია,რომ მომსახურების გაწევა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული საქონლის მიწოდება ორგანიზაციის მიერ ხდებოდეს საკუთარი წევრებისთვის დადგენილი საწევროების სანაცვლოდ. ასევე, გაწეული მომსახურება და მასთან უშუალოდ დაკავშირებული საქონლის მიწოდება არ უნდა სცილდებოდეს ორგანიზაციის საქმიანობის მიზანს.

მგვ-ის ორგანიზაციისთვის მისი წევრის მიერ რეციკლირების წინასწარი შენატანის (საწევროს) გადახდის მიზანი არის ბაზარზე განთავსებული პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად მგვ-ის ორგანიზაციის მიერ მართვის ანაზღაურება. რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა მგვ-ის ორგანიზაციის მიერ, მისი საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, საკუთარი წევრებისთვის ანაზღაურების (დადგენილი საწევროების) სანაცვლოდ მომსახურების გაწევა.

შესაბამისად,სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, მგვ-ის ორგანიზაციის მიერ წევრებისთვის ზემოხსენებული მომსახურების გაწევა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული საქონლის მიწოდება თავისუფლდება დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე.

2. შეგროვებული ნარჩენების მიწოდება – *სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია იმ ორგანიზაციის მიერ მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება, რომლის საქმიანობა გათავისუფლებულია ამ ნაწილის „ა“, „ე“ და „ზ“–„ლ“ ქვეპუნქტებიდან რომელიმე ქვეპუნქტის საფუძველზე, მხოლოდ საკუთარი საქმიანობის*

მიზნით სახსრების მოზიდვისთვის ორგანიზებული ღონისძიებების ფარგლებში.

ამის გამო, პირის მიერ ღონისძიების ორგანიზების ფარგლებში მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე, თუ არსებობს ყველა შემდეგი პირობა:

– პირის საქმიანობა, რომელიც ახდენს ღონისძიების ორგანიზებას, გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ე“ და „ზ“–„ლ“ ქვეპუნქტების თანახმად.

– პირის მიერ მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება უნდა ხორციელდებოდეს ღონისძიების ორგანიზების ფარგლებში.

– ღონისძიების ორგანიზების მიზანი უნდა იყოს მხოლოდ საკუთარი საქმიანობის მიზნით სახსრების მოზიდვა.

ამ გადაწყვეტილებაში საუბარია დღგ-ის ნაწილში სსკ-ით დადგენილ საგადასახადო შეღავათებში გამოყენებული ტერმინების მკაცრად განმარტების საჭიროებაზე, რადგან ეს შეღავათები წარმოადგენენ გამონაკლისს საერთო წესისგან, რომლის მიხედვითაც, დასაბეგრი პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ განხორციელებული თითოეული საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა უნდა იბეგრებოდეს დღგ-ით. ამავე დროს, შესაბამისი ტერმინის განმარტება უნდა ითვალისწინებდეს მიზნებს, რომლებსაც ისახავს კონკრეტული შეღავათი. რის გამოც, საგადასახადო შეღავათის განსაზღვრისთვის გამოყენებული ტერმინები არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს შეღავათით განსაზღვრული შედეგის მიღწევა.

როგორც აღინიშნა, მგვ-ის ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და, შესაბამისად, კმაყოფილდება პირველი პირობა. რაც შეეხება მეორე და მესამე პირობას, მოცემული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისთვის, მნიშვნელოვანია განიმარტოს ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც გაწეული მომსახურება თუ საქონლის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე. განსახილველი შეღავათის მიზანი არ არის ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის დღგ-ისგან გათავისუფლება. შესაბამისად, რეგულარული ხასიათის საქმიანობა ვერ განიხილება ღონისძიებად მოცემული შეღავათის მიზნისთვის.

შესაბამისად, სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის მიზნისთვის, ღონისძიებად ჩაითვლება თავშეყრა, რომელიც ცალსახად ორგანიზებულია ორგანიზაციის საქმიანობის მიზნისთვის სახსრების მოსაზიდად, როგორიცაა გამოფენა, წარმოდგენა, ბაზარი, კონკურსი, ფილმის ჩვენება და სხვა, და მასში არ იგულისხმება შემოსავლის მომტანი შემთხვევითი ღონისძიებები და იმ სახის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ორგანიზაციისთვის რეგულარული ხასიათისაა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტით დადგენილი საგადასახადო შეღავათის მიზნისთვის, მგვ-ის ორგანიზაციის მიერ დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით შეგროვებული ნარჩენების რეალიზაცია არ წარმოადგენს შეღავათით გათვალისწინებული ღონისძიების ფარგლებში საქონლის მიწოდებას, რამდენადაც ეს საქმიანობა, მისი შინაარსით ორგანიზაციისთვის რეგულარული ხასიათისაა. შესაბამისად, **მგვ-ის ორგანიზაციის მიერ შეგროვებული ნარჩენების მიწოდებაზე არ ვრცელდება სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტით დადგენილი საგადასახადო შეღავათი.**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებები

– ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 16.05.2025-ში მიერ მიღებულ იქნა №ნ-5 ბრძანება **„საზოგადოებრივი დაინტერესების პირისთვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმის მიერ გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“.**

მოცემული წესი განსაზღვრავს აუდიტორული საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, საზოგადოებრივი დაინტერესების პირის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმების მიერ გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენისა და გამოქვეყნების პროცედურებს.

წესი მიზნად ისახავს სდპ-ისთვის აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელი აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორული მომსახურების მიმართ გაზარდოს ინვესტორთა და მომხმარებელთა ნდობა. ასევე ხელი შეუწყოს ფინანსურ გამჭვირვალობასა და ეკონომიკურ ზრდას აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების/რეგულაციების მოთხოვნებთან მიახლოებით.

წესის თანახმად, აუდიტორული ფირმა ვალდებულია თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებით გაასაჯაროოს გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიში არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 მაისისა. თუ აუდიტორული ფირმის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, ის ვალდებულია გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიში გაასაჯაროოს თითოეული ფინანსური წლის დასრულებიდან 4 თვეში.

გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში. აუდიტორული ფირმის მიერ უკვე გამოქვეყნებული ანგარიშის განახლების შემთხვევაში, აუდიტორული ფირმა ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშის

განახლების შესახებ ინფორმაციის მითითება და ანგარიშის თავდაპირველი ვერსიის ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა.

ასევე აუდიტორულ ფირმას აქვს ვალდებულება განცხადების მატერიალური ან ელექტრონული ფორმით (სამსახურის ვებგვერდზე (www.saras.gov.ge) არსებული მეილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით: https://saras.gov.ge/ms/) წარდგენით 5 სამუშაო დღეში შეატყობინოს სამსახურს გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიშის თავის ვებგვერდზე გამოქვეყნების თუ განახლების შესახებ.

– 16.05.2025-ის აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №6-6 ბრძანებით დამტკიცდა **„აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის კომიტეტისთვის წარსადგენი დამატებითი ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის წესი“**.

ეს წესი არეგულირებს საზოგადოებრივი დაინტერესების პირისთვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტირებული სდპ-ის აუდიტის კომიტეტისთვის წარსადგენი დამატებითი ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის წესს.

წესის მიხედვით, აუდიტორული მომსახურების განხორციელებისას აუდიტორულმა ფირმამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. აუდიტორმა თუ აუდიტორულმა ფირმამ წერილობით ან ელექტრონულად უნდა ასახოს ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას და მათი შემცირებისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, სუბიექტს გაუწიოს აუდიტორული მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სუბიექტსა და აუდიტორულ ფირმას, მის სისტემაში არსებულ პირებსა და იმ ფიზიკურ პირს შორის, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს აუდიტორული მომსახურების შედეგებზე, ფინანსური, პიროვნული, საქმიანი, შრომითი ურთიერთობით ან სხვა არსებული ან შესაძლო სამომავლო ურთიერთობით გამოწვეული ინტერესთა შეუთავსებლობის ან მუქარის გამოყენების საშიშროება, რომლის საფუძველზედაც ობიექტურმა, ინფორმირებულმა და გონიერმა მესამე პირმა შეიძლება დაასკვნას, რომ აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას საფრთხე ექმნება.

ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვლება აუდიტორული ფირმისა და ზემოთ აღნიშნული პირის მიერ იმ სუბიექტის წილების/აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა, რომელსაც ის აუდიტორულ მომსახურებას უწევს, ან რომლის ფინანსურ შედეგებზე გავლენის მოხდენა სხვა საშუალებებით შეუძლია, გარდა საინვესტიციო ფონდის შუამავლობით არსებითი არაპირდაპირი ფლობისა. ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვლება, ასევე, ამ სუბიექტთან დაკავშირებული სხვა სუბიექტის წილების, აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა, თუკი ამან შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა შეუთავსებლობა.

აუდიტორულ ფირმას ან იმ ქსელის ნებისმიერ სხვა წევრს, რომელშიც ეს აუდიტორული ფირმაა გაერთიანებული, არ აქვს უფლება, აუდიტისადმი დაქვემდებარებულ იმავე სდპ-ის სუბიექტს, მის მშობელ საწარმოს ან მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებულ საწარმოს (საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ფარგლებში) გაუწიოს კანონის 14^1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული არააუდიტორული მომსახურებებიკანონის ამავე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ფირმამ ყოველწლიურად, წერილობითი ფორმით უნდა დაუდასტუროს აუდიტის კომიტეტს, რომ სდპ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორი, აუდიტორული ფირმა და გარიგების პარტნიორები, სხვა საკვანძო პერსონალი, რომლებიც ატარებენ სდპ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, დამოუკიდებლები არიან აუდიტირებული სუბიექტისგან.

აუდიტის კომიტეტისათვის განკუთვნილი დამატებითი ანგარიში შედგენილი უნდა იყოს 2025 წლის 1 სექტემბრის შემდგომ დაწყებულ ან გაგრძელებულ სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

საფინანსო სფეროში შეტანილი ცვლილებები

– ეროვნული ბანკის მიერ 01.05.2025-ში მიღებული №114/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესში“.

წესის მე-6 მუხლს (ფულადი ჯარიმის დაკისრებისა და აღსრულების წესი) დაემატა 6^1 მუხლი – ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის/საბროკერო კომპანიის ან/და მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ სხვა სანქციების გამოყენების წესი, რომლის მიხედვითაც, დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის/საბროკერო კომპანიის ან მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ წესის 5^1, 5^2 მუხლებით განსაზღვრული ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ,იმავე მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის/საბროკერო კომპანიის ან მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 55^1 მუხლით გათვალისწინებულ სხვა სანქციებს.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 21.05.2025-ში მიღებული №122/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესში“.

ცვლილების მიხედვით, თუ სატენდერო შემთავაზებელს ანგარიშვალდებული საწარმოს რომელიმე კლასის საჯარო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა სურს იმ რაოდენობით, რომლის შედეგადაც მის საკუთრებაში აღმოჩნდება ამ კლასის ფასიანი ქაღალდების 10%-ზე მეტი, მან სატენდერო შეთავაზების განცხადების ეროვნულ ბანკში წარდგენამდე, მას წერილობით უნდა შეატყობინოს ამგვარი სატენდერო შეთავაზების სურვილის შესახებ, შეტყობინებას თან უნდა დაურთოს შეთავაზების განცხადების პროექტი. განცხადება შემთავაზებელმა უნდა გამოაქვეყნოს ასევე ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით, რაც გულისხმობს, რომ სატენდერო შეთავაზების განცხადება უნდა გამოქვეყნდეს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ასევე, შესაძლებელია ემიტენტის ვებგვერდის მეშვეობით, საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში კი, დამატებით, ასევე, საფონდო ბირჟის ვებგვერდის საშუალებით.

– 13.05.2025-ში მიღებული №545-IIმს-XIმპ კანონით ცვლილება განხორციელდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში, რომელიც ამოქმედდება 2025 წლის 1 ივლისიდან.

ცვლილება გულისხმობს, რომ ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განსახორციელებლად პარლამენტი მსოფლიოს 4 უმსხვილესი აუდიტორული ფირმიდან არაუგვიანეს 1 დეკემბრისა აირჩევს 1 აუდიტორულ ფირმას (აუდიტორს) არაუმეტეს 3 წლის ვადით. შერჩეულ აუდიტორულ ფირმას შესაძლებლობა ექნება, უწყვეტად მხოლოდ სამჯერ განახორციელოს წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირება.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 01.05.2025-ში მიღებული №109/04 ბრძანებით დაკორექტირდა „სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი“.

კერძოდ კი წესის 2^1 მუხლს დაემატა 2^2 მუხლი – **სხვა სანქციების გამოყენების წესი**.

მუხლი 2^1 ეხება ფულად ჯარიმებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, ეროვნული ბანკის შემოწმების/ზედამხედველობის შედეგად განსაზღვრული მოთხოვნების, წერილობითი მითითებების ან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებების შეუსრულებლობისათვის.

დამატებული 2^2 მუხლის თანახმად კი დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის სესხის გამცემი სუბიექტის მიმართ ამ წესის 2^1 მუხლით განსაზღვრული ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ, იმავე მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკს უფლება აქვს სესხის გამცემი სუბიექტის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) სესხის გამცემ სუბიექტს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) დააწესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ სესხის გამცემმა სუბიექტმა შეწყვიტოს და შემდგომ არ დაუშვას ესა თუ ის დარღვევა და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიიღოს დარღვევის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომები;

გ) სესხის გამცემ სუბიექტს აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, შრომის ანაზღაურების გაზრდა, პრემიებისა და სხვა, მსგავსი ანაზღაურების გაცემა;

დ) სესხის გამცემ სუბიექტს შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს გარკვეული ტიპის ოპერაციები;

ე) სესხის გამცემ სუბიექტს გაუუქმოს რეგისტრაცია.

2^1 მუხლით გათვალისწინებული დარღვევების გამოვლენისას, დარღვევისა და არსებული თუ შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს შეუძლია სესხის გამცემი სუბიექტის მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების ნაცვლად გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სანქციები. რაც მოიცავს განსაკუთრებით მძიმე დარღვევებს, მძიმე დარღვევებს და ნაკლებად მძიმე დარღვევებს.

განსაკუთრებით მძიმე დარღვევებს მიეკუთვნება შემდეგი დარღვევები და იწვევს სესხის გამცემი სუბიექტის დაჯარიმებას შემდეგი ოდენობით:

ა) დადგენილ ვადებში ფინანსური მონიტორინგის სამსახურში პირველადი აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობა – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №1 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილ ვადებში წარუდგენლობა – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

გ) გარიგების (ოპერაციის) აღსრულების შეჩერების

თაობაზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითების შეუსრულებლობისთვის – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით,დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე, ყადაღის დადების შესახებ სასამართლო ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ ყადაღასთან მიმართებაში;

ე) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისათვის პროგრამული (ელექტრონული) სისტემის (რომელიც უზრუნველყოფს საყურადღებო/საეჭვო ნიშნების, მათ შორის, დანაწევრებული ოპერაციების (გარიგებების) გამოვლენას და პირების ავტომატურ გადამოწმებას პოლიტიკურად აქტიურ და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებულ სანქციადაკისრებულ პირთა სიებში) არქონის ან მნიშვნელოვანი ხარვეზებით ფუნქციონირების შემთხვევაში – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით;

ვ) სესხის გამცემი სუბიექტის შემოწმების პროცესში, ეროვნული ბანკისთვის მხარეთა შორის შემოწმების პერიოდში გაფორმებული შეთანხმების თითოეული პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შემოწმების ვადის დასრულებამდე წარუდგენლობა – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, შეთანხმების თითოეული პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობისთვის;

ზ) სესხის გამცემი სუბიექტის შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემოწმების პერიოდში შემმოწმებელთა ჯგუფისათვის ხელის შეშლა, რამაც გამოიწვია შემოწმების განხორციელების შეფერხება – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

თ) დისტანციური შემოწმების/ზედამხედველობის შედეგად, სესხის გამცემი სუბიექტისთვის წერილობით განსაზღვრული მოთხოვნების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული შეუსრულებელი მოთხოვნის ფაქტზე;

ი) ადგილზე შემოწმების შედეგად, სესხის გამცემი სუბიექტისთვის წერილობით განსაზღვრული მოთხოვნების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული შეუსრულებელი მოთხოვნის ფაქტზე;

კ) კლიენტის ან/და ოპერაციების (გარიგების) შესახებ ინფორმაციის სპეციალური პროგრამული (ელექტრონული) სისტემის საშუალებით აღურიცხაობა – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე.

იხილეთ ასევე:

– 13.05.2025-ის №548-IIმს-XIმპ კანონი, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 20.05.2025-ის მთავრობის №169 დადგენილება, „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამავე პირის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 23.05.2025-ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №125/04 ბრძანება, ამავე პირის მიერ რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

– 29.05.2025-ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №127/04 ბრძანება, „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მარიამ აფრასიძე

საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 66.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა

2025 წლის მაისის მდგომარეობით, საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 66.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 4.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, – აღნიშნულია სებ-ის ინფორმაციაში.

ეროვნული ბანკის მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო რეზერვები ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტორია.

„ეროვნული ბანკის გრძელვადიანი პოლიტიკა ყოველთვის მიმართულია საერთაშორისო რეზერვების დაგროვებასა და სარეზერვო აქტივების ეფექტურ მართვაზე. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდშიც, ბაზრის ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე, სებ-ი რეზერვების შევსებას განაგრძობს. მაგალითისთვის, მარტში – 101.7 მლნ-ის, ხოლო აპრილში 266.4 მლნ-ის წმინდა შესყიდვა განხორციელდა. ჯამურად, 2025 წლის იანვარ-აპრილში წმინდა შესყიდვებმა 368.1 მლნ შეადგინა. წმინდა შესყიდვების მაისის სტატისტიკა კი 25 ივნისს გამოქვეყნდება.

2025 წლის მაისის მდგომარეობით, ოქროს წილი მთლიან საერთაშორისო სავალუტო რეზერვებში 16.4% (752.1 მლნ აშშ დოლარი) შეადგენს. ოქროს ფასის ცვლილების შედეგად, მონეტარული ოქროს ღირებულება, მისი შეძენის მომენტიდან, 252.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რაც ეროვნული ბანკის რეზერვების დივერსიფიკაციის სტრატეგიის მართებულობას უსვამს ხაზს.

საქართველოს ეროვნული ბანკი ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების შესახებ განახლებულ მონაცემებს 2025 წლის 7 ივლისს გამოაქვეყნებს“, **– აღნიშნულია სებ-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**

აუდიტი და პროფესიული საქმიანობა

აუდიტი და პროფესიული საქმიანობა – ამ რუბრიკის მიზანია დაეხმაროს საქართველოში მომუშავე აუდიტორებს მათ წინ მდგომი გაზრდილი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში, გააცნოს მათ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და საბუღალტრო პრაქტიკის დებულებები, აგრეთვე, მიმოიხილოს ქართული და უცხოური აუდიტური კომპანიების საქმიანობა. ჟურნალში გამოქვეყნდება რეკომენდაციები და მიმოხილვითი სტატიები თანამედროვე აუდიტის, შეფასებისა და სხვა მსგავსი პროფესიების აქტუალურ საკითხებზე, პროფესიულ განათლებაზე და პროფესიულ ორგანიზაციებზე.

ბუღალტრული პროფესიის მომავალი: როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი და ავტომატიზაცია პროფესიას

ბუღალტრული სფერო განიცდის მასშტაბურ ცვლილებებს ხელოვნური ინტელექტისა (AI) და ავტომატიზაციის სწრაფი გავრცელების გამო. ეს სტატია იკვლევს, თუ როგორ გარდაქმნის ტექნოლოგიები, როგორიცაა მანქანური სწავლება (ML),რობოტული პროცესების ავტომატიზაცია (RPA) და ბუნებრივი ენის დამუშავება (NLP) ტრადიციულ ბუღალტრულ საქმიანობას. საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ AI-ს გამოყენება ზრდის სიზუსტეს, ამცირებს პროცესის ხანგრძლივობას და აძლიერებს თაღლითობის გამოვლენის შესაძლებლობებს. მიუხედავად სარგებლისა, ჯერჯერობით დიდ უარყოფით მაჩვენებლად და მთავარ გამოწვევად რჩება მონაცემთა უსაფრთხოება,ეთიკა და ანალიზური უნარების დეფიციტი. კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანური ინტელექტი შეუცვლელია და საჭიროებს AI-ის სწორ ინტეგრაციას პროფესიულ პრაქტიკაში.

ბუღალტრული პროფესია დიდი ხანია წარმოადგენს ბიზნესის ქვაკუთხედს. მისი როლი ფინანსური ანგარიშგებების სიზუსტისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში კრიტიკულია. ტრადიციული მიდგომები – მექანიკური აღრიცხვა, ფურცლები, ხელით შეყვანილი მონაცემები – იცვლება ციფრულად ინტელექტუალური სისტემებით. ხელოვნური ინტელექტი საშუალებას აძლევს სისტემებს ისწავლონ მონაცემებიდან, ამოიცნონ შაბლონები და მიიღონ გადაწყვეტილებები ადამიანური ჩარევის გარეშე.

ბუღალტრული პროფესია დგას გარდამტეხი ცვლილებების წინაშე. თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფმა პროგრესმა, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის მიმართულებით გარდაქმნა ბუღალტრის როლი ტრადიციული მონაცემთა დამმუშავებლიდან უფრო სტრატეგიულ, ანალიტიკურ მრჩევლად. ბიზნესები სწრაფად იღებენ AI-სა და ავტომატიზაციის გადაწყვეტილებებს იმისთვის,რომ გაზარდონ ეფექტიანობა და შეამცირონ ადამიანური შეცდომები. თუმცა, ამ პროცესს თან ახლავს ეთიკური და პრაქტიკული გამოწვევები, რაც ბუღალტრებს აიძულებს განავითარონ ახალი უნარები და ადაპტირდნენ ახალ რეალობასთან.

ტექნოლოგიები, რომლებიც ცვლიან ბუღალტერიას:

- Machine Learning (ML): პროგნოზირების, თაღლითობის აღმოჩენისა და შაბლონების ამოცნობისთვის;
- Natural Language Processing (NLP): ავტომატიზებული დოკუმენტების ანალიზისა და ინვოისების დამუშავებისთვის;
- Robotic Process Automation (RPA): მონაცემთა შეყვანისა და საბანკო შეთავსების ავტომატიზაციისთვის.

ბუღალტრის ახალი როლი: თანამედროვე ბუღალტრები გადადიან სტრატეგიული მრჩევლის პოზიციაზე. ისინი რეალურ დროში ამზადებენ ანალიზებს და პროგნოზებს, რაც საწარმოებს ზრდის შესაძლებლობას აძლევს.

დადებითი მხარეები:

- სიზუსტის ზრდა;
- ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- თაღლითობის შემცირება;

გამოწვევები:

- სამუშაო ადგილების შემცირების შიში;
- მონაცემთა დაცვა და კიბერუსაფრთხოება;
- ახალი უნარების საჭიროება.

ბიზნესები სწრაფად იღებენ AI-სა და ავტომატიზაციის გადაწყვეტილებებს იმისთვის, რომ გაზარდონ ეფექტიანობა და შეამცირონ ადამიანური შეცდომები. თუმცა,ამ პროცესს თან ახლავს ეთიკური და პრაქტიკული გამოწვევები, რაც ბუღალტრებს აიძულებს განავითარონ ახალი უნარები და ადაპტირდნენ ახალ რეალობასთან.

ეთიკური და რეგულაციური საკითხები: ხელოვნური ინტელექტის დანერგვამ წამოწია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- ალგორითმული მიკერძოება;
- მონაცემთა კონფიდენციალურობა;
- გარდამავალი რეგულაციების საჭიროება.

IFAC და სხვა ორგანიზაციები ხაზს უსვამენ

ეთიკური AI-ის დანერგვის მნიშვნელობას – გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სამართლიანობა.

ადამიანური ფაქტორი ბუღალტერიაში კვლავ გადამწყვეტია: AI ვერ შეცვლის ადამიანურ ინტუიციას, ეთიკურ შეფასებასა და სოციალურ კონტექსტის გააზრებას. ბუღალტრის ისეთი უნარები, როგორიცაა კომპლექსური სიტუაციების შეფასება და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება – შეუცვლელია.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მომავლის ბუღალტერი იქნება: სტრატეგიული ანალიტიკოსი, ფინანსური მრჩეველი და ბიზნეს-პარტნიორი, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი ეხმარება, მაგრამ არ ცვლის.

ბოლო კვლევების შედეგები და სტატისტიკური მიმოხილვა შემდეგია: ონლაინ გამოკითხვით ინფორმაცია შეგროვდა 120-ზე მეტ ბუღალტრულ ორგანიზაციას შორის (ამერიკა, ევროპა), რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა სექტორში: კერძო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. კითხვარი მოიცავდა ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებას, შეხედულებებს ხელოვნური ინტელექტის მიმართ და მოსალოდნელ ეფექტებზე მომავალში.

გამოკითხვისას გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები, როგორიცაა:

1. ტექნოლოგიის მიღება – გამოკითხულთა 72%-მა განაცხადა,რომ მათ ორგანიზაციაში უკვე დანერგილია ერთი ან რამდენიმე ფორმა ავტომატიზაციისა ან AI სისტემებისა.

2. ეფექტიანობის ზრდა – მონაწილეთა 64% აფასებს, რომ ავტომატიზაციამ შეამცირა ბუღალტრული პროცესების ხანგრძლივობა საშუალოდ 50%-ით.

3. სიზუსტის გაუმჯობესება – ინტერვიუებში ნათლად გამოიკვეთა,რომ AI ამცირებს ადამიანის მიერ დაშვებულ შეცდომებს და აუმჯობესებს მონაცემთა დამუშავების სიზუსტეს.

4. თაღლითობის გამოვლენა – AI-მა გააუმჯობესა თაღლითობის ამოცნობის უნარი 40%-ით.

პროფესიული უნარების გადაფასება – გამოკითხულთა 78% თვლის, რომ მომავალში ბუღალტრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი უნარები იქნება მონაცემთა ანალიზი, ტექნოლოგიური ინტეგრაცია და კომუნიკაცია.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ბუღალტრული პროფესია გადადის ახალ ფაზაში – იქ, სადაც ტექნოლოგია არ ანაცვლებს ბუღალტერს, არამედ ამდიდრებს მის ფუნქციებს. მაგალითად:

- **ადმინისტრაციული რუტინის შემცირება:** RPA და AI-ს დახმარებით ბუღალტრები აღარ ასრულებენ იმავე მოცულობის მექანიკურ ამოცანებს. ისინი განთავისუფლდნენ ყოველდღიური ოპერაციებისგან, რაც საშუალებას აძლევს კონცენტრირდნენ ანალიტიკასა და სტრატეგიაზე.
- **მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესება:** AI უზრუნველყოფს რეალურ დროში მონაცემთა ანალიზს,რაც მენეჯმენტს ეხმარება უფრო სწრაფ და საფუძვლიან ფინანსურ გადაწყვეტილებებში.
- **პროფესიული როლის გარდაქმნა:** ტრადიციული ბუღალტერი გარდაიქმნება „ფინანსურ მრჩევლად“, რომელიც არა მხოლოდ აგროვებს და აფორმებს მონაცემებს, არამედ აკეთებს პროგნოზს, აფასებს რისკებს და სთავაზობს ბიზნესს ოპტიმიზაციის გზებს.
- **ეთიკური საკითხები:** კვლევამ გამოავლინა უარყოფითი მაჩვენებლები მონაცემთა დაცვასა და პასუხისმგებლობის საკითხებზე. მაგალითად, AI-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სიზუსტე და აუდიტის პროცესში მისი ტრანსპარენტულობა.
- **უნარების გადაფასება:** სპეციალისტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ახალი უნარების განვითარება: Power BI, Tableau, Python ან SQL – აღარ არის არჩევითი, არამედ სავალდებულოა.

რა რეკომენდაცია შეიძლება გაიცეს მომავალთან დაკავშირებით? რა უნდა გაითვალისწინოს ბუღალტერმა და ბუღალტრულმა ორგანიზაციამ?

- განვითარება AI-ის მართვისა და ანალიტიკის მიმართულებით;
- ეთიკური სტანდარტების განსაზღვრა AI სისტემებისთვის;
- კიბერუსაფრთხოების პროტოკოლების გაუმჯობესება;
- მუშაკების გადამზადება და ტრენინგები;
- განათლების სისტემის მოდერნიზაცია შესაბამისი უნარების გასავითარებლად.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის შემოსვლა ძირეულად ცვლის ბუღალტრის პროფესიას, მის როლს, ამოცანებს და უნარების საჭიროებას. ბუღალტრები, რომლებიც შეძლებენ ტექნოლოგიებთან ადაპტირებას, გახდებიან არა მხოლოდ აღრიცხვა-ანგარიშგების სპეციალისტები, არამედ ბიზნესის მრჩევლები, რომელთა ღირებულება გაიზრდება. ცვლილებებისთვის მზადყოფნა და უწყვეტი სწავლა გახდება მომავლის ბუღალტრის მთავარი უპირატესობა.

მთავარი გზავნილი კი არის ის, რომ ბუღალტერი და AI ერთად ქმნიან მომავლის ფინანსურ გუნდს, სადაც ადამიანი განსაზღვრავს ღირებულებას, ხოლო ტექნოლოგია ზრდის შესაძლებლობებს. **ბუღალტერიას ცვლის არა ტექნოლოგია, არამედ პროფესიონალთა დამოკიდებულება მის მიმართ.**

ნათია სხვიტარიძე
ფინანსისტი, შპს „FAS Group“-ის
დამფუძნებელი და დირექტორი

გასაჯაროვდა საქართველოს აუდიტური კომპანიების 2024 წლის მაჩვენებლები შემოსავლების მიხედვით

ახალი რეიტინგი

2024 წლის მაისის ბოლოს მდგომარეობით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) ოფიციალურ ვებგვერდზე saras.gov.ge-ზე 260 აუდიტური ფირმაა დარეგისტრირებული, რაც 8 ფირმით უფრო ნაკლებია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო. სავარაუდოდ, ეს მცირედი კლება იმით არის გამოწვეული, რომ ამჟამად ახალი აუდიტური ფირმები იშვიათად რეგისტრირდება (ამას კი, თავის მხრივ, ბაზარზე არსებული ძლიერი კონკურენცია განაპირობებს, რაც ზღუდავს ახალი მონაწილეების გამოჩენას), ზოგიერთ არსებულ ფირმას კი სამსახურმა გაუუქმა რეგისტრაცია ჩატარებული მონიტორინგის შედეგად.

იგივე შეიძლება ითქვას ინდივიდუალური აუდიტორების რაოდენობაზე. როგორც ვიცით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – მოქმედი კანონი) განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას ფიზიკური პირებიც შეიძლება ეწეოდნენ (ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორები). ამჟამად, 56 ასეთი ფიზიკური პირია რეგისტრირებულია ზემოაღნიშნულ ვებგვერდზე, მაშინ, როცა ერთი წლის წინ 97 იყო.

ზემოაღნიშნული აუდიტური ფირმებიდან, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს 121 ფირმას, რომლებიდანაც 15-ს აქვს ასევე სდპ-ის აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება. ინდივიდუალური აუდიტორებიდან, სდპ-ის აუდიტის ჩატარების უფლება არავის აქვს, ხოლო სავალდებულო აუდიტის უფლება აქვს 10 აუდიტორს.

აუდიტური ფირმების რაოდენობის შემცირების მიუხედავად, მათი შემოსავლები არ შემცირებულა, ანუ გაიზარდა წინა წელთან შედარებით, რასაც ქვემოთ მოყვანილი რიცხვები მოწმობს.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ მოქმედი კანონის თანახმად, ყველა აუდიტორს/აუდიტურ ფირმას ევალება ყოველწლიურად, არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა, წარუდგინოს ზედამხედველ სამსახურს მისი საქმიანობის მაჩვენებლები (შემოსავლები, ჩაშლილი პროფესიული მომსახურებების ჭრილში, ასევე დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა). ჩვენი დაკვირვებით, პრაქტიკულად ყველა აუდიტორი ასრულებს კანონის ამ მოთხოვნას. აუდიტორებისა და აუდიტური ფირმებისადმი მიღებულ ამ ინფორმაციას სამსახური ათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე – saras.gov.ge. ეს ინფორმაცია საჯაროა, ოღონდ არა სრულად: სამსახურის აღნიშნულ ვებგვერდზე ასახულია აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების მხოლოდ ის შემოსავლები, რომელსაც ისინი იღებენ აუდიტორული მომსახურების გაწევიდან (ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და სხვა აუდიტორული მომსახურება). ამის გარდა, მოქმედი კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად, აუდიტორები და აუდიტური ფირმები სამსახურს ასევე წარუდგენენ ინფორმაციას სხვა პროფესიული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ, როგორიცაა საბუღალტრო, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის, იურიდიული და სხვა მსგავსი ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურება, თუმცა მათი ამ შემოსავლების ოდენობა საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. მათ მხოლოდ სამსახური იყენებს თავად, სტატისტიკური მიზნებისათვის. მათ შორის, მიღებული ინფორმაცია კრებსითი სახით ასახულია საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელსაც სამსახური აქვეყნებს თავის ვებგვერდზე. ბოლო ანუ 2024 წლის ანგარიში მ/წლის 15 მაისს გამოქვეყნდა და ის ბევრი საყურადღებო ინფორმაციის შემცველია: იხ. https://www.saras.gov.ge/Content/files/AR24.pdf. ამ ანგარიშის წინასიტყვაობაში ნათქვამია:

„2024 წელი სამსახურისთვის მიმდინარე რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და ინსტიტუციური განმტკიცების წელი იყო. სამსახურმა აქტიურად გააგრძელა რეფორმის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების შესრულება, მათ შორის ანგარიშგებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების განვითარება და აუდიტის რეგულირების გაუმჯობესება.

წარდგენილი ანგარიშგებების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდზე 80 000-ს გადააჭარბა, ასევე წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალი კატეგორიის საწარმოებში წარდგენილი ანგარიშგებების რაოდენობაც, რაც მიუთითებს გამჭვირვალობის მაღალ ხარისხსა და რეფორმის მიმართ ნდობაზე. წლის განმავლობაში განახლდა ანგარიშგების ციფრული ფორმების პორტალი, რომელმაც კიდევ უფრო გაამარტივა ფინანსური ანგარიშგებების ხელმისაწვდომობა. გამკაცრდა აღსრულების მექანიზმები, მათ შორის სამსახურმა უზრუნველყო ჩაუბარებელი აქტების გასაჯაროება. სამსახურისთვის ტექნოლოგიური განვითარება რჩება ერთ-ერთ მთავარ ღერძად – სამომავლოდ იგეგმება წარდგენილი ანგარიშგებების სრული გაციფრულება და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

დანართი №1

აუდიტური ფირმების 2024 წლის რეიტინგი

აუდიტორული საქმიანობიდან (ბუღალტრული და სხვა მომსახურების გარეშე) მიღებული შემოსავლების მიხედვით

№	აუდიტური კომპანია	საიდენტ. ნომერი	სულ 2024 წლის შემოსავალი აუდიტორული მომსახურებიდან (ლარი)	მათ შორის, შემოსავალი ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან (ლარი)	მათ შორის, შემოსავალი სხვა აუდიტორული მომსახურებიდან (ლარი)	სულ 2023 წლის შემოსავალი აუდიტორული მომსახურებიდან (ლარი)
1	„იუაი“	204441158	16,361,598	13,616,193	2,745,405	10,394,097
2	„ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“	405220611	15,411,430	13,350,291	2,061,139	13,277,500
3	„KPMG Georgia“	404437695	8,523,214	8,523,214		7,607,652
4	„ბიდიო აუდიტი“	205145403	7,559,372	7,239,411	319,961	6,175,421
5	„დელოიტი და ტუში“	204422240	4,114,159	4,022,999	91,160	3,150,329
6	„ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“	405193124	3,010,544	2,481,727	528,817	2,332,969
7	„ნექსია თიეი“	405040682	2,952,454	2,835,560	116,894	2,344,391
8	„მოორ ეიბისი“	206331691	2,091,899	1,495,613	596,286	1,281,726
9	„არესემ საქართველო“	202449207	2,062,940	1,947,068	115,872	2,168,350
10	„გრანთ თორნთონ“	200136600	1,917,099	1,708,199	208,900	1,957,054
11	„ბეიკერ ტილი ჯორჯია“	211325056	1,907,652	1,895,372	12,280	1,461,714
12	„კრესტონ ჯორჯია“	400003740	1,144,140	763,629	380,511	834,488
13	„სფაი ჯორჯია“	400221130	1,137,552	1,076,455	61,097	867,677
14	„ფინანსური მართვის ჯგუფი“	205279660	1,112,257	1,103,257	9,000	894,867
15	„ფი ქეი ეფ ჯორჯია“	205198212	1,106,285	1,036,299	69,986	875,022
16	„აუდიტორული ფირმა ალტერ ეგო“	206212212	818,972	553,580	265,392	493,173
17	„ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალთინგი“	205228207	785,853	231,891	553,962	665,589
18	„ალგი აუდიტი“	400177072	765,467	330,794	434,673	497,749
19	„იუ ეიჩ ვაი“	406026447	725,758	626,879	98,879	431,292
20	„ინტელექტ-აუდიტი“	404906973	658,521	451,209	207,312	500,661
21	„ქროუ ჯი“	405309330	612,422	612,422	-	521,676
22	„თი-ემ-სი“	204570160	555,918	445,083	110,835	403,676
23	„ცოდნისა“	211344188	458,949	356,968	101,981	487,466
24	„ქუდოს ჯორჯია“	406240884	403,357	381,861	21,496	236,574
25	„პრესტიჟ-აუდიტი“	245434800	397,010	304,804	92,206	474,143
	სულ:		**76,594,822**	**67,390,778**	**9,204,044**	**60,335,256**

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“

Leverage Consulting

- ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტირება
- ფინანსური მოდელირება, ბიუჯეტირება და მართვის პროცესების მოწესრიგება
- ფინანსური მენეჯერის აუთსორსი
- გაზარდეთ თქვენი კომპანიის მომგებიანობა ჩვენი დახმარებით

ცოდნა წარმატების საწინდარია!

დაგვიკავშირდით: +995 (579) 30 71 71

2024 წელს აუდიტის ზედამხედველობის სფეროში განხორციელდა მონიტორინგის წესის არსებითი განახლება – შეიცვალა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების კატეგორიზაცია, რაც რეგულირების გამჭვირვალობასა და სტანდარტიზაციას კიდევ უფრო გააძლიერებს...

2024 წელს ასევე ამოქმედდა პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის განახლებული კოდექსი (IESBA) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ახალი კრებული. სამომავლოდ, სამსახური გეგმავს სანქციირების განახლებული სისტემის ამოქმედებას, განაგრძობს აუდიტის სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნას და მოამზადებს საკანონმდებლო ცვლილებებს EU 2006/43/EC დირექტივის შესაბამისად.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით 2024 წელს დაინერგა ML/TF რისკების ანგარიშგების წარდგენის ელექტრონული სისტემა, რომელიც სამსახურს საშუალებას აძლევს, რისკზე დაფუძნებული მიდგომით მოახდინოს ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პირველადი რისკების შეფასება და განახორციელოს ეფექტიანი ზედამხედველობა საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესაბამისად. გაგრძელდა სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის პროცესი და დამტკიცდა არაერთი კანონქვემდებარე აქტი, რომელიც აყალიბებს ფულის გათეთრების პრევენციის, შეფასებისა და კონტროლის სისტემებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბუღალტრო ფირმებისა და პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრებს. როგორც სანდო საინფორმაციო რესურსს, რომელიც უწყობს ხელს ზედამხედველობის ეფექტიანობასა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. სამსახური სარეგისტრაციო წარმოების მიმართულებით გეგმავს საზედამხედველო ღონისძიებების გაძლიერებას იმ პირთა მიმართ, ვინც ეწევა პროფესიულ მომსახურებას და არ არის რეგისტრირებული შესაბამის რეესტრში...

სამსახური მადლობას უხდის ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებს,განსაკუთრებით მსოფლიო ბანკს, რომელიც სამსახურისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ ინსტიტუციური გაძლიერების საყრდენს, არამედ ხელს უწყობს იმ სისტემური ცვლილებების რეალიზებას, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ბიზნესგარემოს მეტ გამჭვირვალობასა და სანდოობას. სამსახური იმედს იტოვებს, რომ წარმატებული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და კიდევ უფრო გაღრმავდება“.

ვინაიდან გასაჯაროებული ინფორმაცია – აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების მიერ მიღებული შემოსავლები სპეციალისტთა და მთლიანად საზოგადოების დიდ ყურადღებას იქცევდა და იქცევს (რაც სრულიად გასაგებია), ამიტომ ჩვენი ჟურნალი – „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ინფორმაციას წამყვანი აუდიტური ფირმების შემოსავლების შესახებ ყოველწლიურად აქვეყნებს, ჯერ კიდევ 2001 წლიდან დაწყებული. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შექმნამდე, შესაბამის ინფორმაციას ჩვენს ჟურნალს აუდიტორული საქმიანობის მაშინდელი ზედამხედველი – საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო აწვდიდა. 2023 წლის რეიტინგი უმსხვილესი 25 აუდიტური ფირმის შემოსავლების მაჩვენებლით ჩვენ შარშან გამოვაქვეყნეთ „ააფის“ 2024 წ. №4(292)-ში http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=292&rubr=0&mas=4705.

ტრადიციულად, წელსაც ვაქვეყნებთ 25 წამყვანი აუდიტური ფირმის გასაჯაროებულ მაჩვენებელს – 2024 წლის შემოსავლებს, მიღებულს აუდიტორული საქმიანობიდან (იხ. თანდართული ცხრილი). დამატებით დავძენთ, რომ 2024 წელს სულ 34 ფირმას ჰქონდა მარწმუნებელი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები 200 000 ლარზე მეტი. რეალურად, ამ ბაზარზე საქართველოში აქტიურად დაახლოებით 40 ფირმა მუშაობს, სხვების შემოსავლები აუდიტორული გარიგებებიდან უმნიშვნელოა.

ცვლილებები წინა წელთან შედარებით

განვლილი წლის ტენდენციების გამოსავლენად, მოვახდინეთ 2024 წლის მაჩვენებლების შედარება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

1) უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ 2024 წელს საგრძნობლად გაიზარდა შემოსავლები როგორც აუდიტორული, ასევე სხვა პროფესიული საქმიანობიდან, კერძოდ:

2024 წელს აუდიტორული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 90,448 მლნ ლარი შეადგინა, მაშინ როცა 2023 წელს – 68,207 მლნ ლარი იყო. შესაბამისად, ეს მაჩვენებელი 32.6%-ით არის გაზრდილი.

სხვა პროფესიული (არააუდიტორული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 2024 წელს 101,750 მლნ ლარია, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს – 85,826 მლნ ლარს 18.6%-ით აჭარბებს.

შესაბამისად, 2024 წლის მთლიანმა შემოსავალმა პროფესიულმა საქმიანობიდან (აუდიტორული პლუს არააუდიტორული) 192,198 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 154,033 მლნ ლარზე 24,8%-ით მეტია. ეს გარემოება ადასტურებს, რომ აღნიშნული ბაზრის განვითარების ტენდენცია პოზიტიურია.

2024 წელს, აუდიტორული საქმიანობის ბაზრის მოცულობა მთლიანი პროფესიული მომსახურების მოცულობის 47%-ს შეადგენს.

2) თუ აუდიტური ფირმების წამყვანი ათეულის მონაცემებს განვიხილავთ, მათი ჯამური შემოსავალი აუდიტორული საქმიანობიდან 2024 წელს 64,005 მლნ ლარია, რაც ამ სეგმენტში ბაზრის 70.8%-ს ნიშნავს. რაოდენობრივად, აქ ზრდაა – ერთი წლის წინანდელი ანალოგიური მაჩვენებელი 50,869 მლნ ლარი იყო, მაგრამ პროცენტული წილი შემცირებულია – 2023 წელს 74.6% იყო.

4) 2024 წელს აუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით საუკეთესო 25 აუდიტური ფირმის ჯამურმა მაჩვენებელმა 76,595 მლნ ლარი შეადგინა, რაც აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს – 60,478 მლნ ლარს, ხოლო პროცენტულად აუდიტორული საქმიანობის ბაზრის 84.7%-იან ხვედრით წილს ნიშნავს. წამყვანი 25 აუდიტური კომპანიის ხვედრითი წილი 2023 წელს ამ ბაზრის 88,7%-ს შეადგენდა.

აუდიტორული საქმიანობის ბაზარზე არსებული სიტუაცია

ჩვენი დაკვირვებით, ამჟამად საქართველოში არსებული სიტუაცია აუდიტორული საქმიანობის ბაზარზე მეტ-ნაკლებად სტაბილურია და უახლოეს მომდევნო წლებში ამ მიმართულების ლიდერ კომპანიებს შორის მკვეთრი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. აუდიტორული საქმიანობის ბაზრის მთავარი პრობლემა კი ისევ ისაა,რასაც შარშანაც აღვნიშნავდით: ბევრი სუბიექტის მხრიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიმართ ზედაპირული დამოკიდებულება (არ ანიჭებენ მას მნიშვნელობას) და მათთვის იაფი მომსახურების შემთავაზებელი აუდიტორების არც ისე მცირე რიცხვი, რომლებიც დამკვეთებს არა რეალურ, არამედ ფორმალურ აუდიტს სთავაზობენ. სუბიექტებთან მოლაპარაკების დროს, აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით, უკვე ტრადიციული გახდა შეკითხვა: *„რეალური აუდიტი“ გსურთ თუ „აუდიტი სარასისთვის“?...*

გიორგი ცერცვაძე

რა შეიცვლება ბაზარზე „ლიბერთის“ და „ბაზისბანკის“ გაერთიანებით

„კონკურენცია გაიზრდება, მაგრამ რიგითი მომხმარებელი ამას ვერ იგრძნობს“, – ასე აფასებს ფინანსისტი, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს ყოფილი წევრი მიხეილ თოქმაზიშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ ბაზარზე შესაძლო მესამე დიდი ბანკის ჩამოყალიბებას.

ბოლო თეების განმავლობაში არაოფიციალურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „ბაზისბანკი“ „ლიბერთის“ ყიდვას გეგმავს. მოგვიანებით კი, ბიზნესმენმა ირაკლი რუხაძემ მოლაპარაკებები დაადასტურა, თუმცა აღნიშნა, რომ პროცესი ჯერ არ დასრულებულა და არც იცის როდის დასრულდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მიხეილ თოქმაზიშვილი ამბობს, რომ ეს კარგია, რადგან ბანკებს შორის კონკურენცია გაიზრდება, სეგმენტების განაწილების კუთხით. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ ამას რიგითი მომხმარებელი ვერ იგრძნობს, რადგან საპროცენტო განაკვეთები თითქმის ყველა საფინანსო ინსტიტუტს მსგავსი აქვს და ეს ძირითადად რეფინანსირების განაკვეთზე და ცალკეული ბანკების დანახარჯებზეა დამოკიდებული.

„ქართულ საბანკო სექტორში, სადაც 2 დიდი ბანკი არსებობს, დანარჩენი კი საშუალო ან მცირე ბანკებია, ამ ორ დიდი ბანკთან კონკურენცია მნიშვნელოვანი იქნება, თუ კიდევ სხვა ბანკებიც გაერთიანდებიან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საშუალო და მცირე ბანკის გაერთიანება, ხელს შეუწყობს კონკურენციის განვითარებას საბანკო სფეროში. თუმცა, მხოლოდ ეს თვალსაზრისი არ არის მნიშვნელოვანი, რადგან როგორც წესი, ასეთი გაერთიანება რაღაც მიზნებს ემსახურება ხოლმე და ეს ზედაპირზე არ ჩანს“, – აღნიშნა თოქმაზიშვილმა. მისი თქმით, ბევრი ფაქტორია, რომელიც ბანკების გაერთიანების სასარგებლოდ მეტყველებს.

ამ ეტაპზე საქართველოს ბაზარზე 17 კომერციული ბანკი ოპერირებს. მოგების კუთხით კომერციულ ბანკებს შორის „ლიბერთი ბანკი“ მესამე, ხოლო „ბაზისბანკი“ მეოთხე ადგილზეა.

საქართველოს საბანკო სისტემა

საქართველოს საბანკო სისტემა – ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შუქდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიახლეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი მაკა ხარაზიშვილი.

ლარის გამყარების სამი მიზეზი

ლარი ამერიკული ვალუტის მიმართ გამყარების ტენდენციას აგრძელებს. 2025 წლის პირველი იანვრის შემდეგ ლარის პოზიცია დოლართან თითქმის 10 პუნქტით გაუმჯობესდა, რაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა. ანალიტიკური ორგანიზაციები ამ ფაქტს რამდენიმე მიზეზით ხსნიან – გლობალურად დასუსტებული დოლარი, შემცირებული იმპორტი და ეროვნულ ვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნა. ამასთანავე, ეკონომისტები ეროვნული ვალუტის კიდევ რამდენიმე პუნქტით გამყარებასაც არ გამორიცხავენ.

„თიბისი კაპიტალის“ კვლევით, ბოლო პერიოდში ლარზე მოქმედი ცვლადების წმინდა ეფექტი გამყარების ზეწოლისკენ უფრო მეტად გამოიკვეთა. ამ კუთხით, წამყვან როლს საგარეო ფაქტორები ასრულებენ, თუმცა გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება შიდა კომპონენტის მხრივაც.

„თიბისი კაპიტალი“ სამ ძირითად ფაქტორს გამოყოფს, რომელიც მიმდინარე პერიოდში ლარის სასარგებლოდ მოქმედებს: ძლიერი წმინდა სავალუტო შემოდინებები, დოლარის გლობალური სისუსტე და შიდა ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის შედარებით ნორმალიზება.

სავალუტო შემოდინებების პირველი მნიშვნელოვანი კომპონენტი საქონლით საგარეო ვაჭრობაა. კერძოდ, „თიბისი კაპიტალის“ შეფასებით, მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში, ექსპორტის მნიშვნელოვანი მატებისა და იმპორტის ზრდის ტემპის შენელების ფონზე, საქონლით ვაჭრობის დეფიციტის მშპ-სთან შეფარდებამ ბოლო ათწლეულში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

ექსპორტის ზრდის მთავარი კონტრიბუტორი კვლავ ავტომობილების რეექსპორტი იყო, თუმცა მცირედი ზრდა დაფიქსირდა ადგილობრივ ექსპორტშიც, დიდწილად ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ქვეჯგუფში. რაც შეეხება იმპორტს, წლიური ზრდის ტემპის შენელება მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ცალკეული პროდუქტით არ არის განპირობებული, თუმცა აღსანიშნავია ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტის კლება, რაც, რაოდენობრივთან ერთად, ფასების შემცირების ეფექტსაც ასახავს.

სავალუტო შემოდინებების მორიგი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი ფულადი გზავნილებია, რომლებიც ზრდას განაგრძობს. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2025 წლის პირველ ოთხ თვეში უფრო სტაბილური წყაროებიდან გზავნილები (რუსეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის გარეშე) წლიურად 11%-ით გაიზარდა და მთლიანი გზავნილების 83% შეადგინა. მათ შორის, ევროკავშირსა და აშშ-ზე 65% მოდიოდა.

„ჩვენი თებერვლის პუბლიკაციაში „რატომ მყარდება ლარი?“, მივუთითებდით, რომ მიმდინარე მოვლენები ეკონომიკური შინაარსით სავალუტო შოკს არ წარმოადგენდა და, ამდენად, ლარის მნიშვნელოვანი მერყეობა ჩვენს საბაზო სცენარად არ განიხილებოდა. აღნიშნული ეყრდნობოდა არგუმენტებს, ერთი მხრივ, იმპორტის მოსალოდნელ შემცირებაზე, ძირითადად გრძელვადიანი მოხმარების საქონლის კუთხით, და მეორე მხრივ, საქონლის ექსპორტისა და ფულადი გზავნილების ნაკადების ნაკლებ სენსიტიურობაზე შიდა მოვლენების მიმართ, მათი გარე ბაზრებზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ვინაიდან მოვლენები სწორედ ამ სცენარით ვითარდება, ჩვენი პოზიციაც უცვლელია. ამავდროულად, შენელება იკვეთება ტურიზმიდან შემოსავლებში. პირველ კვარტალში ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად მხოლოდ 2.3%-ით გაიზარდა, რაც ჩვენს მოლოდინებთან თანხვედრაშია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თიბისის არხებით არარეზიდენტების ხარჯები აპრილსა და მაისის პირველ ნახევარში შედარებით გააქტიურებულია“, – აღნიშნულია ორგანიზაციის კვლევაში.

მეორე ძირითადი ფაქტორი, რომელიც ლარის გამყარებას უწყობს ხელს, მსოფლიო ბაზარზე დოლარის ამჟამინდელი სისუსტეა. „თიბისი კაპიტალის“ ინფორმაციით, წლის დასაწყისთან შედარებით, დოლარის სავაჭრო პარტნიორებთან შეწონილი ეფექტური ინდექსი 7.5%-ით არის გაუფასურებული. დოლარის გაუფასურება აშშ-ის ეკონომიკის შესახებ მნიშვნელოვნად გაუარესებულ მოლოდინებს უკავშირდება.

„დამატებით, გამოვყოფთ, რომ ბოლო პერიოდში აშშ-ის ეკონომიკა ერთდროულად საპროცენტო განაკვეთების ზრდისა და გაცვლითი კურსის გაუფასურების კომბინირებული შოკით ხასიათდება, რაც, როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი სცენარია და, ამდენად, ამერიკისათვის საკმაოდ იშვიათ და საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს“, – აღნიშნულია კვლევაში.

რაც შეეხება მესამე მთავარ ფაქტორს, რაც ლარის სასარგებლოდ მოქმედებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის შიდა ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის შედარებით ნორმალიზება. კერძოდ, კვლევის მიხედვით, ერთი მხრივ, შინამეურნეობებისა და იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვა, წინა თვეებთან შედარებით, შენელდა, მეორე მხრივ კი,

შეინიშნება შარშან წინასაარჩევნო პერიოდში უცხოურ ვალუტაში დაკონვერტირებული დეპოზიტების უკან ლარში კონვერტირება.

„ისევ რელევანტურია ე.წ. „კარგი დროის ბუფერი“, რომელიც, ჩვენი შეფასებით, დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარის ფარგლებშია,თუმცა სენტიმენტებში რაიმე სტრუქტურული ცვლილების შესახებ საუბარი ჯერჯერობით კვლავ ძალზე ნაადრევია“, – აღნიშნულია კვლევაში.

ლარის სტაბილურობის სამ ძირითად ფაქტორს ასახელებს „პიემსი კვლევითი ცენტრის“ დირექტორი გიორგი ხიშტოვანიც. პირველი ეს არის იმპორტის კლება, განსაკუთრებით აპრილში, როდესაც იმპორტი, დაახლოებით, 150 მილიონი დოლარით შემცირდა. ხიშტოვანის შეფასებით, ეს ნიშნავს იმას, რომ ამერიკულ დოლარზე მოთხოვნამ იკლო.

„მეორე მიზეზი არის ის, რომ თავად ბანკებს დოლარი ნაკლებად სჭირდებათ. თუ სტატისტიკას დავაკვირდებით, მართალია დაკრედიტების მაღალი ზრდა გვაქვს, მაგრამ ეს, ძირითადად, არის სამომხმარებლო სესხების კუთხით. შედარებით ნაკლები წილი გვაქვს იპოთეკურ და ბიზნესსესხებში, სადაც მთავარი ვალუტა არის დოლარი. შესაბამისად, ბანკებს გაუჩნდათ „ჭარბი“ დოლარი, რომელიც მათ შეუძლიათ მერე მიყიდონ ეროვნულ ბანკს რეზერვების სანაცვლოდ. მესამე – გლობალურად დოლარის სუსტი მდგომარეობა. ვიცით, რომ ძირითად ვალუტებთან მიმართებით დოლარი არის მნიშვნელოვნად გაუფასურებული. სწორედაც, დოლარის სისუსტემ გამოიწვია ის, რომ ბოლო პერიოდი ლარი არის სტაბილური და მცირე გამყარების ტენდენციით გამოირჩევა“, – ამბობს გიორგი ხიშტოვანი.

ეკონომისტები ფიქრობენ,რომ სამომავლოდ ქართული ვალუტის გამყარებას, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს ეროვნული ბანკის კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი. კერძოდ, ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების ზღვარი 500 ათასიდან 750 ათას ლარამდე გაიზარდა. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს რომლებსაც შემოსავალი ლარში აქვთ, უცხოურ ვალუტაში სესხს მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღებენ, თუ მათი მოთხოვნა (თანმდევი რეგულაციების დაკმაყოფილებით) 750 ათას ლარს ასცდება. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, დოლარიზაციის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, ეს უკანასკნელი და მასთან დაკავშირებული სტრუქტურული რისკები ფინანსური სექტორისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. შესაბამისად, არსებული რისკების გათვალისწინებით, ცენტრალურმა ბანკმა გადაწყვიტა, დედოლარიზაციის გეგმა ახალ ეტაპზე გადაიყვანოს.

ცვლილება ძალაში 2025 წლის 1-ლი აგვისტოდან შევა. შეგახსენებთ, რომ ეს რეგულაცია 200-ათას ზღვრიდან დაიწყო და ახლა უკვე ლამის მილიონ ლარამდე ადის. ფაქტობრივად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უცხოურ ვალუტაში სესხს ვეღარ აიღებს. შესაბამისად, ლარი, ამ კუთხით, უკონკურენტო ვალუტა ხდება, ხოლო მოსახლეობა იძულებული, რომ სესხები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში აიღოს, რაც საკმაოდ ძვირია.

ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ მრჩეველი, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ ალავიძე „კომერსანტთან“ ამბობს,რომ აქამდე უცხოურ ვალუტაში სესხის აღება საპროცენტო განაკვეთს გარკვეულწილად, დაახლოებით 6-7%-ით ამცირებდა. ლარიზაციის ხისტი კურსი კი დაკრედიტებაზე მოთხოვნის შემცირებას და უძრავი ქონების რეალური ფულით შესყიდვას შეამცირებს.

„გამყარებული ლარის პირობებში, რომელიც სრულად ბუტაფორიული მოვლენაა, უძრავ ქონებაში ინვესტირება ფიზიკური პირისთვის წარმოუდგენელი ხდება, მათ მოუწევთ უძრავი ქონება იყიდონ ჯერ ერთი ისედაც მაღალი ფასით, ასევე, მინიმუმ 15-16%-იანი სესხით, რაც ეფექტური განაკვეთის დამატებით, ალბათ 17%-მდე გაიზრდება. ეს რა თქმა უნდა, დაკრედიტებაზე მოთხოვნის შემცირებას გამოიწვევს, რაც თავისთავად შეამცირებს უძრავი ქონების ბაზარზე ბინების რეალური ფულით შესყიდვას“, – ამბობს ნიკოლოზ ალავიძე.

ამ ყველაფერთან ერთად,ეკონომისტები ფიქრობენ,რომ გამყარებულმა ლარმა ეროვნულ ბანკს საერთაშორისო რეზერვების შევსების შესაძლებლობა მისცა. გიორგი ხიშტოვანის შეფასებით, ახლა ეროვნულ ბანკს აქვს კარგი დრო შემცირებული საერთაშორისო რეზერვები გაზარდოს და დოლარის აქტიური ყიდვა გააგრძელოს.

„რაც შეეხება ეროვნული ბანკის საქმიანობას, ვფიქრობ, ახლა არის საუკეთესო დრო, კარგი გარემო, როგორც გლობალურ ჭრილში სუსტი დოლარის სახით, ისე ადგილობრივ ბაზარზე, დოლარზე მოთხოვნის შემცირება გამოიყენოს და გაზარდოს რეზერვები, რომელიც ფაქტობრივად, კრიტიკულ დონეზე ჩამოსული. ვხედავ, რომ ამ ნაბიჯებს დგამს ეროვნული ბანკი. სასურველია, ეს უფრო სწრაფად გააკეთოს. რადგანაც შესაძლებლობის ფანჯარა შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს. გლობალურადაც კატაკლიზმებია, ადგილზეც პოლიტიკური დაძაბულობაა“, – აღნიშნავს ხიშტოვანი.

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს პარლამენტში წლიური ანგარიშის წარდგენისას საერთაშორისო რეზერვებზე აქცენტი გააკეთა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნათია თურნავამაც. მისი განცხადებით, მიმდინარე წელს ბაზარზე ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე რეზერვების ყიდვამ წელს გადააჭარბა შარშანდელ გაყიდვებს. ეროვნული ბანკის სტატისტიკით, 2025 წლის მაისის მონაცემებით, საქართველოს ოფიციალური სარეზერვო აქტივების მოცულობა 4.6 მილიარდ დოლარს შეადგენს.

„სებ-მა სარეზერვო აქტივების დივერსიფიკაცია განახორციელა და 2024 წლის მარტში ეროვნულმა ბანკმა 500 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო

შეიძინა. აქვე აღვნიშნავ,რომ ოქროს ფასი გლობალურად მნიშვნელოვნად გაზრდილია,მაისის მდგომარეობით ჩვენი ოქროს ღირებულება შეძენის თარიღთან შედარებით 252.1 მილიონით არის გაზრდილი. ეს ფაქტი ეროვნული ბანკის რეზერვების დივერსიფიკაციის სტრატეგიის მართებულობას უსვამს ხაზს“, – აღნიშნა ნათია თურნავამ.

ბოლო წლების განმავლობაში ლარი დოლარის მიმართ ყველაზე დაბალი კურსი 2023 წლის მაისის დასაწყისში დაფიქსირდა, როდესაც 1 დოლარის ღირებულება 2 ლარსა და 48 თეთრამდე შემცირდა. როგორც მოგეხსენებათ, 2024 წლის მაისიდან ქვეყანაში მასშტაბური აქციები დაიწო, რომელიც მთავრობის მიერ „გამჭვირვალობის კანონის“ პარლამენტში შემობრუნებას მოჰყვა. შესაბამისად, პოლიტიკური დაძაბულობა ეროვნულ ვალუტასაც გადმოეცა და მაისში ლარი დოლარის მიმართ თითქმის 17 პუნქტით 2,87 ლარამდე გაუფასურდა. ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების შედეგად, წლის ბოლოს ლარი ამერიკული ვალუტის მიმართ 2,8 ლარის ნიშნულზე შენარჩუნდა. ამ შემთხვევაში ლარის სტაბილურობა, ეროვნულ ბანკს ასეულობით მილიონი დოლარი დაუჯდა, განსაკუთრებით, არჩევნების პერიოდში, როდესაც სებ-მა რამდენიმე ინტერვენცია განახორციელა. ეროვნული ბანკი ბაზარს დოლარს სავალუტო აუქციონებისა და Bmach პლატფორმის მეშვეობით აწვდიდა.

რაც შეეხება საერთაშორისო რეზერვებს, 2023 წლის დეკემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5 მილიარდ დოლარს აღწევდა, 2024 წლის ოქტომბრის მონაცემებით ეს მაჩვენებელი თითქმის 1 მილიარდი დოლარით 4 მილიარდ დოლარამდე შემცირდა. ეკონომისტების ნაწილი ვარაუდობდა, რომ ეროვნული ბანკი ლარის სტაბილურობის შესანარჩუნებლად რეზერვების გაყიდვას გააგრძელებდა,მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად ეს ვარაუდი არ გამართლდა. 2024 წლის ბოლოს, ეროვნულმა ბანკმა, პირიქით, რეზერვების შევსება დაიწყო და წლის ბოლომდე მოცულობა 400 მილიონი დოლარზე მეტით 4,448 მილიარდ დოლარამდე გაზარდა. ეს ტენდენცია 2025 წელსაც გრძელდება და ამ დროისთვის საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,585 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეკონომისტების ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე სტაბილური ეროვნული ვალუტის პირობებში სებ-ი რეზერვებს კიდევ რამდენიმე ასეული მილიონით გაზრდის.

მაკა ხარაზიშვილი

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!

2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შევეხებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

საერთაშორისო ფონდის შეჩერებული $280 მილიონიანი პროგრამის ბედი კვლავ გაურკვეველია

პროგრამის გაჩერება უარყოფითი სიგნალია ინვესტორებისთვის

უკვე მეორე წელია, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) საქართველოსთან $280-მილიონიანი პროგრამა შეაჩერა და როდის განახლდება, ან საერთოდ განახლდება თუ არა, არავინ იცის. როგორც ცნობილი იყო, ეს თანხა ქვეყანას სამი წლის მანძილზე უნდა მიეღო, ამჟამად კი, როგორც უკვე ვთქვით, პროგრამა გაჩერებულია. გავიხსენოთ, რომ პროგრამის შეჩერების შესახებ 2023 წლის სექტემბერში გახდა ცნობილი. ფონდის პროგრამის მიმდინარეობა ეკონომიკურ რეფორმებზე და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე იყო მიბმული, რაც საქართველოს 36 თვის ვადაში უნდა განხორციელებინა. პროგრამის პირველი ორი მიმოხილვა წარმატებით დამტკიცდა, თუმცა 2023 წლის თებერვალში პარლამენტში ინიციირებულმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტმა პროგრამა რისკის ქვეშ დააყენა. კანონპროექტი 9 წევრისგან შემდგარ ეროვნულ ბანკში პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს ამკვიდრებდა, რასთან დაკავშირებითაც თავად ეროვნული ბანკი იმ პერიოდისთვის და ასევე IMF კრიტიკული პოზიციას აფიქსირებდნენ. კანონპროექტს 23 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტო დაადო. იმ დროს პარლამენტმა ვეტოს დაძლევისგან თავი შეიკავა.

ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანა პრობლემური იყო იმის გამო, რომ IMF-თან არსებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ხელისუფლებას აქვს ნაკისრი ვალდებულება არ განახორციელოს პროგრამასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებთან მიმართებით საკანონმდებლო ცვლილებები IMF-თან კონსულტაციების გარეშე, ხოლო ეროვნული ბანკის მენეჯმენტის შესახებ კანონმდებლობაში ჩანაწერი სწორედ ასე – IMF-ის მოსმენის გარეშე შეიცვალა.

2023 წლის მაისში ჯერ კიდევ არსებობდა მოლოდინი, რომ პარლამენტი ვეტოდადებულ კანონს აღარ მიუბრუნდებოდა, შედეგად, პროგრამის მეორე მიმოხილვა დასამტკიცებლად IMF-ის დირექტორთა საბჭოზე წარდგებოდა. თუმცა, 2023 წლის 13 ივნისს, პარლამენტმა ვეტო დაძლია, 22 ივნისს კი ნათია თურნავა ახალი კანონის შესაბამისად სებ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტად და შესაბამისად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს. IMF-ის შეშფოთება გააღრმავა 2023 წლის სექტემბერში, მაშინ ჯერ კიდევ სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნათია თურნავას მიერ საერთაშორისო სანქციების აღსრულების შესახებ საგამონაკლისო წესის მიღებამაც.

კიდევ ერთი საკითხი სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული რეფორმა იყო. სავალუტო ფონდი მიიჩნევდა, რომ კანონპროექტში ასახული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო საწარმოთა რეფორმირების ის მოდელი, რომელსაც ფონდის ჩართულობით 2022 წლის ბოლოს მომზადებული სტრატეგია ითვალისწინებდა – ფონდისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო 3 საკითხი. ფონდი ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფო საწარმოების თანამფლობელის სტატუსის ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემას და ამ უწყების მიერ სახელმწიფო ფისკალური რისკების მუდმივ მონიტორინგს. მეორე და მესამე საკითხი სახელმწიფო საწარმოების კერძო სექტორთან კონკურენციას ეხებოდა. ფონდს მიაჩნდა, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფო საწარმოების ფუნქციები უნდა შეზღუდულიყო.

ჯერ კიდევ გასული მაისის დასაწყისში, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ განაცხადა რომ თუ იქნება მიღებული გადაწყვეტილება IMF-თან ახალი პროგრამის შეთანხმების თაობაზე, პირველ რიგში ეს უნდა მოხდეს იმ რეფორმებზე შეჯერებით, რომელთა განხორციელებაშიც მთავრობა მიიჩნევს, რომ IMF-ის დახმარება სასარგებლო იქნება.

მაშინ კაკაურიძემ ისიც თქვა, რომ ფონდის ტექნიკური მისია მაისის ბოლოს ჩამოვიდოდა საქართველოში, თუმცა ამ მისიის მიზანს ქვეყნის ეკონომიკის შეფასება წარმოადგენს და ახალი პროგრამის შეთანხმებაზე საუბარი ახლა არ იქნებაო.

„პროგრამის მოთხოვნა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ და ამაზე ადრეც გავაკეთე კომენტარი, თვითმიზანი არ არის. ჩვენ ველოდებით მისიას, უკვე მაისის ბოლოს ჩამოდის, მაისის ბოლოს – ივნისის დასაწყისში, სადაც განვიხილავთ ეგრეთ წოდებული მეოთხე მუხლის მიმოხილვას, შეაფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას ქვეყანაში, პროგნოზებს, ასევე გავივლით იმ შესაძლო რეფორმებს, რაც შეიძლება ჩვენს დღის წესრიგში დადგეს.

ამის შემდეგ, როცა გავაანალიზებთ თუ რა რეფორმებზე შეიძლება დაეფუძნოს ახალი პროგრამა. არც წინა პროგრამა და არც იმის წინა პროგრამა, არ გვქონია ფულისთვის. არც ახალი პროგრამა არ გვექნება ფულისთვის. მოგეხსენებათ IMF-დან არაერთი პროგრამა ისე დავასრულეთ,რომ თანხის წამოღებაზე ჩვენ არ გვქონია საუბარი, ვინაიდან ჩვენთვის მთავარი აქ რეფორმების ნაწილი იყო და რეფორმებში მათი მხარდაჭერა.

შესაბამისად, ახლა ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს დღის წესრიგი რეფორმების,ამ მისიის შემდგომ ალბათ შეიძლება გამოიკვეთოს რაღაც მიმართულებები, რომელზეც შეიძლება დაეფუძნოს პროგრამა. შესაბამისად, სანამ არ იქნება ეს მეოთხე მიმოხილვის მისია დასრულებული, სანამ არ დასრულდება, მანამდე პროგრამაზე საუბარი არის ნაადრევი. ამის შემდგომ უკვე უნდა ჩამოვყალიბდეთ კონკრეტულ რეფორმებზე და ამ რეფორმებს უნდა დაეფუძნოს პროგრამა.

თუ იქნება რეფორმები ისეთი,რომელიც დღის წესრიგში დადგება და გასაკეთებელი იქნება და დაგვჭირდება ამაში სავალუტო ფონდის მხარდაჭერა, რა თქმა უნდა მოვითხოვთ. თუ არ დაგვჭირდება, შეიძლება წელს არ მოვითხოვოთ და მოვითხოვოთ იმ პერიოდში, როცა ამ რეფორმების განხორციელება დაიწყება. ჯერ უნდა გამოიკვეთოს, რა მიმართულების უნდა განვახორციელოთ რეფორმები, სად არის ის ნაკლოვანებები, სადაც შეიძლება, რომ რეფორმები აუცილებლად გასაკეთებელი იყოს ქვეყანაში“, – განაცხადა კაკაურიძემ მაისის დასაწყისში.

მიმდინარე წლის მარტში,საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა ენდრიუ ჯუველმა BMG-სთან საუბრისას არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ შეჩერებული პროგრამა აღარ გაგრძელდეს და მის სანაცვლოდ მომავალ წელს ახალ პროგრამაზე დაიწყოს მოლაპარაკებები.

მოგვიანებით, კომენტარი გააკეთა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა. მისი თქმით, ახლა მიმდინარეობს მსჯელობა, რა უფრო მიზანშეწონილია ქვეყნისთვის.

„ჩვენ გვაქვს ძალიან მჭიდრო დიალოგი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, მათ შორის, სავალუტო ფონდთან. ამ ორი კვირის განმავლობაში, რაც მისია იყო საქართველოში, ჩვენ გვქონდა ყოველდღიური მუშაობა მათთან და ასე გავაგრძელებთ მუშაობას. პროგრამის ნაწილში, ასეთ კომენტარს გავაკეთებდი, ჩვენ, რამდენიმე წლის წინ, როცა ამ პროგრამას ვიწყებდით, ძირითადი პროექტი მომზადდა 5 წლის წინ. დინამიკურად იცვლება სიტუაცია მსოფლიოში და ამის გათვალისწინებით ბევრი საკითხი აქტუალობას კარგავს და სხვა საკითხები მოდის წინ. აქედან გამომდინარე ჩვენ ვმუშაობთ სავალუტო ფონდთან. გვაქვს დიალოგი, რა უფრო მიზანშეწონილია ქვეყნისთვის და ასე გავაგრძელებთ“, – განაცხადა დავითაშვილმა. უკვე 3 ივნისს კი დავითაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო აღარ ითხოვს სავალუტო ფონდისგან ახალ პროგრამას და მათ გარეშეც აღწევენ დასახულ მიზნებს.

„ღიად ვსაუბრობთ,ჩვენი თვითმიზანი არ არის გვქონდეს პროგრამა. ჩვენთვის მთავარია მიზნებს მივაღწიოთ. მიზნებია საქართველოს განვითარება, ეკონომიკური წინსვლა, სტრუქტურული რეფორმების მაღალი ხარისხით განხორციელება და ა.შ. თუ ამ ყველაფერს ვაღწევთ, როგორი ფორმით ვაღწევთ, არაა მნიშვნელოვანი. რაც შეეხება IMF-თან თანამშრომლობას, ჩვენ ძალიან ვაფასებთ და მიგვაჩნია, რომ ძალიან ღირებულია, მათ შორის მეოთხე მუხლის ფარგლებში მისიას სრული მხარდაჭერა ჰქონდა საქართველოს ხელისუფლების, ეროვნული ბანკის მხრიდან. იყო დეტალური შეხვედრები და განხილვები საათობით გრძელდებოდა. ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესოა, უახლოეს დღეებში, ალბათ, ვიხილავთ დასკვნას, რომელსაც გააკეთებს IMF“, – განაცხადა დავითაშვილმა.

მისი განცხადებით, ხელისუფლებას სჯერა, რომ ყველა ძირითადი რეფორმა, რომელიც შეჩერებულ პროგრამაში იყო ასახული, განხორციელდა. დავითაშვილი აცხადებს, რომ ახალ პროგრამაზე საუბარი ვერ იქნება, ძველი პროგრამის შესრულებაზე IMF-ის შეფასების გარეშე.

„ქართული ოცნების“ ოპონენტების კომენტარები

ახლა, „ქართულ ოცნებას“ IMF-ის პროგრამა ყველაზე მეტად საერთაშორისო ლეგიტიმაციისთვის სჭირდება, – განაცხადა BMGtv-ის გადაცემაში ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა, რომან გოცირიძემ.

მისივე თქმით, მავნე თეზისია, რომ ჩვენ ფული კი არა, რეფორმები გვინდა. რადგან, რეფორმების რეალური სურვილისა და მზაობის შემთხვევაში სრულად შესაძლებელი იყო, მინიმუმ ერთი საჩვენებელი რეფორმის გატარება.

„სავალუტო ფონდის პროგრამის შეჩერება, ეს საერთაშორისო იზოლაციის ერთ-ერთი შემადგენელია. მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური ბოიკოტის ნაწილი. საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრები, გარდა ინფრასტრუქტურულსა, ყველაფერი გაჩერდა. არავითარი ფული საქართველოში აღარ შემოდის.

„ოცნება“ ახლა თავადაც ამბობს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია რეფორმები და არა ფული. თუ მათთვის მართლა რეალურად რეფორმები იყო მნიშვნელოვანი, რატომ არ გაატარეს აქამდე? შეჩერების უმთავრესი მიზანი იყო სებ-ის როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის განადგურება,მისი გადაწყვეტილებები,რისი გამოსწორებაც უპირველესად ქვეყნის ინტერესია.

ახლა კაკაურიძე ამბობს, რომ 2021 წელს ყველაფერი შევასრულეთ და ფონდის პროგრამაც გრძელდებოდაო, ყველაფერი კი არ შეასრულეს, საშინელი პანდემიის შემდეგ სავალუტო ფონდმა 650 მლნ დოლარი გადმოურიცხა ეროვნულ ბანკს და ეროვნული ბანკის ბალანსში თუ ჩავიხედავთ, ერთი წლის წინანდელი მონაცემებით, ეროვნულ ბანკს სავალუტო ფონდის 965 მლნ აშშ დოლარი მართებს. ახლა დაახლოებით 850 მლნ-ია. აქედან, სესხი 350 მლნ-მდეა, დანარჩენი 600 მლნ არის IMF-ის მიერ, საქართველოსთვის ლარის ჩამოშლის თავიდან აცილებისთვის საჩუქარი. პანდემიის დროს საქართველოს მისცეს ლარის სიმყარისთვის 650 მლნ,

რომელიც უკან დასაბრუნებელიც კი არ არის. მაშინ, ეს მოხდა იმიტომ,რომ საქართველოს არ ჰქონდა იზოლაციის კურსი არჩეული და მისიაც არსებობდა ავად თუ კარგად. როცა ამბობენ, რომ ჩვენ პროგრამას ვასრულებდით და ამიტომ ვიღებდით ფულს, ეს სიცრუეა! ფული მივიღეთ, მეგობრული მყისიერი მხარდაჭერის გამო“, – განაცხადა გოცირიძემ.

ანალიტიკოს გია ხუხაშვილის განცხადებით, შექმნილ ვითარებაში საქართველოში დამოუკიდებელი არბიტრების და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მუშაობა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

„უმნიშვნელოვანესია რა თქმა უნდა, სასიცოცხლოდ გვჭირდება. ამ ინსტიტუტების ყოფნის პრაქტიკულ მნიშვნელობას რომ დავანებოთ თავი, ამის გარდა, საინვესტიციო აქტივობისთვისაც საჭიროა ეს ყველაფერი. თუ ქვეყანაში IMF არ არის, ინვესტორის დამოკიდებულება ყალიბდება, რომ ეს არის რისკის ზონა. IMF-ის ან ნებისმიერი ამ ტიპის საერთაშორისო ინსტიტუტს ყოფნა საქართველოში რაღაც დასკვნების საშუალებას იძლევა.

ეს ინსტიტუტები ნებისმიერი ინვესტორისთვის ირიბ ფსიქოლოგიურ გარანტებად გამოდიან. როდესაც იგივე Moody's-ის დასკვნაში წერია, რომ სტაბილური და მიმზიდველია ეკონომიკა, საიდან აკეთებენ ამ დასკვნებს? ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი 1 და 2 წლის წინანდელი სიტუაციიდან, მათ შორის ეკონომიკური თვალსაზრისით“, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

საქართველოსთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ეკონომისტმა ლევან კუჭავამ გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ IMF-თან ურთიერთობა ქვეყნის უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობას ურთიერთობას უწყობს ხელს.

„2015 წელს IMF-მა საქართველოსთვის გამოყო 289 მილიონი დოლარის ოდენობით ტრანშები, სახელმწიფოს გაუჩნდა წვდომა სესხზე, რომელიც სხვადასხვა მიზნობრიობით გამოიყენება. აქედან პირველ ტრანში, 40 მილიონი დოლარის ოდენობით, დეკემბერშივე გამოყვეს, რომელიც არ იქნა გამოყენებული სახელმწიფოს მიერ, რადგან არ ჩათვალეს, რომ საჭირო იყო ამ სესხის აღება.

როდესაც ჩვენი პარტნიორი არის საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ის ჩვენს სახელმწიფოს გამოუყოფს თანხას, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოში გარკვეული მაკროეკონომიკური პარამეტრები დაცულია, ანუ ჩვენი ქვეყანა ლიკვიდურია, რითაც ამ თანხის გადახდაა შესაძლებელი. არანაირი რისკი არ აქვს IMF-ის, არ ხედავს რისკს, რომ ეს სესხი სახელმწიფომ დაფაროს.

თუმცა მთავარი საკითხი აქ სესხის აღება/არ აღება არ არის, არამედ ის, რომ საქართველო 1992 წლიდან არის IMF-ის წევრი სახელმწიფო 185 სახელმწიფოს შორის. ეს წევრობა ძალიან დიდი აქტივია სახელმწიფოსთვის, ეს ნდობის გამოცხადებაა IMF-ის მიერ ჩვენ ქვეყნისათვის. ეს აისახება უცხოელი ინვესტორების გადაწყვეტილებებზეც და მათ მიერ რისკის შეფასებაზეც, თუ რამდენად შესაძლებელია საქართველოში ინვესტიციის ჩადება“, – განაცხადა ლევან კუჭავამ.

მისი თქმით, არსებობს პროგრამის 2025 წელს აღდგენის იმედი, თუმცა თუ ეს ასე არ მოხდა, ეს ნეგატიური სიგნალი იქნება საქართველოში მოქმედი სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისთვის.

„ვსაუბრობთ, რომ პროგრამა დროებით შეწყვიტეს, იყო განმარტებული, რა მიზეზების გამო მიიღეს ეს გადაწყვეტილება, აქედან გამომდინარე, ის გაუქმებული არ არის, მიმდინარეობს მოლაპარაკებები და, ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, ბატონი ირაკლი კობახიძეც რამდენჯერმე შეხვდა ოფიციალურ წარმომადგენლებს. მოგვეცა იმედი, რომ 2025 წლიდან ეს პროგრამა განახლდება და ჩვეულებრივ ნიშნულს დაუბრუნდება.

რაც შეეხება შეწყვეტის საკითხს, რა თქმა უნდა, ეს უარყოფითად აისახება კერძო უცხოელ ინვესტორებზე. ასევე საქართველოში მსოფლიო ბანკიც ფუნქციონირებს, EBRD, ADB და სხვა საერთაშორისო, ცივილიზებული ფინანსური ინსტიტუციები, რომლებიც ჩვენთან მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს აფინანსებენ, მათთვის იქნება ნეგატიური სიგნალი, თუ 2025 წლიდან ეს ურთიერთობა არ აღდგა და ჩვეულ რეჟიმს არ დაუბრუნდა“, – ამბობს ლევან კუჭავა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდს არანაირი მიზეზი არ აქვს, რომ საქართველოსთან პროგრამა განაახლოს – ასე აფასებს მდგომარეობას „სტემსქეილის“ მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი მიხეილ კუკავა. სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამა, რომელიც 2023 წელს შეჩერდა, ოფიციალურად მიმდინარე წლის ივნისში მთავრდება. ამ ფონზე, როგორც ირკვევა, ჯერჯერობით საქართველოს მთავრობასა და IMF-ს შორის ახალი პროგრამის შეთანხმებასთან დაკავშირებით კონსულტაციები არ მიმდინარეობს. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კი განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა IMF-სგან ახალ პროგრამას მაშინ მოითხოვს, როდესაც ამის საჭიროება დადგება.

მიხეილ კუკავას შეფასებით, IMF-თან მიმდინარე პროგრამის შეჩერებიდან ორი წლის თავზეც პრობლემური საკითხები,მათ შორის ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა კვლავ გამოწვევად რჩება. შესაბამისად, მისი თქმით, ამ პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სავალუტო ფონდთან ახალი პროგრამის დაწყების შესაძლებლობა.

„IMF-ის პროგრამის საჭიროება ყოველთვის დგას დღის წესრიგში, ეს არაა სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგრამა, რომელიც ზოგჯერ შეიძლება საჭირო იყოს და ზოგჯერ არა, ეს ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება IMF-ის პროგრამის არსს, რომელიც არის სიგნალის და ტონის მიმცემი სხვა დონორებისთვის.

როგორია იმის ალბათობა, რომ პროგრამა განახლდება. არაფერი შეცვლილა ქვეყანაში. მთავრობა ისევ ახდენს პირდაპირ გავლენას ეროვნულ ბანკზე, რაც აქამდე, წინა მმართველობის პირობებში არ გვქონია. აქედან გამომდინარე, არანაირი მიზეზი IMF-ს არ აქვს, რომ პროგრამა განაახლოს. თავის მხრივ, რაც უფრო დიდხანს გაგრძელება ეს პერიოდი, როდესაც ქვეყანას არ ექნება სავალუტო ფონდთან პროგრამა, მით უფრო დიდ ზიანს მოგვიტანს ეს“, – განაცხადა მიხეილ კუკავამ.

თემურ იობაშვილი

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზეა – ყოველი მეხუთე ადამიანი შემწეობას იღებს

პარადოქსი: ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება და სოცდაუცველების რიცხვი გამუდმებით იზრდება

საქართველოს მოქალაქეების თითქმის 20% სახელმწიფოს დახმარების იმედად და მისი ხელის შემყურეა. მიუხედავად იმისა,რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდაა და სიღარიბის მაჩვენებელიც მცირდება, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კეთილდღეობა ვერ უმჯობესდება. სულ უფრო მეტი ადამიანი იღებს სახელმწიფოსგან დახმარებას ან ცდილობს სტატუსის მოპოვებას და თავისი გაჭირვებული ყოფის ოფიციალურად დადასტურებას.

ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში ჯერ ისევ რთული სოციალური ვითარებაა,რაც ადამიანებს სახელმწიფოზე დამოკიდებულს ხდის. შესაბამისად,მთავრობა,ერთი მხრივ, ეხმარება ადამიანებს, მეორე მხრივ კი, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას პოლიტიკური მიზნისთვის იყენებს. წინასაარჩევნო და უშუალოდ არჩევნების პერიოდში მმართველი ძალა მუდმივად ცდილობს შეჭირვებული მოქალაქეების კეთილგანწყობის მოპოვებას. ამის გამო,პრობლემის მოგვარების ნაცვლად, ხელისუფლება სირაქლემას პოზიციაში ყოფნას არჩევს და თვალს ხუჭავს არაერთ დარღვევაზე, მათ შორის იმაზეც, რომ სოციალურ სტატუსს ხშირად ამოფარებული არიან ისეთი მოქალაქეები, რომლებსაც საკმაოდ ნორმალური მატერიალური მდგომარეობა აქვთ, მაგრამ ბაზაში მაინც არიან და დახმარებებსაც იღებენ.

საკმაოდ მძიმეა ოფიციალური სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, მიმდინარე წლის აპრილის მდგომარეობით, საქართველოში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნულ პერიოდში საარსებო შემწეობა 701 816 ადამიანმა მიიღო. წინა თვესთან შედარებით, შემწეობის მიმღებთა რიცხვი 1346-ით გაიზარდა. აქედან 235 ათასზე მეტი პირი სამინისტროს საზოგადოებრივი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით არის მოსარგებლე. აპრილში ამ ადამიანების დახმარებაზე ბიუჯეტიდან 71 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა.

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ძალიან დიდი წილი არასრულწლოვანი ბენეფიციარებია. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მათი რაოდენობა 189 956-ს შეადგენს. მათგან 49 178 – 6 წლამდე, ხოლო 140 778 – 6-დან 18 წლამდე ასაკისაა.

გამოდის, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველო სიღარიბის მაჩვენებელს მუდმივად აუმჯობესებს და ამ დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი სახელმწიფოსგან შემწეობას იღებს, ანუ თავს ღარიბად-ღატაკად მიიჩნევს.

საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე.

საარსებო შემწეობის გაცემა ჩერდება ოჯახის განმეორებითი შეფასების პერიოდში. გადამოწმების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულის საფუძველზე ოჯახს აღუდგება ან უწყდება საარსებო შემწეობა.

საარსებო შემწეობის შეწყვეტის საფუძველია:

– ოჯახის განცხადება;

– ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება;

– თუ, ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ „საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულას“;

– ოჯახის წევრის 16 წლის ასაკის შესრულება ისეთ ოჯახში, რომლის სარეიტინგო ქულა მეტია 65 001-ზე და ნაკლებია 120 001-ზე.

თუ გადამოწმების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულაზე, მაშინ ღატაკ ოჯახს საარსებო შემწეობის გაცემა აღუდგება შეჩერების თვიდან.

მოქმედი მეთოდოლოგიით, რაც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით „სოციალური დახმარების შესახებ“, შეფასებულ ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობის შემდეგი ოდენობები:

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 120 001-ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 200 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

ფულად დახმარებას ოჯახი მიიღებს, საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურის განხორციელების შემდგომ, მინიჭებული სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის მომდევნო მეორე თვიდან.

როგორც სოციოლოგმა პაატა არაშიძემ აღნიშნა, ყველაზე დიდ გავლენას ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზე მაღალი ფასები და გაზრდილი ხარჯი ახდენს, რა მხრივაც მდგომარეობა ქვეყანაში ისევ დრამატულია.

„ციფრებში სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება, მაგრამ ამავე დროს ვხედავთ, რომ ხალხი გაჭირვებულია და სულ უფრო და უფრო მეტი სახსრები სჭირდება ყოველდღიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შემოსავლების სიმცირის გამო კი მოქალაქეები სამუშაოდ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიდიან. ეკონომიკური პარამეტრები გაუმჯობესებულია, შთამბეჭდავი ზრდა გვაქვს, მაგრამ აქედან სარგებელს მოსახლეობა ვერ იღებს. ეკონომიკური ზრდის პარალელურად საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის გაზრდა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ რეალურად, ბევრ სექტორში შემოსავლები შემცირდა. გარდა ამისა, მართალია, ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობის დონე შემცირდა, თუმცა რეალურად ის ორჯერ მაღალია“, – განაცხადა პაატა არაშიძემ.

შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი სწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაა. 2021 წლიდან მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მთავრობამ გადაწყვიტა სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი ადამიანებისთვის სამუშაო ადგილები შეექმნა. საზოგადოებრივი დასაქმების ხელშეწყობის სახელით ცნობილი სახელმწიფო პროგრამა 2022 წლის მარტიდან ამოქმედდა.

შესაბამისად, თუკი არაფორმალურად დასაქმებული სოციალურად დაუცველი პირები ჩაერთვებიან დასაქმების პროგრამაში, მათ ოთხი წლის განმავლობაში გარანტირებულად შეუნარჩუნებენ საარსებო შემწეობას და დამატებით ყოველთვიურად 300 ლარსაც მიიღებენ. პროგრამის ამოქმედებიდან, 2024 წლის ჩათვლით, ჯამში, სახელმწიფოს 39 707 სოციალურად დაუცველი ჰყავს დასაქმებული, თითქმის 33 ათასმა სოციალურად დაუცველმა კი საკუთარი სამსახური ლეგალური გახადა. „საქსტატის“ ინფორმაციით, შარშან სახელმწიფოსგან შემწეობას მოსახლეობის 18% იღებდა, რაც 2023 წელთან შედარებით 0.4%-იანი ზრდაა.

თუმცა მდგომარეობას ამან ვერ უშველა. მოწყვლადი ჯგუფი დასაქმების შესაძლებლობას დიდად არ აღუფრთოვანებია და პროგრამის მიმართ გარკვეულწილად პასიურია.

პაატა არაშიძის შეფასებით, სოციალური დახმარების მიმღებთა მაღალი მაჩვენებელი დიდწილად განპირობებულია იმითაც, რომ ადამიანები როგორც სოფლად, ასევე ქალაქშიც, ფიზიკური შრომისგან მაქსიმალურად იკავებენ თავს.

„ქალაქში თუ ვინმეს აქვს შემწეობა, არ უღირს, რომ მუშაობა დაიწყოს რომელიმე სექტორში, თუ გაცილებით მეტ შემოსავალს არ მიიღებს. მაგალითად, ოჯახი თუ იღებს სოციალური შემწეობით 500 ლარს, 700-ლარიან ხელფასს არ დათანხმდება, რადგან სოციალურ შეღავათებს დაკარგავს. არაფრის კეთებით კი ფულს მაინც იღებს. შეუძლიათ ერთჯერად სამუშაოზე დასაქმდნენ, არც ფულად დახმარებას დაკარგავენ, მაგრამ ესეც არ უნდათ. ჩვენი მოქალაქეების უდიდეს ნაწილი მთავრობის ხელის შემყურეა და არ ცდილობს გაექცეს სოცდაუცველის სტატუსს. არის სამუშაო, დასუფთავებაში, გამწვანებაში და სხვაგანაც, სადაც შეიძლება 200-300 ლარით მეტი გამოიმუშაონ, მაგრამ ამ ფასად შეღავათის დაკარგვა არ უნდათ.

საკმაოდ რთულად დგას ეს საკითხი საქართველოში. ვიღაცა თუ გადაწყვეტს, რომ შეურაცხმყოფელია სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნა და თავისი საქმე დაიწყოს, გადამზადების კურსი და სხვა შესაძლებლობებია, მონდომებულ ადამიანს წინ ვერაფერი დაუდგება და სწორედ ეს უნდა დაანახოს სოცდაუცველებს სახელმწიფომ“, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას პაატა არაშიძემ.

ეკონომისტთა ნაწილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების რაოდენობის ზრდას წარმოების განვითარების დაბალი დონეს და სოციალური ფონის დამძიმებას უკავშირებს. სოსო სიმონიშვილი აღნიშნავს, რომ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა ვერ ქმნის დოვლათს, ხოლო საგარეო ვაჭრობაში ჩართული გარკვეული წრე, ბიზნესმენებისა და ჩინოვნიკების სახით, მდიდრდება, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კეთილდღეობა კი ვერ უმჯობესდება.

„იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ნიშნავს, რომ იგი მუდმივად დეფიციტშია, მუდმივად ღატაკდება, მაგრამ ბიზნესი და ჩინოვნიკები მდიდრდებიან. მთავრობას ამით ფული უჩნდება და შემოსავლებიც მატულობს. თუმცა, პარალელურად მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა უარესდება და განსაკუთრებით ეს სოციალურად დაუცველ ფენაზე აისახება. არცერთ ხელისუფლებას ეს არ ანაღვლებდა. იმის ნაცვლად, რომ გადამწყვეტი ზომები მიეღოთ, მრეწველობა ამუშავებულიყო და ხალხი დაესაქმებინათ, საპირისპიროს აკეთებდნენ. ამან მიგვიყვანა მძიმე მდგომარეობამდე, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი გაღატაკებული და სახელმწიფოს ხელის შემყურეა“, – განაცხადა სოსო სიმონიშვილმა.

კიდევ ერთი გარემოება, რაც სოციალურად დაუცველი მოქალაქეების რაოდენობაზე დიდ როლს ახდენს, პოლიტიკაა, კერძოდ კი ამ ადამიანების გამოყენება

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის

განცხადება

ჩვენი ჟურნალის რედაქცია გამოხატავს პროტესტს „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლის და დირექტორის – მზია ამაღლობელის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო.

მიგვაჩნია, რომ მზია ამაღლობელის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიციელისთვის სილის გაწვნის გამო, არის არაპროპორციული და უსამართლო. ვუცხადებთ სრულ სოლიდარობას ქალბატონ მზია ამაღლობელს და მოვითხოვთ მისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეცვლას (პირველ რიგში) და შემდგომ მის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას!

ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებისგან ვითხოვთ სხვა მართლაც მძიმე დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, როგორიცაა: „ფორმულას“ ჟურნალისტზე გურამ როგავაზე სამართალდამცველის ბრუტალური თავდასხმა, „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფზე ნიღბიანი პირების ჯგუფური თავდასხმა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის სხვა შემთხვევები.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის სახელით,
მთავარი რედაქტორი გიორგი ცერცვაძე

არჩევნებისთვის, რათა მმართველმა პარტიამ თავისი ელექტორატი გაზარდოს.

„მთავრობა ყოველთვის იყენებს ამ ხალხს. მესმის, ბიუჯეტისთვის მათი დაფინანსება დიდი ტვირთია, მაგრამ ამ სოლიდური ხარჯის გაღება ქვეყანას, გარკვეული მოსაზრების გამო, ულირს. ძირითადად ასეთ სახელმწიფოებში, როგორიც საქართველოა, მთავრობა ცდილობს, გადამხდელებს რაც შეიძლება მეტი გადასახადი გადაახდევინოს და ბიუჯეტი მერე თვითონ გადაანაწილოს – მეტი ჩინოვნიკებს და მერე სოციალურად დაუცველებს, რომლებიც პირველისგან განსხვავებით, იღებენ იმაზე ბევრად ნაკლებს, ვიდრე მათი ფიზიკური არსებობისთვის არის აუცილებელი.

მეთოდი ასე მუშაობს – ხალხი შიშობს,რომ არსებული შელავათიც არ დაკარგონ, შესაბამისად, ძალაუნებურად იძულებული არიან ხმა მისცენ იმ ძალას, ვინც ამ ფულს ანაწილებს, ანუ ვინც არის ხელისუფლებაში. ასეა ზოგადად და არც საქართველოა გამონაკლისი“,– დასძინა ჩვენთან საუბრისას სოსო სიმონიშვილმა.

რაც შეეხება ქვეყნების გამოცდილებას, ანალოგიური გზა აშშ-მა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 1970-იან წლებში გაიარა.

„იმისთვის,რომ თავისი ელექტორატი გაემრავლებინა, აშშ-ში დემოკრატიულმა პარტიამ 70-იანი წლებიდან მოყოლებული, აფროამერიკელების დასახმარებლად პროექტები შემოიღო. ხალხს ერჩია, რომ არ ემუშავა და მიეღო დახმარება. ასეა ჩვენთანაც, ცდილობენ ფარულად იმუშაონ, რომ არ დაკარგონ შემოსავალი. იქ უფრო მასშტაბური დახმარება გაიცემოდა, მათ შორის ტალონები, რითაც განსაზღვრული პროდუქციის ყიდვა შეეძლოთ, მაგრამ, ძირითადად, არავანსაღი საკვები იყო. შესაბამისად, გავრცელდა ჭარბწონიანობა. საბოლოოდ გამოვიდა, რომ სოციალურმა დახმარებამ უკუშედეგი ამოიღო, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში დემოკრატიული პარტიის ელექტორატი გაიზარდა. დონალდ ტრამპი ახლა მათ ეუბნება, რომ დაბრუნდება ინდუსტრია, მისცემს სამუშაოს და მაღალი ანაზღაურება ექნებათ. შემობრუნდა ეს ხალხი რესპუბლიკური პარტიისკენ, რამაც ტრამპს გადამწყვეტი გამარჯვება მოუტანა.

ჩვენი ხელისუფლებაც ამაზე აკეთებს აქცენტს,ცოტა-ცოტა აძლიოს და შეინარჩუნოს ელექტორატი, მაგრამ ეს არ იქნება მუდმივი. უახლოესი არჩევნების წინ ამომრჩევლების სწორედ ამ ნაწილმა შეიძლება ბოიკოტი გამოაცხადოს და სხვა მხარეს დადგნენ, რათა მიიღონ ნორმალური ხელფასი და ღირსეული სამუშაო. ხალხმა უნდა გამოხატოს ნება, რომ წინ აღუდგეს სიღარიბეს. რა სოციალურ პოლიტიკასაც ატარებს ქვეყანა, ჩვენ არ გვაწყობს“, – განაცხადა სოსო სიმონიშვილმა.

ამდენად,უმუშევრობა მცირდება,მაგრამ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების რიცხვი მაინც მატულობს. ის კურსი, რაც მთავრობას ამ პრობლემის მოსაგვარებლად აქვს აღებული, რეალურად ვერ ამართლებს. ერთი შეხედვით, არც ცდილობენ მდგომარეობის შეცვლას, რასაც გარკვეული საფუძველი აქვს, წინასაარჩევნოდ ხელისუფლება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს სათავისოდ იყენებს და საკუთარ სცენარს ახვევს თავს. ეს რეალობა არჩევნებში ნათლად ჩანს. შესაბამისად, ეკონომიკა იზრდება, სოციალური ფონი კი ისევ არასახარბიელოა, რაც ადამიანებს სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულს ხდის.

ლევან ნატროშვილი

დეპუტატების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები

თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები 6-თვიანი დაგვიანებით – ივნისის დასაწყისში გაიხსნა. ვებგვერდის რამდენიმე თვით გათიშვას,ანტიკორუფციულ ბიუროში,ტექნიკური ხარვეზით ხსნიდნენ (*ეს არგუმენტი დიდად დამაჯერებლად არ ჩანს – რედ. შენიშვნა*). თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანტიკორუფციული ინსტრუმენტია. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონი თანამდებობის პირებს ავალდებულებს ყოველ წელს საკუთარი კავშირების, ინტერესის, ქონებისა და ფინანსების გასაჯაროებას. პროცესი ელექტრონულია და შევსებული დეკლარაციები ხელმისაწვდომია სპეციალურ ვებგვერდზე – declaration.acb.gov.ge. საჯაროობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია თანამდებობის პირების უკანონო გამდიდრების გამოვლენა. თუმცა, რამდენად კარგად სრულდება ეს კანონი, ეს მეორე საკითხია. გთავაზობთ რამდენიმე დეპუტატის ქონებრივი დეკლარაციის მონაცემებს, მათ შორის ისეთი დეპუტატების, რომლებსაც საზოგადოება კარგად იცნობს წარსული სპორტული საქმიანობიდან.

ილია ინჯია: მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრს ქონებრივი დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 27 იანვარს. ილია ინჯია დაიბადა 1978 წლის 15 აგვისტოს, თბილისში. დეპუტატის ოჯახის წევრებია: მეუღლე ნინო ჩიქოვანი, შვილები – ილია და ლილი ინჯიები.

დეკლარაციის მიხედვით, ილია ინჯიას სახელზეა რეგისტრირებული 117 კვ.მ საცხოვრებელი სახლი და 15 კვ.მ ავტოფარეხი, რომელიც რუსეთში, ქალაქ მოსკოვში მდებარეობს. დოკუმენტში მითითებულია, რომ ილია ინჯიას ეს ქონება 2020 წელს ჩუქების სახით გადაეცა. დეპუტატის საკუთრებაშია 150 კვ.მ ბინა თურქეთის კურორტ ალანიაში, შეძენილია 2008 წელს, ფასი – 360 000 ევრო.

მისი მეუღლის, ნინო ჩიქოვანის 50 პროცენტიან მფლობელობაშია 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი ბეთანიაში, რომელშიც 2017 წელს 17 000 აშშ დოლარია გადახდილი. 2023 წელს ილია ინჯიამ შეიძინა კოსტავას ქუჩაზე მდებარე კომერციული ფართის 25%-იანი წილი, ფასი 30 000 დოლარი გადაიხადა. ასევე ილია ინჯიას საკუთრებაშია 2 კომერციული ფართი თბილისში, აწყურის ქუჩაზე, 2022 წელს ორივე ფართში ჯამურად 367 000 დოლარია გადახდილი. ასევე მის სახელზეა რეგისტრირებული რამდენიმე მიწის ნაკვეთი: კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოკამში, ქალაქ ბორჯომში, ქალაქ მარტვილში, სოფელ თხინვალში. დეპუტატმა 2023 წელს, თბილისში, ქიაჩელის ქუჩაზე შეიძინა 240 კვ.მ ბინა და 13 კვ.მ ავტოფარეხი, რომელშიც 365 000 ათასი დოლარი გადაიხადა. 2024 წელს შეიძინა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე 3781 მიწის ნაკვეთი, ღირებულებით – 281 ათასი დოლარი. ასევე მის სახელზეა 66 კვ.მ ბინა გუდაურში.

ილია ინჯიას საკუთრებაშია ავტომანქანები: ტოიოტა ჰაილუქსი,შეძენილია 2014 წელს,ფასი 15 000 დოლარი; კადილაკ ბრონგჰამი, რომელიც დეპუტატს 2016 წელს აჩუქეს; ჯიპ ვრანგლერი, შეძენილია 2020 წელს, ფასი 40 000 დოლარი; იაგუარი ფეისი, შეძენილია 2020 წელს ფასი 20 000 დოლარი; Porsche Cayenne Turbo, შეძენილია 2008 წელს, ფასი 90 000 დოლარი. მოტოსატრანსპორტო საშუალებები: ჰარლი დევიდსონი, შეძენილია 2010 წელს, ფასი 17 000 დოლარი; KTM 350,შეძენილია 2018 წელს,ფასი 7 000 დოლარი; ჰონდა CBR, შეძენილია 2005 წელს, ფასი 6 000 დოლარი; BMW R nineT, შეძენილია 2015 წელს, ფასი 17 000 დოლარი; ვესპა პიაჯიო, შეძენილია 2015 წელს, ფასი 3 000 დოლარი; KTM 350 EXC-F, შეძენილია 2013 წელს,ფასი 7 000 დოლარი. დეპუტატის საკუთრებაშია წყლის ტრანსპორტი – კატერი ბაილაინერი, რომელიც 2023 წელს 10 000 ლარად იყიდა. დეკლარაციაში, ილია ინჯიას მითითებულია აქვს ორი ცეცხლსასროლი იარაღი – მაუზერი, ბენელი CRIO COMFORT 12.

დეპუტატს „საქართველოს ბანკის" საბარათე ანგარიშზე აქვს – 1 300 ლარი, 3 300 დოლარი, „თიბისი ბანკში" – 6 100 ლარი, 3 700 ევრო, 10 000 დოლარი, „სბერბანკში" (რუსეთი) – 32 000 რუბლი, Bank of America – 3 100 დოლარი. ილია ინჯიას 30%-იანი წილი აქვს კომპანია „შარა ქონსთრაქშენში", საიდანაც 2024 წელს დივიდენდის სახით 30 000 ლარი მიიღო, ასევე 80%-იანი წილი ეკუთვნის კომპანია „სინთე ენერჯი"-ში, 2024 წელს დივიდენდის სახით 5 700 000 ლარი მიიღო. ილია ინჯიას 2024 წელს, კომპანია „სისტემ ნეტ საქართველოში" დირექტორის პოზიციაზე მიღებული აქვს 66 900 ლარის ხელფასი. ასევე შარშან, დეპუტატობამდე, შპს ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – „ფოპტნეტის" დირექტორის პოზიციაზე მიღებული აქვს 211.3 ათასი ლარის მოცულობის ხელფასი, შპს „შარა ქონსთრაქშენში" დირექტორის პოზიციაზე ხელფასი – 9.2 ათასი ლარი, 2024 წლის ბოლოს კი დეპუტატის პოზიციიდან მისმა ხელფასმა 5 ათასი ლარი შეადგინა. ასევე მას რამდენიმე ათასიანი შემოსავალი როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, მიღებული აქვს სხვადასხვა კომპანიაში არსებული წილებიდან და ივჯარით გაცემული ქონებიდან. დეკლარაციის მიხედვით, 2024 წელს ილია ინჯიას მშობელმა 39 000 ევრო, 30 600 დოლარი, 27 000 ლარი აჩუქა.

შოთა ბერეკაშვილი: მე-11 მოწვევის დეპუტატი,

დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 27 იანვარს. შოთა ბერეკაშვილი დაიბადა 1974 წლის 16 ოქტომბერს, ქუთაისში. მისი ოჯახის წევრებია მეუღლე მაკა კვიციანი, შვილები თამაზ, დავით და ნიკოლოზ ბერეკაშვილები.

დოკუმენტის მიხედვით, დაბა ბაკურიანში, 1300 კვ.მ მიწის ნაკვეთის 50%-ს მფლობელია მაკა კვიციანი, რომელშიც 2022 წელს 150 000 დოლარია გადახდილი. ასევე მაკა კვიციანის სახელზეა სხვადასხვა სახის ქონება – 55 კვ.მ ბინა ბაკურიანში, შეძენილია 2014 წელს, ფასი 50 000 დოლარი; 1 196 კვ.მ მიწის ნაკვეთი თბილისში, ხახულის ქუჩაზე, შეძენილი 2019 წელს, ფასი 300 000 დოლარი; 1200 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, ხახულის ქუჩაზე, შეძენილია 2016 წელს, ფასი 900 000 დოლარი.

შოთა ბერეკაშვილის სახელზეა მიწის ნაკვეთები თბილისში ბაგების სატყეო ტერიტორიაზე – 881 კვ.მ და უჩანეიშვილის ქუჩაზე – 91 კვ.მ, რომლებშიც 2024 წელს, ჯამში, 592 900 ევრო გადაიხადა. მას აქვს ბინა ქალაქ ქუთაისში. ასევე მის სახელზეა 96 კვ.მ მიწის ნაკვეთი ბაგების სატყეო უბანში, შეძენილია 2024 წელს, ფასი 47 400 ევრო. დეპუტატის საკუთრებაშია ავტომანქანები: Toyota Landcruiser 200, შეძენილია 2016 წელს, ფასი 75 000 დოლარი; PORSHE CAYENE, შეძენილია 2019 წელს, ფასი 75 000 ევრო.

დეკლარაციის მიხედვით, შოთა ბერეკაშვილის „საქართველოს ბანკში“ ანაბარზე განთავსებული აქვს 140 128 დოლარი. მას დანაზოგის გრაფაში მითითებული აქვს – 37 000 ლარი და 40 000 დოლარი.

დეპუტატს, 2024 წელს შპს „ბკ ჰოლდინგის“ 50%-იანი წილიდან მიღებული აქვს 4 712 134 ლარის შემოსავალი, ხოლო დეპუტატის პოზიციაზე – 5 500 ლარი. შარშან შოთა ბერეკაშვილმა შეიძინა 3 უძრავი ქონება, რომელშიც მთლიანობაში 640 200 ევრო გადაიხადა.

ლაშა ტალახაძე: მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრს დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 27 იანვარს. ლაშა ტალახაძე დაიბადა 1993 წლის 2 ოქტომბერს. დეპუტატის ოჯახის წევრები არიან მეუღლე ანა დემურია, შვილები – ნიცა, ელენე და მარიამ ტალახაძეები.

დოკუმენტის მიხედვით, ანა დემურიას სახელზეა რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევში 581 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შეძენილია 2024 წელს, ფასი 20 000 დოლარია. ასევე მის საკუთრებაშია ორი მშენებარე ბინა ბათუმში (55.3 კვ.მ და 35.5 კვ.მ) და მასში 2020 წელს 28 000 ლარი და 20 000 დოლარია გადახდილი. 2024 წელს ანა დემურიამ თბილისში, თეიმურაზ I-ის ქუჩაზე შეიძინა ორი ბინა – 55.9 კვ.მ, ფასი 35 000 დოლარი და 84,9 კვ.მ ბინა, ფასი 45 000 დოლარი. მის სახელზეა რეგისტრირებული 71.6 კვ.მ ბინა თბილისში, კანდელაკის ქუჩაზე, შეძენილია 2022 წელს, ფასი 63 000 დოლარი; 1 990 კვ.მ მიწის ნაკვეთი აკაციის ქუჩაზე, შეძენილია 2024 წელს, ფასი 440 000 დოლარი.

დეკლარაციის მიხედვით, ლაშა ტალახაძის სახელზეა რეგისტრირებული თბილისში, კანდელაკის ქუჩაზე 3 ბინა და ერთი ტერასა, რომელიც 2021-2022 წლებში შეიძინა და ჯამში ოთხივე უძრავ ქონებაში 305 000 დოლარი გადაიხადა. დეპუტატმა და სპორტსმენმა 2021 წელს 57 ათას დოლარად შეიძინა ჩაჩავას ქუჩაზე 77.6 კვ.მ ბინა, ხოლო 2024 წელს თბილისში საბურთალოს რაიონში 45.6 კვ.მ ბინა – 40 ათასი დოლარად. ლაშა ტალახაძის საკუთრებაშია 370 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ ნავდარაანთკარში, შეძენილია 2022 წელს, ფასი 20 ათას დოლარი; დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბაგაში 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შეძენილია 2020 წელს, ფასი 125 000 დოლარი და თბილისში ნუცუბიძის ფერდობზე 601 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ფასი 85 ათასი დოლარი.

ლაშა ტალახაძეს აქვს 2 ავტომობილი – BMW XM 2024 (132 ათასი ევრო) და DODGE (20 ათასი დოლარი). მისი მეუღლის ანა დემურიას სახელზეა რეგისტრირებული ავტომობილი TOYOTA PRADO 2021 (43.4 ათასი დოლარი).

ლაშა ტალახაძეს „საქართველოს ბანკის“ შემნახველ ანაბარზე 1 000 000 ლარი აქვს განთავსებული. იგი არის შპს „ჰილსაიდ საქართველოს“ 26%-ანი მეწილე, საიდანაც 2024 წელს 680 000 დოლარის შემოსავალი მიიღო. 2024 წელს ლაშა ტალახაძემ სპორტსმენის სტატუსით, 333 000 ლარის შემოსავალი მიიღო, ამაში შედის სხვადასხვა კომპანიის სასპონსორო თანხა. ასევე მიიღო შსს-ს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე 12 800 ლარი, ხოლო დეპუტატის სარგო – 5 ათასი ლარი.

გენო პეტრიაშვილი: მე-11 მოწვევის დეპუტატი, დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 26 იანვარს. გენო პეტრიაშვილი დაიბადა 1994 წლის პირველ აპრილს, ქალაქ გორში. მისი ოჯახის წევრები არიან მეუღლე ნინო მშვიდობაძე, შვილები სოფიო და ელისაბედ პეტრიაშვილები.

დეკლარაციის მიხედვით, გენო პეტიაშვილს აქვს რამდენიმე ბინა თბილისში – 93 კვ.მ ლუბლიანას ქუჩაზე, შეძენილია 2014 წელს, ფასი 55 000 დოლარი; 46.5 კვ.მ საბურთალოზე და 83 კვ.მ ნავთლუღის ქუჩაზე, რომელიც ჩუქების ფორმით აქვს გადაცემული. ასევე მას აქვს 100 კვ.მ სახლი ქალაქ გორში, შეძენილია 2022 წელს, ფასი 80 000 დოლარი და 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გაიჩაანთუბანში, შეძენილია 2024 წელს 500 დოლარად.

მისი მეუღლის ნინო მშვიდობაძის სახელზეა რეგისტრირებული 192 კვ.მ ბინა აბულაძის ქუჩაზე, შეძენილია 2020 წელს, ფასი 190 ათასი დოლარი. დოკუმენტის მიხედვით გენო პეტრიაშვილის საკუთრებაშია 4 ავტომანქანა: TOYOTA RAV4 შეძენილია 2024 წელს, ფასი 20 000 დოლარი;

TOYOYTA LC 76 შეძენილია 2024 წელს, ფასი 45 000 ლარი; TOYOYTA LC 76 შეძენილია 2024 წელს, ფასი 55 000 ლარი). ნინო მშვიდობაძის სახელზეა რეგისტრირებული LEXUS NS, შეძენილია 2022 წელს, ფასი 20 000 დოლარი. ასევე გენო პეტრიაშვილს აქვს 8500 ევროს ღირებულების HUBLOT-ის ბრენდის საათი, ხოლო მის მეუღლეს – 5930 ევროს ღირებულების CARTIER-ის საათი.

გენო პეტრიაშვილს ბანკი „ქართუს" მიმდინარე ანგარიშზე აქვს 30 200 ლარი, „კრედო ბანკში" 55 800 ლარი, „თიბისი ბანკში" 680 000 ლარი. შპს „ჩემპიონი საქართველო" 33%-ანი წილიდან მიიღო 72 200 ლარი. მას 2024 წელს სპორტული საქმიანობიდან მიღებული აქვს 1 600 000 ლარი, აქ შედის სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგისთვის ჯილდო – 1 000 000 ლარი. 2024 წელს გენო პეტრიაშვილის საქართველოს პარლამენტის წევრის სარგო იყო 5 000 ლარი.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი: მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2024 წლის 15 ოქტომბერს. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი დაიბადა 1991 წლის 18 მარტს. მისი ოჯახის წევრია დედა – ქეთევან გაგნიძე. დეკლარაციის მიხედვით, ვლადიმერ ხინჩეგაშვილს აქვს 39 კვ.მ ბინა ბათუმში, რომელიც 2017 წელს ჩუქების სახით მიიღო, ასევე მის სახელზეა რეგისტრირებული გორში 122 კვ.მ ბინა, შეძენილია 2020 წელს, ფასი 2 000 დოლარი. 105 კვ.მ ბინა თბილისში, ჟვანიას ქუჩაზე, შეძენილია 2012 წელს, ფასი 108 000 დოლარი; 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კევისხევში, შეძენილია 2014 წელს, ფასი 19 000 დოლარი; 6429 კვ.მ კომერციული ფართი გორში, შეძენილია 2024 წელს, ფასი 185 500 ლარი; 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ წავკისში, შეძენილია 2016 წელს, ფასი 10 000 დოლარი. ასევე მის სახელზე რეგისტრირებული რამდენიმე მიწის ნაკვეთი გორის მუნიციპალიტეტში.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა 2024 წელს 19 000 დოლარად შეიძინა ავტომობილი VOLVO TB 2019. დეკლარაციის მიხედვით, დეპუტატს „საქართველოს ბანკსა და „თიბისი ბანკში" შენახული აქვს 22 800 დოლარი, 2 500 ევრო და 16 700 ლარი.

ნინო წილოსანი: მე-11 მოწვევის დეპუტატი. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 28 იანვარს. ნინო წილოსანი დაიბადა 1982 წლის 19 თებერვალს თბილისში. მისი ოჯახის წევრია შვილი – მარიამ აბულაძე.

დეკლარაციის მიხედვით, ნინო წილოსანს აქვს 163 კვ.მ კომერციული ფართი, თბილისში მოსეშვილის ქუჩაზე, ასევე 144 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი დადიანის ქუჩაზე, შეძენილია 2023 წელს, 80 000 ლარად; არასაცხოვრებელი ფართი ქვიშხეთის ქუჩაზე, ფასი 60 ათასი ლარი; 409 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაბა ურეკში, შეძენილია 2023 წელს, ფასი 40 ათასი ლარი; 225 კვ.მ ბინა, თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, შეძენილია 2014 წელს, ფასი – 250 000 ლარი. დეპუტატმა 2024 წელს იყიდა 190 კვ.მ ბინა და 18 კვ,მ ავტოფარეხი, ზალდასტანიშვილის ქუჩაზე, ორივეში 490 000 დოლარი გადაიხადა. ნინო წილოსანის საკუთრებაშია ავტომობილი LAND ROVER DEFENDER , შეძენილია 2024 წელს, ფასი – 95 000 დოლარი. ნინო წილოსანს „საქართველოს ბანკში", „თიბისი ბანკსა" და „ლიბერთი ბანკში" შენახული აქვს 24 706 ლარი, 73 806 დოლარი. დეკლარაციის მიხედვით, დეპუტატს აქვს დანაზოგი 70 000 ლარი და 100 000 დოლარი. ნინო წილოსანი არის შპს „მკურნალი 2022" 52%-ანი წილის მფლობელი, საიდანაც 2024 წელს მიღებული აქვს 70 886 ლარი. დეპუტატმა ფართების იჯარიდან მიიღო 228 887 ლარის შემოსავალი. მას შარშან დეპუტატის პოზიციაზე მუშაობიდან 60 096 ლარის ხელფასი აქვს მიღებული.

ვიქტორ სანიკიძე: მე-11 მოწვევის დეპუტატი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე. დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 17 თებერვალს. ვიქტორ სანიკიძე დაიბადა 1984 წლის 1 მარტს, თბილისში. მისი ოჯახის წევრები არიან – მეუღლე მაია ბიწაძე, შვილები ნიკალა და სანი სანიკიძეები.

დეკლარაციის მიხედვით მისი მეუღლის მაია ბიწაძის სახელზეა რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები თბილისში – 95,5 კვ.მ ჭავჭავაძის გამზირზე და 219 კვ.მ 18 კვ.მ ავტოფარეხით ნუცა ღოღობერიძის ქუჩაზე, შეძენილია 2023 წელს, სამივე ფართის ფასია – 590 000 დოლარი.

ვიქტორ სანიკიძეს მემკვიდრეობით აქვს მიღებული 820 კვ.მ მიწის ნაკვეთი მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კოტორაანთკარში და კუტუზოვის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის 33%. ასევე მის სახელზეა რეგისტრირებული 175 კვ.მ ბინა თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე, შეძენილია 2012 წელს, ფასი 180 000 დოლარი. ვიქტორ სანიკიძეს დეკლარაციაში მითითებული აქვს მაჯის საათი ROLEX, შეძენილია 2015 წელს, ფასი 11 000 ევრო, ასევე მისი მეუღლის მაჯის საათი ROLEX, შეძენილია 2017 წელს, ფასი 8 000 დოლარი.

დეპუტატს EFG BANK- European Financial Group-ში აქვს 193 000 დოლარის დეპოზიტი, BPER-Banca popolare dell'Emilia Romagna-ში 12 855 ევროს დეპოზიტი. დეკლარაციის მიხედვით, ვიქტორ სანიკიძეს დაგროვილი აქვს ხელფასი 50 000 დოლარი. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პოზიციაზე მიღებული აქვს 61 530 ლარი, ხოლო დეპუტატის პოზიციაზე – 46 275 ლარი.

ვახტანგ თურნავა: მე-11 მოწვევის დეპუტატი,

დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 28 თებერვალს. ვახტანგ თურნავა დაიბადა 1988 წლის 25 ივლისს, თბილისში. ოჯახის წევრია შვილი თაია თურნავა.

დეკლარაციის მიხედვით, ვახტანგ თურნავას აქვს ორი საცხოვრებელი სახლი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე (62 კვ.მ და 84 კვ.მ) და სამი ავტოფარეხი, შეძენილია 2024-2021 წლებში, მთლიანობაში მათი ფასი შეადგენს 170 000 დოლარს. ასევე დეპუტატს დეკლარაციაში მითითებული აქვს 7 საათი: Rolex Milgauss შეძენილია 2019 წელს, ფასი 13 436 ევრო; Rolex Datejust 41 შეძენილია 2020 წელს, ფასი 16 428 ევრო; Audemars Piguet Royal Oak Chronograph შეძენილია 2023 წელს, ფასი 47 312 ევრო; Rolex Datejust 41 შეძენილია 2023 წელს, ფასი 10 346 ევრო; Rolex Cosmograph Daytona შეძენილია 2022 წელს, ფასი 44 502 ევრო; Rolex Yacht-Master 40 შეძენილია 2021 წელს, ფასი 25 767 ევრო; Rolex GMT-Master II შეძენილია 2022 წელს, ფასი 19 900 ევრო.

ვახტანგ თურნავას 2021 წლიდან აქვს Making Science Group SA-ს 52 200 აქცია, ნომინალით 8.4 ევრო. ასევე 13 ბიტკოინი, შეძენილი აქვს 2022 წელს, გადახდილია 200 000 ევრო. დეპუტატს „საქართველოს ბანკში" დეპოზიტებზე განთავსებული აქვს – 220 000 ლარი, 16 245 ევრო, 76 650 ევრო. დანაზოგის სახით მითითებული აქვს 430 000 ევრო. 2024 წელს დეპუტატის პოზიციაზე აღებული აქვს 4 778 ლარის ხელფასი.

ანტონ ობოლაშვილი: მე-11 მოწვევის დეპუტატი, დეკლარაცია ჩაბარებული აქვს 2025 წლის 21 თებერვალს. ანტონ ობოლაშვილი დაიბადა 1974 წლის 1 მარტს, ადიგენში. მისი ოჯახის წევრია მეუღლე – ლია ობოლაშვილი. ანტონ ობოლაძის სახელზეა რეგისტრირებული ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში 3 მიწის ნაკვეთის 33%-იანი წილები. ლია ობოლაშვილის საკუთრებაშია 78,4 კვ.მ ბინა ბაკურიანში, შეძენილია 2020 წელს, ფასი 366 658 ლარი; 53,5 კვ.მ ბინა ბაკურიანში, შეძენილია 2012 წელს, ფასი 75 242 ლარი; 100,4 კვ.მ ბინა თბილისში, თამარ მეფის გამზირზე, შეძენილია 2003 წელს, ფასი 7 500 ლარი; 14 კვ.მ ავტოფარეხი ჭავჭავაძის გამზირზე, შეძენილია 2012 წელს, ფასი 10 000 ლარი; 1 201 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ წავკისში, შეძენილია 2012 წელს ფასი 2 000 ლარი; 8,614 კვ.მ საცხოვრებელი სახლი მცხეთაში, შეძენილია 2019 წელს, ფასი 100 000 ლარი; 196,4 კვ.მ ბინა ჭავჭავაძის გამზირზე, შეძენილია 2012 წელს, ფასი – 429 777 ლარი.

ანტონ ობოლაშვილის საკუთრებაშია 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ წავკისში, შეძენილია 2007 წელს, ფასი 2 000 დოლარი; 11,8 კვ.მ ავტოფარეხი საფრანგეთში, პარიზში, შეძენილია 2019 წელს, ფასი 58 000 ევრო; 66.05 კვ.მ ბინა დუბაიში, შეძენილია 2015 წელს, ფასი 2 816 847 AED (AED – არაბთა გაერთიანებული საამიროების დირჰამი); 123,6 კვ.მ ბინა დუბაიში, შეძენილია 2013 წელს, ფასი 1 626 562 AED; 130 კვ.მ ბინა საფრანგეთში, პარიზში, შეძენილია 2014 წელს, ფასი 1 165 025 ევრო.

ანტონ ობოლაშვილის საკუთრებაშია ავტომანქანები: PORSHE-CAYENE IW552II შეძენილია 2018 წელს, ფასი 96 000 ლარი; PORSHE-CAYENE (FR) EE757MD შეძენილია 2016 წელს, ფასი 55 000 ევრო. მისი მეუღლის საკუთრებაშია ავტომანქანა PORSHE-CAYENE AL777KD შეძენილი 2023 წელს, ფასი 127 000 ევრო. ასევე ანტონ ობოლაშვილს აქვს ორი ძვირადღირებული საათი: A.Lange & SOHNE შეძენილია 2018 წელს, ფასი 17 000 დოლარი, Vacheron Constantin შეძენილია 2022 წელს, ფასი 15 500 ლარი. დეპუტატს „საქართველოს ბანკის", „ბაზისბანკისა" და „თიბისი ბანკის" ანგარიშებზე უფიქსირდება 32 189 დოლარი, 79 720 ლარი, 27 813 ევრო, ასევე Societe General-სა და LCL-ს ანგარიშებზე 107 953 ევრო. დეპუტატს დანაზოგის გრაფაში მითითებული აქვს 110 000 ლარი, 55 000 დოლარი, 60 000 ევრო.

ანტონ ობოლაშვილი არის შპს „გლობალფარმის" 100%-ანი წილის მფლობელი, საიდანაც დივიდენდის სახით მიღებული აქვს 4 860 828 ლარი. დეპუტატის სარგო შეადგენს 44 786 ლარს. დეპუტატი ასევე შემოსავალს იღებს დუბაიში რეგისტრირებული ბინების გაქირავებიდან. მისი მეუღლე ლია ობოლაშვილი არის შპს beauty life-ს დირექტორი, საიდანაც მიღებული აქვს 172 490 ლარი.

მაკა ხარაზიშვილი

კახა კალაძემ 2024 წელს $4.6 მილიონის ბიტკოინი იყიდა

კახა კალაძემ 2024 წელს 66 ბიტკოინი იყიდა, რაშიც 4 645 315,07 დოლარი გადაიხადა, – ამის შესახებ თბილისის მერის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაშია აღნიშნული, რომელიც მან 2025 წლის 31 იანვარს წარმოადგინა.

თვის დასაწყისში კალაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ უცხოურ ბანკებთან ამჟამად არანაირი ურთიერთობა არ აქვს.

***„ევროპულ ბანკებში თანხები არ მაქვს. ეს დადასტურებული ინფორმაციაა. დეკლარაციაშიც არის ასახული. თანხები, რაც ევროპულ ბანკებში მქონდა კონკრეტულ კომპანიაზე გავასესხე, შემდეგ თანხები დამიბრუნდა, შევიძინე კრიპტოვალუტა და უცხოურ ბანკებთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს, რასაც თავისი ახსნა აქვს", –* **თქვა კალაძემ.**

განახლებული ფასს სტანდარტები სამსახურის ვებგვერდზე განთავსდა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) უფროსის, 2025 წლის 8 მაისის ნ-4 ბრძანების შესაბამისად, სამოქმედოდ იქნა შემოღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) ლურჯი წიგნის 2025 წლის გამოცემა. ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტები სამსახურის ვებგვერდზე განთავსდა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ცვლილებები შევიდა შემდეგ სტანდარტებში: ბასს 21 „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ და ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“.

რეზერვების შევსება კვლავაც დარჩება ჩვენს მთავარ ამოცანად – ნათია თურნავა

დღეის მონაცემებით, ჩვენ შარშან შემოდგომაზე გაყიდული თანხების ოდენობას ბევრად ვაჭარბებთ, – განაცხადა სებ-ის პრეზიდენტმა ნათია თურნავამ რეზერვების შესახებ საუბრისას.

მისი თქმით, ასევე ინფლაციური მოლოდინები კარგად არის მართული.

„მოგეხსენებათ, ჩვენი მონეტარული პოლიტიკა უზრუნველყოფს ფასების დონის სტაბილურობას. 2023 წლის შემდეგ, ინფლაცია ძირითადად მიზნობრივ 3%-იანი მაჩვენებელზე ქვევით ნარჩუნდება. 2023-2024 წლების საშუალო ინფლაციამ 1.8% შეადგინა. მაისის მდგომარეობით 3.5% შეადგინა, რაც ასევე ჩვენს პროგნოზს შეესაბამება და ახლოსაა მიზნობრივ დონესთან. სავალუტო ფონდის პროგნოზიცაა, რომ წელს გარკვეულწილად 3.4%-ის დონეზე დარჩება საშუალოდ და 2026 წელს უფრო დაუბრუნდება თავის მიზნობრივ დონეს“, – განაცხადა თურნავამ.

მისი თქმით, მეორე ამოცანა, რომელიც ეროვნული ბანკის წინაშე დგას, არის ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა.

„საბანკო სექტორი არის კარგად კაპიტალიზებული, აქტივების კარგი ხარისხით, საკმარისი ბუფერებით, რაც იმედს გვაძლევს, რომ გაზრდილი საერთაშორისო გაურკვევლობების პირობებში, სხვადასხვა რისკს კვლავაც გაუმკლავდება ჩვენი საფინანსო სისტემა, როგორც ამას აქამდე წარმატებით აკეთებს“, – თქვა სებ-ის ხელმძღვანელმა.

როგორც თურნავა ამბობს, იმისთვის, რომ სავალუტო ბაზარზე რყევების რისკი და საფინანსო ბაზარზე მისი ზემოქმედება შემცირდეს, აგრძელებენ თანმიმდევრულ ლარიზაციის პოლიტიკას.

რაც შეეხება სავალუტო რეზერვების შევსებას, სებ-ში ამბობენ, რომ ეს მნიშვნელოვანი ამოცანაა.

„უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა, კერძოდ, ძლიერმა სავალუტო შემოდინებებმა, სებ-ს საშუალება მისცა მნიშვნელოვანი ოდენობით დაებალანსებინა უცხოური ვალუტის გაყიდვები, რისი განხორციელებაც ჩვენ შარშან შემოდგომაზე მოგვიხდა. დღეის მონაცემებით, ჩვენ შარშან შემოდგომაზე გაყიდული თანხების ოდენობას ბევრად ვაჭარბებთ და კვლავაც გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

„კრისტალი“ მომხმარებელზე მორგებულ სერვისებს ავითარებს

„კრისტალი“, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდეგ, აქტიურად განაგრძობს ტექნოლოგიურ განვითარებას და ამ პროცესში ინოვაციური პროექტებს ახორციელებს, რომლის მიზანი საბანკო მომსახურების განვითარებაა.

ამჯერად, „კრისტალი“ ციფრული ტრანსფორმაციის ფარგლებში ახალ ეტაპზე გადადის და მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით Optio-s CRM პლატფორმას ნერგავს, რომელიც ხელოვნურ ინტელექტის გამოყენებით ხელს უწყობს მომხმარებლების საჭიროებების უკეთ აღქმას და მათზე მაქსიმალურად მორგებული მომსახურების მიწოდებას.

Optio-ს პლატფორმა „კრისტალს“ საშუალებას აძლევს, ერთ სივრცეში გააერთიანოს მომხმარებელთა მონაცემები, დააკვირდეს ქცევით ტენდენციებს და მათი ანალიზის საფუძველზე შექმნას მეტად პერსონალიზებული, მიზნობრივი შეთავაზებები და ეფექტიანი კომუნიკაციის ფორმა.

„საბანკო ტრანსფორმაცია კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენს მომხმარებლებთან ურთიერთობაში. იმისთვის, რომ უკეთ მოვემსახუროთ მათ, კარგად უნდა ვახერხებდეთ მათი საჭიროებების ანალიტიკას. სწორედ ეს შესაძლებლობა მოგვცა Optio-მ – მოქნილი, ინტელექტუალური და მონაცემებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებით“, – აღნიშნავს კრისტალის გენერალური დირექტორი ილია რევია.

როგორც Optio-ს აღმასრულებელი დირექტორი, შოთა გიორგობიანი აცხადებს:

„კრისტალი ყოველთვის გამოირჩეოდა მომხმარებელზე ორიენტირებულობით. ჩვენთვის დიდი პატივია მათთან თანამშრომლობა და იმ პროცესში მონაწილეობა, რაც საბოლოოდ მომხმარებლებს მეტად პერსონალიზებულ და მიზნობრივ ფინანსურ მომსახურებას შესთავაზებს“.

„კრისტალის“ სტრატეგია – პერსონალიზებულ მომსახურებაზე ორიენტაცია, მომხმარებლების შესაძლებლობების გაძლიერება და ტექნოლოგიური განვითარება, საფინანსო ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის ახალ ფორმას ქმნის, რომელიც სარგებელს მოუტანს როგორც „კრისტალს“, ასევე მის 130 000-ზე მეტ მომხმარებელს.

„კრისტალისთვის“ ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტულობა განსაკუთრებით იზრდება საბანკო ტრანსფორმაციის პროცესში, რომელსაც კომპანია ამჟამად გადის და 16 ივნისიდან მომხმარებლებს სრულ საბანკო სერვისებს შესთავაზებს.

წელს ჯანმრთელობის დაზღვევა 9-15%-ით გაძვირდება – დაზღვევის კავშირი

„მიმდინარე წელს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტების გაძვირება 9-15%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი“, – განაცხადეს ორგანიზაცია დაზღვევის კავშირში

როგორც ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ლაშა ნიკოლაძემ აღნიშნა, სამედიცინო დაზღვევის გაძვირებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორისაა ინფლაცია, სამედიცინო სერვისებსა და მედიკამენტებზე ფასების ზრდა. კავშირში აღნიშნავენ, რომ მეორე კომპონენტი თავად მოსახლეობის მხრიდან დაზღვევის სერვისების გამოყენების ზრდაა.

„ვფიქრობ, წელს სამედიცინო დაზღვევის პაკეტი ყველაზე მინიმუმ 9%-ით გაძვირდება. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო დაზღვევის ფასების ზრდა მხოლოდ ინფლაციით არაა განპირობებული. კერძო დაზღვევის დიზაინი მომხმარებლის სურვილების გათვალისწინებითაც იცვლება. მოსახლეობა მუდმივად ამატებს ახალ სამედიცინო სერვისებს, ლიმიტებს და ამის გამოც ძვირდება ჯანმრთელობის დაზღვევა“, – განაცხადა ნიკოლაძემ. მისი ვარაუდით, წელს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტებზე ფასების ზრდა 9-15%-ის ფარგლებში იქნება.

ცნობისთვის, საქსტატის მონაცემებით, მაისში ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი წლიურად საშუალოდ თითქმის 9%-ით იყო გაძვირებული.

მსოფლიო ბანკმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა

მსოფლიო ბანკმა საქართველოს 2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0.5 პროცენტული პუნქტით შეამცირა. ახალი პროგნოზით წელს ზრდა აქამდე ნავარაუდევი 6%-ის ნაცვლად, 5.5% იქნება, – ამის შესახებ აღნიშნულია გლობალურ ეკონომიკურ მიმოხილვაში, რომელიც მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა.

საქართველოს შესახებ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2024 წელთან შედარებით ზრდა უფრო ნაკლები იქნება და ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი რეექსპორტის და ადგილობრივი მოხმარების მოსალოდნელი შემცირება იქნება.

„ზრდა საქართველოსა და სომხეთში მოსალოდნელია, რომ 2024 წელთან შედარებით შემცირდება, რაც შემცირებულ ადგილობრივ მოთხოვნას და რეექსპორტის კლებას უკავშირდება, რის შედეგადაც ამ ქვეყნებში ზრდის პროგნოზი მათ პოტენციურ ზრდის მაჩვენებელს დაუახლოვდება“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

მსოფლიო ბანკის თანახმად, რეგიონის ქვეყნებში 2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები ასე ნაწილდება:

- საქართველო – 5.5%, კლება წინა პროგნოზთან 0.5 პპ;
- სომხეთი – 4%, კლება წინა პროგნოზთან 1 პპ;
- აზერბაიჯანი – 2.6%, კლება წინა პროგნოზთან 0.1% პპ;
- რუსეთი – 1.4%, კლება წინა პროგნოზთან 0.2% პპ;
- უკრაინა – 2%, ცვლილება წინა პროგნოზთან 0 პპ;
- თურქეთი – 3.1%, ზრდა წინა პროგნოზთან 0.5 პპ.

მნიშვნელოვანია გარემოება, რომ მსოფლიო ბანკისგან მკვეთრად განსხვავებული პროგნოზი აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF), რომელმაც რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6%-დან 7.2%-მდე გაზარდა. შესაბამისად, ამ ორ პროგნოზს შორის სხვაობა ამჟამად 1.2 პროცენტულ პუნქტს შეადგენს.

რაც შეეხება ფაქტობრივ მაჩვენებლებს, 2025 წლის პირველ 4 თვეში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 8.8% შეადგინა. მიმდინარე წლის ბიუჯეტი 6%-იან ზრდაზე არის დაგეგმილი.

„ქართული ევრობონდების ვაჭრობა BB რეიტინგსაც არ შეესაბამება“

„ქართული ევრობონდების ვაჭრობა BB რეიტინგსაც არ შეესაბამება“, – ამის შესახებ „ანალიტიკას“ ეთერში ფინანსისტმა ვასილ რევიშვილმა, Fitch-ის საკრედიტო რეიტინგის შეფასებისას ისაუბრა.

როგორც ის აღნიშნავს, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი და არაპროგნოზირებადობა როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების შემცირებას იწვევს, რაც აისახა ქვეყნის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგზე.

„რომ შევადაროთ სპრედი, რამდენად ივაჭრება ქართული ევრობონდი, რაც რისკებს კარგად ასახავს, BB რეიტინგსაც არ შეესაბამება. უფრო მაღალი სპრედია, ბონდი უფრო იაფია, ვიდრე BB ბონდი უნდა იყოს. რეალურად ინვესტორებისთვის ის სიტყვები, რასაც Fitch ამბობს, იმის მაჩვენებელია, რომ სიტუაცია უარესდება, BB სტაბილური არ არის და მნიშვნელოვნად ნეგატიური მოლოდინებია.

სწორედ იმ მმართველობის გადაცდომების, არცოდნის თუ შეგნებული ბოროტების გამო ხდება ის, რომ უცხოელ თუ ადგილობრივ ინვესტორს (და ვამბობ, რომ ინვესტიციები არ ხორციელდება), არანაირი პროგნოზირებადობა

ხელისუფლებაში მყოფი ძალების ხვალინდელ გადაწყვეტილებაზე არ აქვთ. ხვალ შეიძლება მოვიდეს კანონი, რომელიც, სიტყვაზე, კერძო ბიზნესების ფორმების ნაციონალიზაციას მოითხოვს. გვაქვს არაპროგნოზირებადობა, უარყოფითი მოლოდინები და ციფრები, რომლებიც არ არის კარგი და რეალური“, – ამბობს ვასილ რევიშვილი.

ცნობისთვის, მაისის ბოლოს Fitch-მა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი „BB“ დონეზე, პერსპექტივა კი „ნეგატიურზე“ დატოვა.

სავალუტო ფონდის პოზიცია რომ დადებითი იყოს, ხვალვე მიმართავდა მთავრობა პროგრამისთვის – რომან გოცირიძე

სებ-ის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე აცხადებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მხრიდან არაა თანხმობა საქართველოსთან ახალი პროგრამის დაწყებაზე და სწორედ ამიტომ არ ითხოვს „ქართული ოცნება“ პროგრამას.

რომან გოცირიძის თქმით, ნაბიჯები რომელიც იდგმება, იგივე სახელმწიფო საწარმოების რეფორმის დაანონსება, არაა თანხვედრაში სავალუტო ფონდის მიერ განსაზღვრულ მიზნებთან და პოლიტიკური საფუძველი აქვს. მათ შორის, რომან გოცირიძე ირაკლი კობახიძის მიერ სახელმწიფო საწარმოებში კადრების ოპტიმიზაციის დაანონსებას ირაკლი ღარიბაშვილის კადრების ჩანაცვლების მოტივს უკავშირებს.

„ფონდის პროგრამა არ იქნება, არ მოუთხოვია მთავრობას, რადგან იცის, რომ უარს მიიღებს. სავალუტო ფონდის პოზიცია რომ დადებითი იყოს, ხვალვე მიმართავდა მთავრობა და ეროვნული ბანკი პროგრამის განახლებაზე. მით უმეტეს, კობახიძემ განაცხადა სახელმწიფო საწარმოების რეფორმას ვაპირებო, 52 მილიონ ლარი დაიზოგება ხალხის ოპტიმიზაციითო, ანუ ამ უწყებებში ვინც გვყავდა გაფორმებული, ამდენს ჭამდაო ყოველწლიურად, ხოლო მომავალ წელს 1 მლრდ ლარი დაიზოგებაო...

სინამდვილეში, აუდიტის სამსახურში იმიტომ დაინიშნა პროკურორი, რომ რკინიგზაში მოხსნიან ყველას და კობახიძე დაიწყებს ღარიბაშვილის კადრების წმენდას, სახელმწიფო საწარმოებში, სადაც იყო ღარიბაშვილის კადრები, ჩაანაცვლებს საკუთრით, ანუ ძალაუფლების განმტკიცების ინსტრუმენტად იქნება გამოყენებული. შემცირებული ხალხი, რომელიც მათი აქტივია, სსიპ-ებში და მუნიციპალიტეტებში გადავა. რაც ახლა ხდება, სხვა მიზნითაა და განსხვავდება სავალუტო ფონდის პროგრამით შეთავაზებული ცვლილებების მიზანთან“, – აღნიშნა რომან გოცირიძემ.

„ფრთხილად ვარჩევთ კერძო პარტნიორს“ – დავითაშვილი ანაკლიის პორტის ინვესტორ კომპანიაზე

მთავრობაში აცხადებენ, რომ სახელმწიფო ანაკლიის პორტის პროექტში კერძო პარტნიორს ფრთხილად არჩევს, – განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა. ანაკლიის პორტის ინვესტორის შესარჩევ კონკურსში, მთავრობამ 1 წლის წინ ჩინური სახელმწიფო კორპორაცია CCCC უპირატეს მონაწილედ გამოაცხადა. BM.GE-მ დავითაშვილს ჰკითხა – რატომ არ გამოავლინა ხელისუფლებამ ჩინურ კონსორციუმი გამარჯვებულად ერთი წლის შემდეგაც კი და ხომ არ შეიცვალა რაიმე.

დავითაშვილის თქმით, ხელისუფლება მაქსიმალური პასუხისმგებლობით უდგება ასეთი მნიშვნელოვანი და კრიტიკულად მნიშვნელოვანი საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

„ჩვენ ფრთხილად ვარჩევთ კერძო პარტნიორს. ამავე დროს დრო არ იკარგება და პროექტის განვითარება შეუფერხებლად მიმდინარეობს და დათქმულ ვადებში ჩვენ გვექნება ახალი, თანამედროვე და საქართველოს საჭიროებაზე მორგებული პორტი“, – განაცხადა დავითაშვილმა.

მთავრობამ ჩინური სახელმწიფო კორპორაცია CCCC-ი ანაკლიის ინვესტორის შესარჩევ კონკურსში უპირატეს მონაწილედ 2024 წლის 29 მაისს გამოაცხადა. მაშინ ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა თქვა, რომ CCCC ოფიციალურად გამარჯვებულად, სავარაუდოდ, რამდენიმე დღის ვადაში დასახელდებოდა, თუმცა ამ განცხადებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგაც CCCC გამარჯვებულად გამოვლენილი არაა და ის და საქართველოს მთავრობა კვლავ მოლაპარაკებებს მართავენ.

მაისში ექსპორტი 15.8% გაიზარდა, იმპორტი 5%-ით შემცირდა

2025 წლის იანვარ-მაისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13.3%-ით – 9 მილიარდ 790 მლნ დოლარამდე გაიზარდა.

საქსტატის გამოქვეყნებული ვაჭრობის ექსპრეს მონაცემებით, ექსპორტი 14.6%-ით 2 მილიარდ 595 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო იმპორტი 7 მილიარდ 195 მლნ დოლარი იყო, რაც წლიურად 12.8%-ით არის გაზრდილი. მხოლოდ მაისში ექსპორტი 15.8%-ით 580 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაისის თვეში იმპორტი წლიურად 5%-ით შემცირდა 1 მილიარდ 341 მილიონი დოლარი შეადგინა. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2025 წლის იანვარ-მაისში 4 მილიარდ 600 მლნ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 47.0%-ია.

რუბრიკის სპონსორი –
ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა
შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC

MOORE

კითხვა-პასუხი

კითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გასცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის ----------

შ ე კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: ----------

---

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.
(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა **შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს აუდიტისა და კონსალტინგის მენეჯერი ფარნაოზ წულაია.**

კითხვა: **დირექტორზე გავეცი სესხი მარტში ეროვნულ ვალუტაში და საპროცენტო განაკვეთი ავიღე 18,27% (მგონი სწორად ვნახე). გაცემას ვბეგრავ მოგების გადასახადით. ყოველთვიურად ძირს ხელფასიდან ვაკავებ და წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადიდან შესაბამის თანხას ვიბრუნებ, ხოლო ნაპატიებ პროცენტს ვბეგრავ საშემოსავლოთი. სწორად ვიქცევით თუ არა?**

პასუხი: სწორად იქცევით მხოლოდ ნაწილობრივ. თუ ყოველთვიურად გაცემული სესხის ძირს ხელფასიდან აკავებთ და წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადიდან შესაბამის თანხას იბრუნებთ, ეს სწორია.

პროცენტის ნაწილში კი, არასწორი ისაა, რომ როგორც დირექტორზე, ასევე სხვა ნებისმიერ თანამშრომელზე გაცემული უპროცენტო ან დაბალპროცენტიანი სესხები დაბეგვრის მიზნით უნდა ჩათვალოთ 20% წლიური სარგებლით გაცემულად, თუნდაც საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე სხვა საბაზრო განაკვეთი იყოს მითითებული. სპეციალურად ამ საკითხზე, არსებობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის №34 ბრძანება „საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის საპროცენტო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“, რომელიც მოქმედია და რომლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

„1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი დამტკიცდეს 20 პროცენტის ოდენობით.

2. არანაირი სარგებელი არ მიიღება მხედველობაში რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ საკუთარი დაქირავებულისათვის ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას“.

შესაბამისად, თუ თანამშრომელს გაცემულ სესხზე პროცენტს პატიობთ, ეს ხელფასთან გათანაბრებული განაცემია და უნდა დაბეგროთ ის როგორც ხელფასი (მათ შორის, როგორც საშემოსავლო გადასახადით, ასევე სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანებით, თუ თანამშრომელი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეა), რა დროსაც ყოველთვიურად დასაბეგრი თანხა უნდა განისაზღვროს თვის განმავლობაში გაცემული სესხის ოდენობიდან წლიური 20%-იანი განაკვეთით გამოთვლილი პროცენტით. ამასთან, აღნიშნული თანხა ჩაითვლება თანამშრომელზე „ხელზე“ გაცემულად, თუ მას არ უკავდება სხვა სახელფასო ანაზღაურებიდან ამ პატიების გამო წარმოშობილი გადასახადები.

კითხვა: **ჩვენს კომპანიას გამოუგზავნეს მოსაწვევი წერილი სტამბულში (თურქეთი) გასამართ ექიმთა კონფერენციაზე, რომელზეც დაპატიჟეს ჩვენი ორი თანამშრომელი, ასევე სამი ექიმი.**

ორი თანამშრომელი გავუშვით მივლინებით კონფერენციაზე. რაც შეეხება სამ ექიმს, რომლებიც არ არიან ჩვენი თანამშრომლები, მათი მგზავრობის, სასტუმროში განთავსებისა და დღიური ხარჯი გაწია ჩვენმა კომპანიამ.

მივლინების ხარჯებისა და ტრანსპორტირების ხარჯების გამიჯვნა ჩვენი თანამშრომლებისა და სტუმრებისთვის შესაძლებელია, დღიური ხარჯების გამიჯვნა კი ვერ ხერხდება.

ამ სიტუაციაში ჩაითვლება ექიმების ვიზიტი დაფინანსებად კონფერენციაზე და დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით? თუ რა ტიპის ხარჯად შეიძლება ჩაითვალოს? დღიური ხარჯები, რომელთა გამიჯვნა ვერ ხერხდება, ესენიც უნდა დაიბეგროს სრულად?

პასუხი: დასმული კითხვიდან მკაფიოდ არ ჩანს, ვისი ინტერესი იყო უპირველესად ამ სამი ექიმის (რომლებიც თქვენი თანამშრომლები არ არიან) გამგზავრება ამ კონფერენციაზე – თქვენი საწარმოსი თუ ამ ფიზიკური პირების?

თუ პირველი, მაშინ გამოდის, რომ ამ სამმა ექიმმა თქვენი საწარმოს დავალებითა და თქვენს ინტერესებში განახორციელა რაღაც მოქმედება, რაც მომსახურების გაწევის ერთ-ერთი სახეა (სსკ მე-14 მუხლის 1-„ლ“ პუნქტი). შესაბამისად, მათი მგზავრობის, სასტუმროში განთავსებისა და სხვა დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება უნდა შეფასდეს როგორც მათთვის გადახდილი მომსახურების საზღაური, რაც დაიბეგრება შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადითა და სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანებით. დარიცხვა მოხდება იმ ხარჯზე, რაც შეესაბამება თქვენი საწარმოს ინტერესს ამ კონფერენციისადმი.

თუ მეორე, მაშინ ზემოაღნიშნული ხარჯების ანაზღაურება მათთვის ფაქტობრივად თანხის ჩუქებაა და უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით, სსკ 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ პუნქტის თანახმად, როგორც პირი *„რომელიც ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს ფიზიკურ პირს, რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული არ არის, გარდა ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისთვის საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ღირებულების ქონების უსასყიდლოდ გადაცემისა“*. იმ შემთხვევაში კი, თუ თითოეულ ამ ფიზიკურ პირზე ანაზღაურებული თანხა 1000 ლარზე ნაკლებია, მაშინ ეს თანხები დაიბეგრება მოგების გადასახადით, სსკ 98[3] მუხლის შესაბამისად.

რაც შეეხება დღიურ ხარჯებს, გაუგებარია, რატომ ფიქრობთ, რომ მათი გამიჯვნა ვერ ხერხდება? დაქირავებული თანამშრომლების სამივლინებო ნორმები დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებით, და რაც დღიური ხარჯი გაწიეთ ჯამში, ამ ორ თანამშრომელზე ნორმებით გამოთვლილი დღიური ხარჯების გამოკლებით იქნება ან მათი ხელფასი (ზენორმატიული მივლინების ხარჯი), ან დანარჩენი 3 ფიზიკური პირის წილხვედრი ხარჯი და დაიბეგრება შესაბამისად.

კითხვა: **ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე, სადისტრიბუციო მანქანებს ქალაქში მოძრაობის უფლება აქვთ მხოლოდ 11 საათიდან 5 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში (მანქანა შეიძლება საცობში მოყვეს) არის ჯარიმა – პირველ შემთხვევაში 1000 ლარი და ყველა მომდევნო შემთხვევაში 3000 ლარი. გთხოვთ განმიმარტოთ, რა გადასახადით იბეგრება ეს ჯარიმა ან საერთოდ იბეგრება თუ არა? ჯარიმა იწერება ფირმაზე. რაც ვიკითხე, აზრთა სხვადასხვაობაა – ზოგი განიხილავს ეკონომიკურ საქმიანობად, ხოლო ზოგი – არა.**

პასუხი: საქონლის მისაწოდებლად სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობა, ცხადია, ეკონომიკური საქმიანობაა

და მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, ჯარიმებიც, საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ამის გამო, ეს ჯარიმები მოგების გადასახადით არ იბეგრება. ამაზე ჩვენი მოსაზრება მტკიცეა.

სხვა საკითხია, იბეგრება თუ არა ეს საშემოსავლო გადასახადით. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ჯარიმა გამოწერილია ფირმაზე, ხოლო ზოგიერთი – ფიზიკურ პირზე. თუ ადმინისტრაციული ჯარიმები ფიზიკურ პირებზეა გამოწერილი და მათ ფირმა აანაზღაურებს, მაშინ გამოდის, რომ ფიზიკურმა პირებმა დამატებითი სარგებელი – ხელფასთან გათანაბრებული განაცემი მიიღეს ფირმიდან. ამ შემთხვევაში, ფირმის მიერ დაქირავებულ ფიზიკურ პირზე გამოწერილი ჯარიმების გადახდა დაიბეგრება როგორც ხელფასი.

თუ ადმინისტრაციული ჯარიმა უშუალოდ იურიდიულ პირზეა გამოწერილი, როგორც ამას თქვენ გვწერთ, მაშინ დაბეგვრის ეს საფრთხე არ დგას. თუმცა, ასეთ შემთხვევებში უნდა შეფასდეს, ხომ არ მოხდა კომპანიის დაჯარიმება სხვა პირის (მათ შორის, შესაძლოა რომელიმე თანამშრომლის) ბრალეულობით. თუ კი, მაშინ, შესაძლოა, კომპანიამ წაუყენოს მას პრეტენზია ანაზღაურების მოთხოვნით.

კითხვა: სრული ფასს-ების გამოყენების შემთხვევაში, როდესაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში წილობრივი მეთოდით გაანგარიშებული გადის მინუსში (მეკავშირე საწარმოში მიღებული ზარალის გამო), ფინანსურ ანგარიშგებაში ეს როგორ აისახება და რა დასახელებით?

პასუხი: ბასს 28-ის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ მე-10 მუხლის თანახმად, *„წილობრივი მეთოდის თანახმად, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას“.*

მოცემულ შემთხვევაში, როდესაც მეკავშირე საწარმოში მიღებული ზარალის გამო ინვესტიცია ამგვარად არის გაუფასურებული, სათავო საწარმო წყვეტს მეკავშირე საწარმოს ზარალის აღიარებას და განხორციელებული ინვესტიცია განულდება, ანუ მინუსში არ გადადის. სხვა სიტყვებით, ინვესტიციის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდება ნულოვანი ღირებულებით. ეს გამომდინარეობს ამავე სტანდარტის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ 39-ე მუხლიდან:

„39. მას შემდეგ, რაც ინვესტორის წილი ნულამდე დაეცემა, დამატებით წარმოქმნილი ზარალი და ვალდებულება აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენიც არის ინვესტორის მიერ მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს სახელით აღებული იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, ან მისი სახელით გადახდილი თანხები. თუ მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმო შემდგომში აღიარებს მოგებას, ინვესტორი განაახლებს თავისი წილის აღიარებას ამ მოგებაში, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი წილი მოგებაში გაუტოლდება ზარალში მის წილს, რომელიც არ ჰქონდა აღიარებული“.

აღსანიშნავია, რომ იგივეა განსაზღვრული მსს ფასს-ის 14.8 მუხლის „თ“ პუნქტითაც:

„(თ) ზარალის მეტობა ინვესტიციაზე. თუ ინვესტორის წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში ტოლია ან აღემატება მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას, ინვესტორმა შემდგომი პერიოდის ზარალში უნდა შეწყვიტოს თავისი წილის აღიარება. მას შემდეგ, რაც ინვესტორის წილი ნულამდე შემცირდება, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი, რომელიც ინვესტორმა უნდა აღიაროს ანარიცხის სახით (იხილეთ 21-ე განყოფილება – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობით აქტივები“) მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც ტოლია ინვესტორის მიერ მეკავშირე საწარმოს სახელით აღებული იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებების, ან მისი სახელით განხორციელებული გადახდების ოდენობით. თუ მეკავშირე საწარმო მოგვიანებით აღიარებს მოგებას, ინვესტორი თავის წილს მეკავშირე საწარმოს მოგებაში მას შემდეგ აღიარებს, როდესაც იგი გაუტოლდება მის წილს ზარალში, რომელიც არ აღიარებულა“.

კითხვა: სსკ 160[1] მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად: *„2. ანაზღაურების სანაცვლოდ, მომსახურების გაწევად ასევე განიხილება:*

ა) დასაბეგრი პირის მიერ მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა მისი დაქირავებული პირის პირადი სარგებლობისთვის ან საკუთარი საქმიანობის მიზნისგან განსხვავებული მიზნით“.

დღგ-ის გადამხდელი ერთ-ერთი ქართული საწარმო წინასწარ გამოცხადებული აქციის ფარგლებში მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგს: მომსახურებითა და საქონლით მოვაჭრე სხვა კომპანიისგან (მესამე მხარე, რომელიც ასევე დღგ-ის გადამხდელია) ყიდულობს ა) საქონლის შეძენის და ბ) მომსახურების მიღების ვაუჩერებს და უსასყიდლოდ ურიგებს თავის მომხმარებლებს.

საუბარია ელექტრონულ ვაუჩერებზე, ანუ მესამე მხარემ (კომპანიამ) მოგვყიდა ვაუჩერები

ელექტრონული კოდების სახით (მოგვცა ვთქვათ 250 უნიკალური კოდი და თითო კოდი 100–ლარიანი ღირებულებისაა) და გამოგვიწერა საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა, შემდეგ კი ამ კოდებს ასევე ელექტრონულად (რაღაც აპლიკაციის გამოყენებით), უსასყიდლოდ გადავცემთ ჩვენს მომხმარებლებს.

მომხმარებელი შევა მესამე მხარის ვებგვერდზე, სადაც შეიძენს ამ კომპანიის რაიმე პროდუქტს ან სერვისს და ამ კოდის მითითებით დაფარავს პროდუქტის ღირებულებიდან 100 ლარს.

როგორია დღგ–ით დაბეგვრის სქემა ამ ქართული საწარმოსთვის, იმ დაშვებით, რომ ვაუჩერების უსასყიდლოდ დარიგება შეესაბამება კომპანიის მიზნებს და ამ ოპერაციების მარკეტინგული მიზანიც დადასტურებულია?

პასუხი: დასმული საკითხი შედგება ორი ნაწილისაგან: მესამე მხარის (ვაუჩერების გამყიდველის) მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, დღგ უნდა ჩაითვალოს მყიდველმა თუ არა? თავად უნდა დაბეგროს თუ არა დღგ-ით ვაუჩერის შემდგომი უსასყიდლოდ გადაცემა? ამასთან, შევნიშნავთ, რომ ეს ვაუჩერები ერთჯერადია, რადგან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილია და დღგ-ის თანხა ცნობილია.

ა) თუ ვაუჩერი გამოწერილია საქონლის შეძენაზე, მაშინ მომხდარი ოპერაცია მსგავსია იმისა, როდესაც კომპანია იძენს საქონელს და შემდგომ მას გადასცემს სხვას უსასყიდლოდ. ამ შემთხვევაში, კომპანიამ უნდა ჩაითვალოს დღგ შეძენილ საქონელზე და მისი შემდგომი გადაცემა უსასყიდლოდ დაბეგროს დღგ-ით, იმავე თანხით. ეს გამომდინარეობს სსკ შემდეგი დებულებებიდან:

სსკ 160-ე მუხლი „საქონლის მიწოდება", მე-3 ნაწილი: *„3. ანაზღაურების სანაცვლოდ, საქონლის მიწოდებად ასევე განიხილება:*

ა) დასაბეგრი პირის მიერ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება, თუ მას ამ საქონელზე ან მასზე გაწეულ ხარჯზე დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი".

სსკ 164-ე მუხლი „დასაბეგრი თანხა საქონლის მიწოდებისას/მომსახურების გაწევისას", მე-2 ნაწილი:

„2. ამ კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის:

ა) „ა"–„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის საქონლის შესყიდვის ფასი ამ ან ანალოგიურ საქონელზე, ან თუ ასეთი არ არსებობს – მისი წარმოების ფასი, რომელიც შესაბამის შემთხვევებში დგინდება საქონლის გამოყენების, გასხვისების, დასაკუთრების (მფლობელობაში დარჩენის) ან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მომენტში".

ბ) ხოლო თუ ვაუჩერი გამოწერილია მომსახურებაზე, მაშინ მომხდარი ოპერაცია მსგავსია იმისა, როდესაც კომპანია იძენს მომსახურებას და შემდგომ ამავე მომსახურებას უწევს სხვას უსასყიდლოდ. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველ საწარმოს აქვს არჩევანი: შეუძლია არ ჩაითვალოს დღგ, მაგრამ არც დაბეგროს ვაუჩერის უსასყიდლოდ გადაცემა; ან, ჩაითვალოს დღგ და ვაუჩერის შემდგომი უსასყიდლოდ გადაცემა დაბეგროს დღგ-ით (იმავე თანხით, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში საწარმო მომსახურების უსასყიდლოდ გაწევისას დამატებით ხარჯს არ ეწევა). ეს გამომდინარეობს ზემოთ მოყვანილი სსკ 160^1 მუხლის მე-2 ნაწილიდან, ასევე სსკ 164-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან:

„3. ამ კოდექსის 160^1 მუხლის მე-2 ნაწილის:

ა) „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯის ღირებულება".

კითხვა: **ჩვენი კომპანია არის სამედიცინო კლინიკა. სუროგაცია–დონაციის მომსახურებას ვუწევთ მსურველ პაციენტებს. სუროგაციის მსურველი მშობლების და სუროგატი დედობის მსურველი პირების მოძიება ხდება საზღვარგარეთ. მოძიების მომსახურებას გვიწევენ არარეზიდენტი იურიდიული პირებიც და არარეზიდენტი ფიზიკური პირებიც.**

რადგან მოძიების მომსახურებას ჩვენ ვიყენებთ დღგ–ისგან გათავისუფლებულ ოპერაციებში, ეს მომსახურება მაინც უნდა დავბეგროთ უკუდაბეგვრის დღგ–ით?

პასუხი: დიახ, დასაბეგრია დღგ-ით. ვინაიდან აღნიშნული მომსახურება გაწეულია საქართველოს საწარმოსთვის (სამედიცინო კლინიკისთვის), დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისთვის, სსკ 162^1 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ის საქართველოში გაწეულად ითვლება, მიუხედავად იმისა, მოძიების მომსახურების გამწევი არარეზიდენტი იურიდიული პირია თუ არარეზიდენტი ფიზიკური პირი:

„3. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი:

ა) მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მომსახურების მიმღები არის დაფუძნებული, თუ მომსახურების მიმღები არის დასაბეგრი პირი".

შესაბამისად, ის უნდა დაიბეგროს კლინიკის მიერ დღგ-ით, უკუდაბეგვრის წესით, რადგან სუროგაციის მსურველი მშობლებისა და სუროგატი დედობის მსურველი პირების მოძიების მომსახურებაზე არ ვრცელდება

დღგ-ისაგან გათავისუფლების არცერთი პუნქტი, გათვალისწინებული სსკ 170-172-ე მუხლებით. სსკ 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი ადგენს:

„1. დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით იბეგრება:

ა) საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევა დასაბეგრი პირის მიერ, რომელიც არ არის დაფუძნებული ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს საქართველოში, ან საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება, რომელიც მონაწილეობს ამ მომსახურების გაწევაში“.

აქ შევნიშნავთ, რომ მოცემულ შემთხვევაში, თუ მომსახურების გამწევი – ფიზიკური პირია, ის მაინც განიხილება „დასაბეგრ პირად“ დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის, სსკ 158-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მოცემული განმარტებიდან გამომდინარე, რადგან აშკარაა, რომ მის მიერ კლინიკისთვის გაწეული საშუამავლო მომსახურება არ არის ერთჯერადი ხასიათის.

ამასთან, ვინაიდან ეს საშუამავლო მომსახურება კლინიკის მიერ გამოყენებული იქნება დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციებში (სამედიცინო მომსახურებაში), გადახდილ უკუდაბეგვრის დღგ-ს ის ვერ ჩაითვლის.

კითხვა: ინდმეწარმემ თავისი კუთვნილი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა და მიწა, რაზედაც განთავსებულია ეს შენობა (ერთობლივად 150000 ლარის ღირებულებით), სამი წლის წინ, როგორც საწესდებო კაპიტალში შენატანი, შეიტანა ახლად დარეგისტრირებულ შპს–ში. შპს დღგ–ის გადამხდელი არ არის. შპს–ს მეორე მოწილე ჰყავს, ამ ინდმეწარმის და – 50%–50% წილობრივი მონაწილეობით.

ინდმეწარმეს სურს შპს–ზე რიცხული შენობის ნახევარი და მიწა 100 კვ.მ, რომელზედაც განთავსებულია აღნიშნული შენობის ნახევარი, უსასყიდლოდ გადაფორმდეს მის საკუთრებაში.

რა პროცედურები უნდა ჩატარდეს და რა გადასახადები დაეკისრება შპს–ს? ალბათ ამ ქონების რეალიზაცია არ ჩაითვლება შპს–ის ამონაგებში. შპს–ის დღგ–ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის სავალდებულო ზღვრის 100000 ლარის გაანგარიშებაში, დაფიქსირდება მხოლოდ ნამეტი თანხა?

პასუხი: თუ მხედველობაში არ მივიღებთ შპს-ის რეორგანიზაციას ან ზოგიერთ სხვა სპეციფიკურ შემთხვევას (მაგალითად, მოწილეების მიერ ფირმის ორად თანაბრად გაყოფის შემთხვევას, რომლის შემდეგ ეს ინდმეწარმე მოახდენს თავის 100%-იან მფლობელობაში მყოფი ახალშექმნილი შპს-ის ლიკვიდაციას), ეს ქონება შეიძლება მის პირად საკუთრებაში გადავიდეს სამი გზით: 1) ჩუქების გზით; ან 2) მოგების განაწილების (დივიდენდის სანაცვლოდ გაცემის) გზით; ან 3) კაპიტალის შემცირების გზით (ხელფასად გაცემის შემთხვევას არ განვიხილავთ, როგორც არარეალურს).

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უძრავი ქონება არასაცხოვრებელი დანიშნულებისაა, სამივე შემთხვევაში ეს გადაცემა დღგ-ით დასაბეგრი ობიექტი იქნება, თუ გადაცემული ქონების (შენობისა და მიწის ნახევრის) საბაზრო ფასი აღემატება 100000 ლარს, ან, შესაძლოა არ აღემატება, მაგრამ შპს-ის მიერ ბოლო 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებულ სხვა დასაბეგრ ოპერაციებთან ერთობლიობაში აჭარბებს 100000 ლარს. შპს-ის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის სავალდებულო ზღვრის 100000 ლარის გაანგარიშებაში, ცხადია, დაფიქსირდება არა ნამეტი თანხა (საბაზრო ფასსა და თვითღირებულებას შორის სხვაობა), არამედ მთლიანი საბაზრო ფასი.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ მითითებული 150000 ლარი ამ უძრავი ქონების საბაზრო ფასია, მაშინ მისი ნახევრის საბაზრო ფასი 75000 ლარი იქნება და შპს-ის დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაცია და დღგ-ით დაბეგვრა არ მოგიწევთ იმ შემთხვევაში, თუ ამ შპს-ის მიერ ბოლო 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული სხვა დასაბეგრი ოპერაციების მოცულობა 25000 ლარზე ნაკლებია.

ამ ქონების გასხვისება, ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით, ცხადია არ ჩაირთვება შპს-ის ამონაგებში, რადგან ამონაგებში ხდება მხოლოდ იმ შემოსავლების ჩართვა, რომლებიც წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

რაც შეეხება სხვა გადასახადებით დაბეგვრას:

ქონების გაჩუქების შემთხვევაში – საწარმო არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით, რადგან ქონების მიმღები – ინდმეწარმე ფიზიკური პირია და ის თვითონ გადაიხდის საშემოსავლო გადასახადს, ჩუქებით მიღებული ქონების საბაზრო ღირებულების ერთობლივ შემოსავალში დაბეგვრის მიზნით ჩართვის გზით.

მოგების განაწილების შემთხვევაში – პირველ რიგში უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა შპს-ის საკმარისი მოგება? თუ კი, მაშინ დამფუძნებელზე ქონების გადაცემა დაიბეგრება დივიდენდებიდან 5% საშემოსავლო გადასახადით და 15% მოგების გადასახადით, კონკრეტულად კი საშემოსავლო გადასახადი იქნება (X/0.95)*5%, ხოლო მოგების გადასახადი – [((X/0.95)*5%)/0.85]*15%.

კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, თუ ამ შპს-ის დაფუძნებიდან გასულია 2 წელზე მეტი (კითხვის მოცემულობის მიხედვით კი, ეს სწორედ ასეა), დამფუძნებელ ფიზიკურ პირს შეეძლება ისარგებლოს სსკ 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ჩ“ პუნქტით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით საშემოსავლო გადასახადში:

„1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:...

ჩ) საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი“.

კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, შპს-ისთვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხაა შემდეგი სხვაობა (რომელიც სავარაუდოდ დადებითი იქნება) ორ თანხას შორის: გადაცემული ქონების საბაზრო ფასი შემცირებული ამ ქონების თვითღირებულებით, რაც დაფიქსირებულია შპს-ის კაპიტალის ფორმირების დროს, ვინაიდან ეს ნამეტი თანხა გათანაბრებულია მოგების განაწილებასთან.

კითხვა: ჩვენმა კომპანიამ საკუთარი მოხმარებისათვის ლეპტოპები შემოიტანა იმპორტით და ამის გამო ა(ა)იპ „ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია“, „საქპატენტის“ ბრძანების საფუძველზე, გვთხოვს მათთვის ჰონორარის გადახდას. ეს მოთხოვნა კანონიერია? როგორ მოვიქცეთ, გადავიხადოთ?

პასუხი: აღნიშნული სიტუაცია ჩვენთვის ცნობილია. ა(ა)იპ „ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციას“ (ს/ნ 404574475) სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე სამართავად მიანიჭა აკრედიტაცია 2023 წლის 29 დეკემბერს. ამ ასოციაციის მხრიდან აღნიშნული მოთხოვნა ეფუძნება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის 17.10.2024 წ. გადაწყვეტილებას „ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის განსაზღვრის შესახებ“, რომელიც ამ კომისიამ მიიღო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის შექმნისა და საქმიანობის, აკრედიტაციის კონკურსის ჩატარების, აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასურის განსაზღვრისა და ტარიფების განმსაზღვრელი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 სექტემბრის №349 დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტებისა და 2024 წლის 17 ოქტომბრის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიის სხდომის №3/2024 ოქმის საფუძველზე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია „საქპატენტის“ ვებგვერდზე: https://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/Decision.pdf

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების №1 დანართის „ტარიფების“ მიხედვით, კომისიამ დაადგინა „ფიზიკურ პირთა მიერ აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას, ასევე, პირადი სარგებლობისთვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტიორებისათვის დადგენილი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობები, მათი შესაბამისი კოდები და ჰონორარის ოდენობა“, ხოლო ჰონორარის გადახდის პერიოდულობა იმპორტიორების მიერ განსაზღვრა ყოველთვიური გადახდის ფორმით. ამ დანართში აღნიშნულია:

„ჰონორარის გადახდას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკურ პირთა მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას, ასევე, პირადი სარგებლობისთვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირებისას, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე“.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში კი აღნიშნულია:

„3. ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესისგან განსხვავებით, უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი ჰონორარი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ჰონორარს იხდიან პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების მწარმოებლები და იმპორტიორები. ამ ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს მხოლოდ ის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელსაც მიენიჭა ამავე მუხლით განსაზღვრული უფლებების კოლექტიური მართვის შესახებ აკრედიტაცია“.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ჰონორარის გადახდა ამ ასოციაციისთვის თქვენ არ მოგიწევთ, რადგან კანონის ამავე 21-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად:

„12. ჰონორარი არ გადაიხდევინება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოწყობილობებსა და მატერიალურ მატარებლებთან დაკავშირებით, რომლებიც არის:

ა) ექსპორტის საგანი;

ბ) პროფესიული მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილი არ არის საშინაო გამოყენებისთვის“.

ამგვარად, ვინაიდან თქვენმა საწარმომ მოახდინა ლეპტოპების იმპორტი საკუთარი საწარმოო მიზნებისთვის გამოსაყენებლად და არ არის განკუთვნილი ფიზიკურ პირთა საშინაო გამოყენებისთვის, ამიტომ არ მოგიწევთ ამ ჰონორარის გადახდა.

კითხვა: ჩვენი კომპანია იძენს საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის მომსახურებას სს „საქართველოს რკინიგზისგან“ შემდგომი რეალიზაციის მიზნით. რკინიგზის მხრიდან ხდება მხოლოდ რემონტზე გადაზიდული ცარიელი ვაგონების გადაზიდვის მომსახურების დაბეგვრა დღგ–ით. მათი არგუმენტია, რომ თუ საბაჟო რეჟიმში არ არის მოქცეული გადაზიდვა, ის ექვემდებარება დაბეგვრას და დაბეგვრისგან თავისუფლდება მხოლოდ საქონლით დატვირთული ვაგონის გადაზიდვა ან გადაზიდვიდან მომავალი ცარიელი ვაგონის გადაზიდვა.

ჩვენ მიერ ჩვენი არარეზიდენტი დამკვეთი კომპანიისათვის გაწეული მომსახურების ფარგლებში, ხდება ცარიელი სარემონტო ვაგონის გადაზიდვა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. იბეგრება თუ არაა ეს ოპერაცია დღგ–ით?

ცნობისათვის, „საქართველოს რკინიგზა“ ჩვენთვის გაწეულ ამ მომსახურებას დღგ–ით ბეგრავს სრულად.

პასუხი: როგორც გვესმის, არარეზიდენტმა პირმა თქვენს კომპანიას დაუკვეთა ცარიელი ვაგონების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვა, რომლის შესასრულებლად თქვენ ქვეკონტაქტორად იქირავეთ „საქართველოს რკინიგზა“. ამრიგად, არსობრივად ერთი და იგივე მომსახურებას თქვენ გიწევთ „საქართველოს რკინიგზა“, ხოლო თქვენ უწევთ არარეზიდენტს დამკვეთს, თუმცა ეს ორი მომსახურებაა ერთი მნიშვნელოვანი დეტალით განსხვავდება ერთმანეთისაგან: ერთ შემთხვევაში – მომსახურების გამწევიც და მიმღებიც საქართველოს რეზიდენტები არიან, ხოლო მეორე შემთხვევაში – მომსახურების გამწევი რეზიდენტია, მომსახურების მიმღები კი – არარეზიდენტი კომპანია.

დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის, სსკ 162[1] მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით, მომსახურების გაწევის ადგილი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

„3. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი:

ა) მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მომსახურების მიმღები არის დაფუძნებული, თუ მომსახურების მიმღები არის დასაბეგრი პირი. ამასთანავე, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება მომსახურების მიმღების ფიქსირებული დაწესებულებისთვის, რომელიც არ მდებარეობს იქ, სადაც მომსახურების მიმღებია დაფუძნებული, მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ფიქსირებული დაწესებულების მდებარეობის ადგილი. დაფუძნების ადგილის ან ფიქსირებული დაწესებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მომსახურების მიმღებს აქვს მუდმივი მისამართი, ან, სადაც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ მიერ არარეზიდენტი დამკვეთი კომპანიისათვის გაწეული მომსახურება არ ითვლება საქართველოში გაწეულად და შესაბამისად, არ დაიბეგრება დღგ-ით (რადგან რამე გამონაკლისი დებულება მოცემულ მომსახურებასთან დაკავშირებით სსკ 162[1] მუხლში მოყვანილი არ არის).

რაც შეეხება „საქართველოს რკინიგზის“ მიერ თქვენთვის გამოწერილ დღგ-ს, მას ჩაითვლით, რადგან ამის უფლებას გაძლევთ სსკ 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი:

„2. დასაბეგრ პირს, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, უფლება აქვს ჩაითვალოს საქონლის/მომსახურების შეძენისთვის გაწეულ ხარჯთან დაკავშირებული დღგ-ის თანხა, თუ საქონელი ან მომსახურება გამოიყენება:

ა) საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომსახურების გაწევისთვის/საქონლის მიწოდებისთვის“.

კითხვა: დარეგისტრირდა ახალი შპს, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ონლაინ სწავლება აიტი მიმართულებით. რადგან ახლადგახსნილ შპს–ს არ გააჩნია ფინანსები, დამფუძნებელს შემოაქვს საჭირო თანხები (უპროცენტო სესხი) იმ პირობით, რომ როგორც კი გაუჩნდება შპს–ს შემოსავლები, უკან დაიბრუნებს შემოტანილ თანხებს. ეს პროცესი შეიძლება გაიწელოს დროში. გვაინტერესებს, თანხის უკან დაბრუნების დროს, ხომ არ მოუწევს რომელიმე გადასახადით დაბეგვრა? მოქმედებს თუ

არა ისევ ის მიდგომა, როდესაც ვარიცხავდით სარგებელს 20%, გამოყენებული ვადის პროპორციულად და იმავდროულად ხარჯშიც ვატარებდით? როგორ აღვრიცხოთ სწორად, რომ საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, არ წარმოგვეშვას რაიმე სახის პრობლემა?

პასუხი: როგორც ჩანს, ეს დამფუძნებელი – ფიზიკური პირია. შპს-ის მხრიდან, რომელიც მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზეა", ფიზიკური პირისგან უპროცენტო სესხის მიღება არ წარმოშობს გადასახადით დასაბეგრ ობიექტს (არის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც უპროცენტო სესხი ვალუტაში იყო გაცემული და სესხის დაბრუნების დროს დაფიქსირდა უფრო მაღალი სავალუტო კურსი. ამ დროს სამსჯელოა, მიიღო თუ არა სარგებელი სესხის გამცემმა ფიზიკურმა პირმა. ამგვარ შემთხვევას ჩვენს პასუხში არ განვიხილავთ). ის მიდგომა, რომელსაც თქვენ ახსენებთ, როდესაც შპს-ს ერთობლივად წარმოეშვებოდა დასაბეგრი ერთობლივი შემოსავალი და გამოსაქვითი ხარჯი, არსებობდა 2016 წლამდე ჩათვლით, სანამ მოხდებოდა მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში.

თუ ეს დამფუძნებელი – არამეწარმე ფიზიკური პირია, მაშინ არც მას არ წარმოეშვება დასაბეგრი ობიექტი. მაგრამ, სიტუაცია სხვაგვარად არის, თუ დამფუძნებელი მეწარმე ფიზიკური პირია, რადგან ამ შემთხვევაში ამოქმედდება სსკ მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი:

„3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება, თუ იგი განახორციელა:

ა) საწარმომ;

ბ) მეწარმე ფიზიკურმა პირმა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში".

ეს დებულება გამოიწვევს მეწარმე ფიზიკური პირის დაბეგვრას (უფრო სწორად, დაბეგვრის მიზნით ერთობლივ შემოსავალში ჩართვას) მის მიერ უპროცენტოდ სესხის გაცემისას სსკ 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

„2. საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი".

რაც შეეხება შპს-ში მიღებული უპროცენტო სესხის ბუღალტრულ აღრიცხვას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სააღრიცხვო მეთოდოლოგიით სარგებლობს შპს. თუ ის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სარგებლობს და სესხის დაბრუნების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულებით (ან, დაბრუნების სავარაუდო ვადა განსაზღვრადია საიმედო შეფასებით), მაშინ ხდება სესხის დისკონტირება სამართლიანი ღირებულებით და სარგებელი, რომელიც მიიღო საწარმომ დამფუძნებლისაგან უპროცენტო სესხის მიღებით, აღიარდება კაპიტალის კომპონენტად და რჩება იქ. ამასთან, დისკონტირებულ სესხზე მოხდება პროცენტის დარიცხვა დისკონტირების ეფექტის ამოწურვისთვის, რაც აღიარდება ხარჯად და ამ გზით აისახება კომპანიის მოგება-ზარალში.

კითხვა: ორ დღე–ის გადამხდელ შპს–ს შორის მიწოდებული საქონლის ღირებულებაზე გადახდილი თანხის ჩეკის არარსებობის შემთხვევაში (გადახდის სალაროს ჩეკი დაიკარგა, ჩეკის გამომწერი შპს გაუქმებულია), რა სანქციებია გათვალისწინებული?

პასუხი: თუ მხოლოდ ჩეკის არარსებობაა პრობლემა და მიმწოდებელი არაფერს გედავებათ, ასევე თანამშრომელს გადახდილ თანხას, ჩეკის დაკარგვის გამო, არ უნაზღაურებთ, მაშინ აღნიშნულ სიტუაციაში რამე სანქცია არ გემუქრებათ.

თუ თანამშრომელს (ანგარიშვალდებულ პირს), ვინც თანხა გადაიხადა, ჩეკის დაკარგვის მიუხედავად, შესაბამისი თანხა მაინც აუნაზღაურეთ, და არც რამე სხვა ალტერნატიული დოკუმენტით (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შედარების ისეთი აქტი მხარეთა შორის, რომელშიც აღნიშნულია მიმწოდებლისთვის თანხის გადახდის ფაქტი. შედარების აქტში მხოლოდ დავალიანების ნაშთის დადასტურება არ არის საკმარისი!) არ დასტურდება მის მიერ მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა, მაშინ აღნიშნული უნდა შეფასდეს როგორც ანგარიშვალდებული პირისთვის ხელფასთან გათანაბრებული განაცემი, რაც გამომდინარეობს სსკ 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" პუნქტიდან:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის სარგებლის ღირებულებად ითვლება ქვემოთ მითითებული თანხა, რომელიც მცირდება დაქირავებულის მიერ ამ სარგებლის მიღებისას დამქირავებლისათვის გადახდილი თანხით:...

ვ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა".

ხელფასთან გათანაბრებული ეს განაცემი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ასევე დაიბეგრება სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანებითაც, თუ ეს ანგარიშვალდებული პირი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეა.

რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ ჟურნალის შემდეგ ნომერში.

რუბრიკის სპონსორები:

www.aafcapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC – სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში

საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის / თბილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის – ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ–კაპიტალის“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერის“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს – კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ უფასო განცხადების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

ბანცხ. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – სასაუბრო. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული – ძალიან კარგად, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური – ძალიან კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 318811. ქალი, 34 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 049932. ქალი, 23 წლის, AAFC-2 კურსი, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 126008. ქალი, 62 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 189604. ქალი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139832. ქალი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129901. ქალი, 22 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 080011. ქალი, 22 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138530. ქალი, 36 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089112. ქალი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089112. ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – ძალიან კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089612. ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 088028. ქალი, 40 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგი, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139025. ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 179322. ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129521. ქალი, 25 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალოდ, გერმანული – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 088908. ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – ძალიან კარგად, რუსული – ძალიან კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 128903. ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – სუსტად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 127510. ქალი, 44 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრად მუშაობის 15 წლის სტაჟით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, რუსული – კარგად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 115215. ქალი, 67 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრად მუშაობის 9 წლის სტაჟით, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – კარგად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139203. ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სუსტად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138206. ქალი, 37 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრის თანაშემწის მუშაობის 6 წლის სტაჟით, AAFC-ის სრული სერთიფიკატი, კომპიუტერი – კარგად, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 018714. ქალი, 32 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სუსტად, რუსული – საშუალოდ, ფრანგული – საშუალოდ, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 39410. კაცი, 25 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 058919. კაცი, 30 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – ძალიან კარგად, თურქული – კარგად, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 128214. ქალი, 36 წლის, ბუღალტრად მუშაობის 4 წლის სტაჟით, AAFC-1/AAFC-2/AAFC-5/AAFC-6 კურსები, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138620. ქალი, 32 წლის, ბუღალტრად მუშაობის 5 წლის სტაჟით, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129032. ქალი, 28 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 189425. ქალი, 24 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

***მეტი ინფორმაციის გასაგებად დაუკავშირდით შპს „ააფ-კაპიტალს“:* 599 25-47-13; 212-05-76 / 95.**

საზღვარგარეთის ამბები

საზღვარგარეთის ამბები – ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სიახლეებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

გრენლანდიის ყიდვა და კანადის შტატად შემოერთება – ტრამპის სურვილები და რეალობა

არქტიკის ეკონომიკური სარგებლისადმი მიზიდულობა მატულობს

პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მხრიდან წინასაარჩევნოდ და მას შემდეგ პანამის არხის, კანადისა და გრენლანდიისადმი გამოჩენილი ინტერესი, მსოფლიო გეოპოლიტიკაში სიახლე არაა. პანამელთა შემოსავლის უმთავრეს წყაროზე „ააფი“-ს ერთ-ერთ წინა №1(301)-ში დავწერეთ. კანადის 51-ე შტატად შემოერთებისა და გრენლანდიის აშშ-ს მიერ დანიისგან გამოსყიდვის სურვილს რაც შეეხება, ამ საკითხს მეტწილად არქტიკის ეკონომიკური სარგებლიანობის კუთხით განვიხილავთ. ფაქტია, ორივეგან სასარგებლო წიაღისეულის ისეთი მარაგია, ტრამპს ამ თემის კიდევ ერთხელ გააქტიურება, მხოლოდ ტერიტორიების შემოერთების მიზნით არ აინტერესებს.



ესკიმოსური „კერკეტი კაკალი“ – დამოუკიდებლობის მოსურნე გრენლანდია

დავიწყოთ იმით, რომ გრენლანდია, რომელიც მსოფლიოს უდიდესი კუნძულია (2,166 მილიონი კვ.კმ ფართობი, რომლიდანაც 80% ყინულითაა დაფარული), აშშ-სთვის ეკონომიკურის გარდა სამხედრო ინტერესითაც არის მნიშვნელოვანი. Reuters-ის ინფორმაციით, ტრამპი დასავლეთ ნახევარსფეროში ამერიკის გავლენის სფეროებისა და პოლიტიკური მემკვიდრეობის განსამტკიცებლად სერიოზულადაა განწყობილი. მისთვის გრენლანდია კიდევ ერთი საბაბია, რომ ყველას შეახსენოს ჩინეთისა და რუსეთის გაძლიერება და ამასთანავე მიუთითოს ამის მთავარ მიზეზს – მისი აზრით, ეს ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის გაუმართლებელი ქმედებებია.

თანამედროვე პირობებში, კუნძულის და მასზე თუნდაც მხოლოდ 60 ათასამდე აბორიგენით (მათი 89% ესკიმოსია) დასახლებულის ყიდვა, ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, აშშ-ს ამ გზით გაფართოების მაგალითები ლუიზიანას და ალასკას სახით უკვე აქვს. საერთაშორისო საზოგადოება და ყველაზე მეტად ევროკავშირი, დანიას მიემხრობა. მაგრამ თუ დეკლარირებულ კი არა, რეალურად განხორციელებულ ნაბიჯებს ვიგულისხმებთ, ტრამპს დანიის ტერიტორიაზე უფრო მეტი სამხედრო ბაზის განთავსებას შეუძლია მიაღწიოს; ან „პოლიტიკური ვაჭრობის“ საგანი გრენლანდიაზე ამერიკული კომპანიებისთვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შეღავათიანი პირობების შექმნა გახდეს.

ცნობისთვის, გრენლანდია მრავალი წელი დანიის კოლონიად ითვლებოდა. 1979 წლიდან იგი ამ ქვეყნის ავტონომიური ტერიტორიაა, მოიპოვა თვითმმართველობა და აქვს საკუთარი პარლამენტი. 2009 წელს დანიასთან დადებული შეთანხმების მიხედვით, გრენლანდიას მისგან დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ წარმატებით ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ შეუძლია.

კუნძულს ჰყავს არჩეული პრემიერ-მინისტრი. მიმდინარე წლის 28 მარტამდე ამ პოსტზე მყოფმა მუტე ეგედემ (Múte Egede) ტრამპის ხმამაღლა ნათქვამ სურვილზე, ასეთივე ტემბრით უპასუხა „კუნძული არ იყიდება“. 38 წლის პოლიტიკოსი (იგი ახლა გრენლანდიის ფინანსთა მინისტრია) დანიისგან დამოუკიდებლობის მხარდამჭერი პარტია „სახალხო თანამეგობრობის“ წევრია და ამიტომაც არავის გაჰკვირვებია პრემიერის რანგში ბოლო წინასაახალწლო მიმართვისას ამ სიტყვების მისგან თქმა:

„მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩვენც უნდა ვიმუშაოთ თანამშრომლობის გზაზე არსებული

წინაღობების გადასალახად,რათა კოლონიალური ეპოქის ბორკილები საბოლოოდ მოვიცილოთ. დადგა დრო შემდეგი ნაბიჯი გადავდგათ“. Politico-ს განმარტებით,ეს განცხადება 2025 წლის ბოლომდე დამოუკიდებლობის რეფერენდუმის გამართვის უტყუარი წინაპირობაა.

ამერიკული კვალი გრენლანდიურ ყინულქვეშეთში

შეერთებულმა შტატებმა გრენლანდიაში სამხედრო ბაზების განთავსების უფლება ჯერ კიდევ 1941 წელს მიიღო. ეს, მეორე მსოფლიო ომისას კუნძულის გერმანული ოკუპაციის საწინააღმდეგო ნაბიჯი იყო. მოგვიანებით,,,ცივი ომის“ პიკზე,აქ სულ 17 ამერიკული ბაზა მოქმედებდა მათში მომსახურე 10 ათასამდე პერსონალით.

The Wall Street Journal-ის ინფორმაციით გრენლანდიაზე ამჟამად მხოლოდ ერთი ბაზა Pituffik Space Base ფუნქციონირებს. რაც შეეხება NASA-ს მეცნიერთა ,,უახლოეს აღმოჩენას“ Camp Century, იგი 2024 წლის გაზაფხულზე კუნძულის ჩრდილოეთში ახალი რადიოლოკაციური სისტემის UAVSAR ტესტირებისას შენიშნეს. როგორც აღმოჩნდა,ყინულქვეშ მდებარე გვირაბების ქსელი ყოფილ სამხედრო ბაზას ეკუთვნის.

WSJ-ის ჟურნალისტთა მოკვლევით, ეს ბაზა 1959 წელს, საიდუმლო პროექტის Iceworm-თვის მოეწყო. მისი დანიშნულება არქტიკის ყინულქვეშეთიდან ბირთვული რაკეტების სასტარტო მოედნის მომზადება გახლდათ. იქ საშუალო სიშორის 600 ბალისტიკური რაკეტა უნდა განთავსებულიყო, მაგრამ ყინულის არასტაბილური საფარის გამო 8 წლის შემდეგ ბაზის საქმიანობა შეჩერდა. დროთა განმავლობაში ყინულის სისქემ საგრძნობლად იმატა და ახლა 30 მეტრს აჭარბებს. სამხედრო კომპლექსის დანიშნულება 1996 წლამდე საიდუმლო იყო. ათწლეულების განმავლობაში ბაზა კვლევით ცენტრად ითვლებოდა და თვით Camp Century-ს შემქმნელებმაც არ იცოდნენ რისთვის ,,ღვრიდნენ ოფლს“.

NASA-ს მეცნიერებმა 2024 წლის დეკემბერში შეძლეს საიდუმლო ბაზის შიგნიდან ფოტოგადაღება. კომპლექსი ერთმანეთთან დაკავშირებული 21 გვირაბისგან შედგება,რომელთა სიგრძე 3 კილომეტრზე მეტია. როგორც აღმოჩნდა, Camp Century-ს უზრუნველსაყოფად ბირთვულ რეაქტორს იყენებდნენ.

ამ ყველაფრით დასტურდება, რომ აშშ-სთვის გრენლანდიაში სამხედრო აღჭურვილობით ყოფნა უცხო არაა. ექსპერტებს მიაჩნიათ, ტრამპის მეშვეობით მთლიანად ქვეყანა სტრატეგიულად და საფუძვლიანად მსჯელობს. გრენლანდიის, ისევე როგორც მანამდე ალასკას ყიდვა, შტატებს ამ კუნძულის ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით უდიდეს სარგებელს მოუტანს.

დავიწყოთ იქიდან, რომ გრენლანდიის წიაღში სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ვერცხლის, პალადიუმისა და სხვა პლატინოიდების, ურანის, ტანტალის, ნიობიუმის, გრაფიტისა და სხვა იშვიათი ელემენტების საბადოები არსებობს. ევროკომისიის შეფასებით, აქ 34-დან 25 დასახელების სასარგებლო წიაღისეული კლასიფიცირდება, რომელთა როლი აკუმულატორების, ქარის ტურბინებისა და ელექტრომობილების წარმოებისთვის ,,კრიტიკულად შეუფასებელია“. ამერიკის მთავრობა გრენლანდიურ მარაგში ამ სტატუსს 43 მინერალს ანიჭებს.

ევროკავშირმა გრენლანდიის პრემიერ მუტე ეგედესთან თანამშრომლობით, 2021-2027 წლის ბიუჯეტში ზღვისიქითა ქვეყნებისა და ტერიტორიებისთვის (Overseas Country and Territory – OCT) განკუთვნილი 500 მილიონი ევროდან ნახევარი კუნძულის განვითარებისთვის გამოყო. მიმდინარე წლის მარტში, ამავე მიზნით დაიდო 94-მილიონიანი ორი შეთანხმება იქაური ინვესტირებისთვის ხელშესაწყობად. აპრილში ამოქმედდა პროგრამა Green Growth,რომლის ფარგლებში ევროკავშირი კიდევ 22,5 მილიონ ევროს დახარჯავს კრიტიკულად ფასეული ენერგეტიკული ნედლეულის მოპოვების საწარმოო ჯაჭვის უზრუნველსაყოფად.

აშშ-ს რაც შეეხება, ტრამპის დეკლარირებული მანევრის პარალელურად, იგი შესაბამის ბაზარზე გლობალური კონკურენტის შევიწროებას ცდილობს. Reuters-ის ცნობით,2025 წლის იანვარში წარმატებულად დასრულდა დანიური და ამერიკული მხარის მცდელობა ხელი შეშლოდა გრენლანდიაში ერთ-ერთი ადგილობრივი მომპოვებელი ფირმის ჩინელთა მიერ შეძენას. კუნძულზე იშვიათი მეტალების საბადოების მომპოვებელი Tanbreez Mining-ის დირექტორმა გრეგ ბარნსმა სააგენტოს განუცხადა, რომ შარშან ,,თეთრი სახლის“ ადმინისტრაციიდან მის საწარმოს ორჯერ სტუმრობდნენ. საბოლოოდ მან პროექტი ნიუ იორკში მდებარე Critical Metals-ს ნაღდი 5 მილიონი დოლარისა და მყიდველი ფირმის 211 მილიონი დოლარის ღირებულების აქციების ფასად მიჰყიდა.

ეს ფაქტი იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ შესაძლოა აშშ-მ გრენლანდია ალასკას მსგავსად ვერ იყიდოს, მაგრამ თავად კუნძული ბიზნესისთვის ღიაა. არცთუ შორი პროგნოზებით, იგი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება. გრენლანდიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა +10 გრადუსს არ აჭარბებს. თუმცა ბოლო წლებში აქ კლიმატის საკმაოდ სწრაფი დათბობა შეინიშნება. სამყაროს გლობალური დათბობის ტემპების კვალდაკვალ გრენლანდიაზე 4-ჯერ უფრო სწრაფად მატულობს საშუალო ტემპერატურა, ვიდრე პლანეტის სხვა ნაწილებში. ეს ფაქტორი ყინულის გადნობას და ძნელადმოსაპოვებელ წიაღისეულამდე მიღწევის გაიოლებას გამოიწვევს.

კანადა – აშშ-ის №51 შტატი – ტრამპის უტოპია?

ჩრდილოელი მეზობლის შტატად მიერთება, პრეზიდენტ ტრამპის ლოგიკით კანადაში გადასახადებს

60%-ით შეამცირებს და მის უსაფრთხოებას დიდად გაზრდის. ეს იდეა ტრამპმა კანადის პრემიერ მინისტრ ჯასტინ ტრიუდოს (Justin Trudeau) შარშან დეკემბრის დასაწყისში გაუმხილა. ოპონენტთან საუბრისას ამერიკელს განუმარტავს, 25%-იან ტარიფებს დავაწესებ და კანადის ეკონომიკას „მოვახრჩობო". ტელეარხ Fox News-ის ცნობით, ამ ფრაზას შეხვედრის მონაწილეთა შორის „ნერვული სიცილი" გამოუწვევია. იგივე გაიმეორა ტრამპმა იანვრის დასაწყისში,როცა ტრიუდოს კანადელ ლიბერალთა თავმჯდომარეობიდან გადადგომის თაობაზე უკვე გამოცხადებული ჰქონდა.

მას შემდეგ სამხრეთიდან კანადის მიერთების სურვილი აღარავის გაუმეორებია. ალბათ, საკითხის ამ რაკურსით დაყენება, უტოპიურადაც კი ჩანს. თუმცა, მეზობელთა ურთიერთკავშირის რამდენიმე მონაცემს მაინც შევეხებით.

კანადის მოსახლეობა 40 მილიონს უტოლდება. სასწაული რომ მოხდეს და იგი აშშ-ის შემადგენლობაში შევიდეს,ის 51 შტატს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება. მაგრამ ვიდრე კვლავ დამოუკიდებელი ქვეყანაა, მასზე 8-ჯერ მეტი მოსახლეობის სამხრეთ მეზობელთან მიმართებით შემოსავლების დონე თითქმის თანაბარია. პარიტეტული მსყიდველუნარიანობაზე გადაანგარიშებით, 2024 წლის მდგომარეობით კანადელი მოსამსახურე (24,61 დოლარი) საათში 6,5%-ით მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე ამერიკელი (23,11 დოლარი). კანადაში ცხოვრება უფრო იაფია – ფინჯან კაპუჩინოს აქ 3 დოლარად შეიძენთ, შტატებში 5 დოლარის გადახდა მოგიწევთ. კანადელებს ძირითად სამედიცინო მომსახურების ხარჯებს სახელმწიფო უფარავთ.

ტრამპის არგუმენტით კანადელები თავიანთ კეთილდღეობას ამერიკელებს უნდა უმადლოდნენ – აშშ ხომ კანადის მთავარი სავაჭრო პარტნიორია. საკუთარი ექსპორტის 77% ჩრდილოელებს სამხრეთში შეაქვთ. პირველ რიგში ესაა ნავთობი, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, ურანი.

რომ შევაჯამოთ, კანადა ტრამპისგან დაუფასებელი აშშ-ის ნედლეულის დანამატია. პრეზიდენტობის პირველი ვადისას მან ერთხელ უკვე დამატებით დაბეგრა კანადური ფოლადი და ალუმინი. თუმცა, იმის გამო, რომ ამით ისევ ამერიკული კომპანიები დაზარალდნენ, ტარიფები საერთოდ გააუქმა. თვალსაჩინოებისთვის, ერთ-ერთი მათგანი თვეში 12 მილიონი დოლარით ზარალდებოდა. ტრამპი ანგარიშიანი პოლიტიკოსია, მაგრამ პირველ რიგში იგი ბიზნესმენია. დიდი ფული კი, მეგობრობას არ ცნობს.

არქტიკა – მსოფლიო ეკონომიკის გიგანტთა საჯილდაო ქვა

შეერთებული შტატების ზემოთ ნახსენები ლოგიკა მთლად გაუგებარი ნამდვილად არ ჩანს. მსოფლიო რუკაზე თვალის შევლებით აშშ-ს, კანადასა და გრენლანდიას საერთო მართლაც აქვთ – არქტიკა. წარმოვიდგინოთ,რა მასშტაბის სახელმწიფოს მივიღებთ მათი გამთლიანებით. რა გასაკვირია, რომ შტატები რუსეთთან არქტიკულ სივრცეებზე კონტროლის მხრივ გავლენების გეოგრაფიის ზრდაზე ფიქრობს.

არქტიკა დედამიწის ჩრდილოეთში მდებარე პოლარული ნაწილია, რომლის ფართობი 21 მილიონ კვ.კმ-ია. იგი ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტების განაპირა ტერიტორიებთან ერთად, სრულ ჩრდილოყინულოვან ოკეანეს და ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების მიმდებარე ნაწილებს მოიცავს. ამჟამად არქტიკულ სახელმწიფოებად ითვლებიან რუსეთი, კანადა, აშშ, ნორვეგია, დანია, ისლანდია, შვედეთი და ფინეთი. ყველა ისინი არქტიკული საბჭოს წევრები არიან.

არქტიკისადმი ინტერესმა მას შემდეგ იმატა, რაც კლიმატის გლობალური ცვლილებების შედეგად აქაური წყლები უფრო ხელსაყრელი გახდა გადაზიდვებისა და ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვების მიზნით. გაეროს 1982 წლის კონვენციით არქტიკულ ქვეყნებს აქვთ ექსკლუზიური უფლება აწარმოონ მოპოვებითი სამუშაოები საკუთარ ეკონომიკურ ზონასა და საერთო კონტინენტურ შელფზე. საქმე ის გახლავთ, რომ არავის აღარ შეიძლება ჰქონდეს შელფსგარე ზონაზე სუვერენიტეტის პრეტენზია – იგი ღია ზღვადაა მიჩნეული, სადაც საერთაშორისო სამართლის მიხედვით ნებისმიერი ქვეყნის გემს შეუძლია თავისუფლად გადაადგილება, იქ თევზჭერა და სამეცნიერო კვლევების ჩატარება.

„ყინულის დნობითა და ახალი ოკეანის წარმოქმნით, აუცილებლად გამოჩნდება არქტიკის გავლით უმოკლესი ახალი საზღვაო მარშრუტების წარმოქმნის შესაძლებლობა", – ამბობს ლაპლანდიის უნივერსიტეტის არქტიკული ცენტრის დირექტორი ტიმო კოივუროვა (Timo Koivurova).

ამ პროგნოზში ფინელი ექსპერტი მხოლოდ რუსეთის ჩრდილოეთით მდებარე ზღვებზე გამავალ „ჩრდილო საზღვაო გზას" არ გულისხმობს. მისი შეფასებით, 2040 წლისთვის ყინულოვან ოკეანეში აუცილებლად გაჩნდება უშუალოდ ჩრდილო პოლუსზე გამავალი ახალი საზაფხულო მარშრუტები. მათზე ტურისტული თვალსაზრისითაც დიდი მოთხოვნა წარმოიშობა და სამეცნიერო-კვლევითი კუთხითაც.

ბოლოს,არქტიკის ეკონომიკურ შტრიხებზეც ვთქვათ. მსოფლიო არქტიკის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 360 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც მასში შემავალი ქვეყნების ჯამური მშპ-ის 1,2%-ია. ქვეყნების მშპ-ებში არქტიკის წვლილის მიხედვით ასეთი მდგომარეობა გვაქვს: ფინეთი და რუსეთი – 10-10%, ნორვეგია – 6%, შვედეთი – 5%, დანია – 2%, აშშ და კანადა – 1-1%. კვლევის ავტორებმა ამ ჩამონათვალში არ შეიტანეს ისლანდია, რადგან იგი მთელი მისი ტერიტორიით არქტიკაში მდებარეობს და გასამხოლოებელიც არაფერი აქვს.

არქტიკას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სასარგებლო წიაღისეულის, მათ შორის ნავთობისა

და გაზის მოპოვების მხრივ (მასზე ბუნებრივი აირის მსოფლიო მოპოვების 15% და ნავთობის 2% მოდის). ნორვეგიის მიერ მოპოვებული ნავთობის 15% არქტიკულია, რუსეთისა – 10%, ხოლო აშშ-ის – 4%. რუსეთისთვის მთლიანი აირმოპოვების 83% არქტიკაზე მოდის, ნორვეგიისთვის კი – 35%.

ეს არის მოპოვება. მარაგს რაც შეეხება, აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის შეფასებით, არქტიკაში ნავთობისა და გაზის ჯერაც დაუზვერავი მარაგის 22 პროცენტია. კონკრეტულად კი – ნავთობის 13% (90 მილიარდი ბარელი), ბუნებრივი აირის – 30% (48,3 ტრილიონი მ3) და აირკონდენსატის 20% (44 მილიარდი ბარელი).

კრიტიკულად მნიშვნელოვანი მინერალებიც საკმაოდაა არქტიკაში წარმოდგენილი, ისეთები როგორიცაა ლითიუმი, კობალტი, ტელური, გალიუმი და თუთია. აშშ-ის სადაზვერვო ნაციონალური საბჭოს მონაცემებით, ჯერ კიდევ არავის საკუთრებაში მყოფი 1 ტრილიონი დოლარის საფასურის რესურსებია აქ. ამ სიმდიდრის მხოლოდ 16% მდებარეობს არქტიკულ სახელმწიფოთა ხმელეთზე, დანარჩენი კი კონტინენტურ შელფზეა (ე.ი. ზღვის ან ოკეანის ფსკერზე).

აღსანიშნია ისიც, რომ რუსეთი სულ მოპოვებული ოქროს 23%-ს სწორედ არქტიკული საბადოებიდან იღებს. გვერდს ვერ ავუვლით თევზჭერითა და ტურიზმით მიღებულ შემოსავლებს. აშშ-ში ჯამური თევზჭერის 60% ალასკაზე ხდება. ისლანდიის მიერ თევზწარმოების ექსპორტით მიღებული წლიური ბრუნვაა 5,5 მილიარდი დოლარი, ფარერის კუნძულების – 1,8 მილიარდი, გრენლანდიის – 770 მილიონი. არქტიკაში ტურისტული ნაკადის წლიური მაჩვენებელი 10-11 მილიონი ადამიანია. კვლევებით დგინდება, რომ ძირითადი ნაკადი კრუიზულ ტურიზმზე მოდის, სადაც ალასკა და ისლანდია ლიდერობენ.

შეჯამებისთვის გავიხსენოთ, რომ დონალდ ტრამპი ყინულოვან კუნძულზე აშშ-ის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროსაც აცხადებდა პრეტენზიას. მცდელობის გამეორებით, იგი გლობალიზაციის ეპოქის დასასრულს და ტერიტორიებისა და რესურსების „დაპყრობის“ ეპოქისკენ უკან მიბრუნების იდეას აღვივებს. ძალიან შორს რომ არ გავიხედოთ, ამერიკის კონტინენტზე მყოფი ქვეყნები ხომ XIX საუკუნის ბოლომდე მხოლოდ კონტინენტური მასშტაბით ფართოვდებოდნენ. ამ წესრიგის დარღვევა აშშ-მა მაშინ ითავა,როცა საკუთარი გავლენის ევროპასა და აზიაზე გავრცელება მოინდომა. არადა, ჩრდილოეთ ამერიკაში მიმდინარე მოვლენები „მისდაუნებურად“ დაკარგა თვალთახედვის არიდან.

ფრიდონ კერვალიშვილი

აშშ-ში ინფლაცია მატულობს

ამერიკის შეერთებულ შტატებში წლიური ინფლაციის დონე 2.4%-იან ნიშნულამდე გაიზარდა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.1 პროცენტული პუნქტით მეტია, თუმცა ეს ანალიტიკოსების პროგნოზზე უკეთესი მაჩვენებელია.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას (CPI), რომელიც სურსათისა და ენერგორესურსების ხარჯებს არ ითვალისწინებს, აღნიშნული მაჩვენებელი წლიურ ჭრილში 2.8%-იან ნიშნულზეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით დაჩქარებულია.

ინფლაციის დაჩქარება, სავარაუდოდ, პრეზიდენტ ტრამპის სატარიფო პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, რადგან აშშ-ში თითქმის ყველა სახის იმპორტირებული პროდუქცია გაძვირებულია, ეს კი ინფლაციის დონეზე ზეწოლას ზრდის.

აშშ და ჩინეთი ექსპორტზე კონტროლის შემსუბუქების გეგმაზე შეთანხმდნენ

აშშ და ჩინეთი აცხადებენ, რომ მიაღწიეს შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ომის დეესკალაციისთვის საჭირო ქმედებების მთავარ პრინციპებზე. კერძოდ, როგორც ამერიკული მედია წერს, ამერიკელი და ჩინელი მომლაპარაკებლები შეთანხმდნენ ჩარჩო პრინციპებზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მოლაპარაკებების წინა რაუნდისა და ორი ქვეყნის ლიდერებს შორის გასულ კვირას გამართული სატელეფონო საუბრის შედეგად მიღწეული კონსენსუსი.

აშშ-ის ვაჭრობის მდივანმა ჰოვარდ ლუტნიკმა ლონდონში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ორივე მხარის ოფიციალური პირები წინადადებას დასამტკიცებლად თავიანთ ლიდერებს – დონალდ ტრამპსა და სი ძინპინს წარუდგენენ. *„თუ ეს დამტკიცდება, ჩვენ ჩარჩოს ამოქმედებას შევძლებთ“,* – თქვა მან.

მიუხედავად იმისა, რომ არცერთმა მხარემ არ გაამხილა შეთანხმების დეტალები, ლუტნიკმა მიანიშნა, რომ ორივე მხარე შეთანხმდა, რომ გააუქმებენ ექსპორტის კონტროლს იმ საქონელსა და ტექნოლოგიებზე, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მეორისთვის. ამასთან, „როიტერსის“ ცნობით, ლუტნიკმა განაცხადა, რომ ჩინეთის მიერ იშვიათი მინერალების აშშ-ში ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები მოიხსნება. აღსანიშნავია, რომ ჩინეთმა იშვიათი მინერალების მიწოდება აპრილში, დონალდ ტრამპის მიერ წამოწყებული სავაჭრო ომის საპასუხოდ შეწყვიტა. ამან შეაფერხა მომარაგება, რომელიც სჭირდებათ ავტომწარმოებლებს, კომპიუტერული ჩიპების მწარმოებლებს და სამხედრო კონტრაქტორებს მთელ მსოფლიოში.

პარალელურად, ვაშინგტონმა ჩინეთს შეუზღუდა წვდომა ისეთ საქონელზე, როგორიცაა ნახევარგამტარები და ხელოვნურ ინტელექტთან (AI) დაკავშირებული სხვა ტექნოლოგიები.

NVIDIA სომხეთში $500-მილიონიან AI-ქარხანას ააშენებს

სომხეთის მთავრობამ ქვეყნის არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური ტექნოლოგიური პროექტი წამოიწყო, რაც ხელოვნური ინტელექტის ქარხნის მშენებლობას უკავშირდება, რომლის საინვესტიციო ღირებულება 500 მილიონ დოლარს აჭარბებს.

პროექტში პარტნიორებად ერთვებიან: სომხეთის მთავრობა, პლანეტის უმსხვილესი AI-კომპანია – NVIDIA, საინვესტიციო ჰოლდინგი Firebird-ი და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მიმწოდებელი Team Group-ი.

პროექტის საფუძველს ახალი თაობის AI-ქარხნის გახსნა წარმოადგენს, რომელიც აღიჭურვება ათასობით NVIDIA Blackwell GPU-ით, რაც სომხეთში პირველ მაღალი სიმძლავრის მონაცემთა ცენტრს შექმნის, რომლის ელექტრო სიმძლავრე 100 მეგავატს გადააჭარბებს.

ამ პროექტის წყალობით, სომხეთი კავკასიის რეგიონში უდიდეს AI-ცენტრს მიიღებს, რომელსაც პლანეტის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიის მხარდაჭერა ექნება, რაც საერთაშორისო ინვესტორებისათვის განსაკუთრებით პოზიტიურ სიგნალს წარმოადგენს.

ახალი AI-ქარხანა სომხეთის ტექნოლოგიურ განათლებას და მეცნიერების განვითარებასაც ემსახურება. დაგეგმილია მაღალი დონის კვლევითი პროექტების, სასწავლო ცენტრებისა და ტექნოლოგიური ინკუბატორების შექმნა.

Nvidia-ს დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი, ჯენსენ ჰუანგი, რომელიც პირადად არის ჩართული პროექტში, ასე აფასებს ინიციატივას:

„AI-ქარხნები 21-ე საუკუნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის მომავალს წარმოადგენენ. ვამაყობთ, რომ ვთანამშრომლობთ სომხეთთან ამ ძალზე მნიშვნელოვან გზაზე და დარწმუნებულები ვართ, რომ რეგიონში AI-ის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვისთვის ძლიერ ფუნდამენტს ვქმნით“, – აცხადებს ჯენსენ ჰუანგი, რომლის ქონების შეფასება $125 მილიარდს შეადგენს.

პროექტის განხორციელება 2026 წელს იგეგმება. მის ფინანსურ საკითხს რაც შეეხება, ინვესტიციის უდიდეს ნაწილს Firebird-ის და Team Group-ის ინვესტორები ჩადებენ, Nvidia კი ტექნოლოგიური პარტნიორის როლს შეასრულებს, რომელიც ქარხანას საჭირო მოწყობილობებითა და პროგრამული უზრუნველყოფით მოამარაგებს.

Nvidia-ს საბაზრო კაპიტალიზაცია 3 ტრილიონ 500 მილიარდ დოლარს შეადგენს და ის პლანეტის რიგით მეორე უმსხვილესი კომპანიაა.

ცნობილია, რომ Nvidia-ს ვიცე-პრეზიდენტი და ერთ-ერთი მსხვილი აქციონერი რევ ლებარედიანია, რომელიც წარმოშობით სომეხია და სწორედ ის არის ამ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

რუსეთში საბანკო კრიზისს პროგნოზირებენ

რუსეთში სისტემური საბანკო კრიზისის ალბათობა იზრდება, – ამის შესახებ გაფრთხილებას კრემლთან დაახლოებული მაკროეკონომიკური ანალიზისა და მოკლევადიანი პროგნოზირების ცენტრი იძლევა, რასაც The Moscow Times ავრცელებს.

ცენტრის ანალიტიკოსები ასეთ კრიზისად სამი პირობიდან სულ მცირე ერთის აღსრულებას აღიქვამენ. კერძოდ, პრობლემური აქტივების წილი საბანკო სისტემის აქტივების 10%-ს აღემატება; „ბანკებიდან გაქცევა“, როცა კლიენტებსა და დეპოზიტარებს თავიანთი ანგარიშებიდან სახსრების მნიშვნელოვან წილი გააქვთ; და ბანკების მნიშვნელოვანი ნაწილის, ანუ 10%-ზე მეტის იძულებითი რეორგანიზაცია ან ბანკების მასშტაბური, ანუ მშპ-ის 2%-ზე მეტი ოდენობით რეკაპიტალიზაცია კოლაფსის თავიდან ასაცილებლად.

ექსპერტები მიმდინარე სიტუაციას რამდენიმე ნეგატიური სიგნალისა და ტენდენციის რეზონანსს უწოდებენ, რომლებიც მაკროფინანსური რისკების ზრდაზე მიუთითებს. ეს არის ბანკებში პრობლემური და უიმედო ვალების ზრდა; ბოლოდროინდელი სიგნალი „დეპოზიტარების გაქცევის“ მაღალ რისკზე; სიგნალების გაძლიერება სისტემური საბანკო კრიზისის გაჭიანურების რისკებზე; ასევე, რუსეთის ეკონომიკაში რეცესიის წარმოშობასა და შემდგომ გახანგრძლივებაზე. მართალია, ეს სიგნალები ჯერ სუსტია და რისკები კვლავ დაბალ დონეზე ფასდება, მაგრამ ისინი ნელა, თუმცა სტაბილურად იზრდება. ცენტრი ამას, ძირითადად, რუსეთში მკაცრ მონეტარულ პოლიტიკასა და გლობალურ ბაზრებზე არასტაბილურობას უკავშირებს.

ანალიტიკოსების შეფასებით, ცენტრალური ბანკიც კი აღიარებს, რომ მკაცრი პოლიტიკა აუარესებს რუსული კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას და კორპორატიული სესხების პორტფელის ხარისხს ამცირებს, ხოლო საცალო სესხების შეზღუდვის ზომები, მაღალ განაკვეთებთან ერთად, მოსახლეობაში უიმედო ვალის წილის ზრდას იწვევს. ძველი სესხები ფუჭდება და ახალი სესხები ნაკლები გაიცემა.

ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მარტსა და აპრილის დასაწყისში 2.3 ტრლნ რუბლის (29.3 მლრდ დოლარის) რესტრუქტურიზაციის ბუმი დააფიქსირა. მასობრივი გაკოტრებების თავიდან ასაცილებლად ცენტრალურმა ბანკმა ახლახან ბანკებს სთხოვა, რესტრუქტურიზაციის განაცხადები წლის ბოლომდე შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინათ. სანაცვლოდ მათთან 2024 წლის ივლისიდან რესტრუქტურიზებული სესხების დაჯავშნის საკითხში დათმობებზე წავიდა.

სარეიტინგო სააგენტო ACRA-ს მონაცემებით, წელს საბანკო სისტემის კაპიტალის 20%-ის, ანუ 3.7 ტრლნ რუბლის (47.2 მლრდ დოლარის) ოდენობის სესხები შესაძლოა, პრობლემური გახდეს. აპრილის ბოლოს ბანკების ბალანსზე 5.2 ტრლნ რუბლის (66.3 მლრდ დოლარის) პრობლემური ვალი დაფიქსირდა, საიდანაც 3.2 ტრილიონი

რუბლი (40.7 მლრდ დოლარი) კორპორატიული, ხოლო 2 ტრლნ რუბლი (25.4 მლრდ დოლარი) საცალო ვაჭრობის ვალია. ეს ჯამში 5%-ზე ნაკლებია საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების, რამაც მაისის დასაწყისისთვის, თითქმის, 200 ტრლნ რუბლი (2.5 ტრლნ დოლარი) შეადგინა.

ყაზახეთში პირველ ატომურ ელექტროსადგურს რუსული „როსატომი“ ააშენებს

რუსეთის სახელმწიფო ატომური კორპორაცია „როსატომი“ ყაზახეთში პირველი ატომური ელექტროსადგურის ასაშენებლად საერთაშორისო კონსორციუმის ხელმძღვანელად შეირჩა. როგორც Reuters წერს, ამის შესახებ შაბათს, ცენტრალური აზიის ქვეყნის ატომური ენერგიის სააგენტომ განაცხადა.

„როსატომი“ გლობალური მასშტაბის მთავარი პრეტენდენტებიდან შეირჩა. სხვა წინადადებები წარდგენილი იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩინეთის ეროვნული ბირთვული კორპორაციის, ასევე ფრანგული და სამხრეთ კორეული კომპანიებისგან.

ყაზახეთის ატომური ენერგიის სააგენტომ, რომელიც ამ წლის მარტში შეიქმნა, განაცხადა, რომ განიხილა რეაქტორის ტექნოლოგიების სხვადასხვა წინადადება და შეაფასა ისინი ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოების, პერსონალის მომზადებისა და სხვა კრიტერიუმების საფუძველზე.

სააგენტომ *„დაადგინა, რომ ყაზახეთში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის ყველაზე ოპტიმალური და ხელსაყრელი წინადადებები რუსული კომპანია „როსატომისგან“ იყო მიღებული“,* – ნათქვამია განცხადებაში.

„ჩვენ მივესალმებით ყაზახეთის გადაწყვეტილებას ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის დაწყების შესახებ“, – განაცხადა „როსატომის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსეი ლიხაჩოვმა კომპანიის ტელეგრამ არხზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ცნობილი არ არის, კიდევ რომელი კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას „როსატომის“ ხელმძღვანელობით კონსორციუმში, არც „როსატომის“ წინადადების ღირებულება და ვადები.

ლიხაჩევის თქმით, ელექტროსადგური გამოიყენებს VVER-1200 3+ თაობის რეაქტორებს, ტექნოლოგიას, რომელიც შემუშავებულია რუსეთში და გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ორრეაქტორიანი ელექტროსადგური აშენდება სოფელ ულკენში, ალმატიდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 400 კმ-ში. ყაზახეთი 2035 წლისთვის 2.4 გიგავატი ბირთვული სიმძლავრის ფლობას გეგმავს.

გერმანია უკრაინას €1.9 მილიარდს გამოუყოფს

როგორც გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, ბორის პისტორიუსმა კიევში ვიზიტისას განაცხადა, გერმანიის მთავრობა უკრაინისთვის დამატებით €1.9 მილიარდი ევროს, ანუ დაახლოებით $2.2 მილიარდის სამხედრო დახმარების გამოყოფას გეგმავს, მაგრამ ამისთვის ფრიდრიხ მერცის მთავრობას პარლამენტის დასტური დასჭირდება. სამხედრო დახმარების ჭრილში, უკრაინა გერმანიისგან IRIS-T-ის ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემებს მიიღებს, მაგრამ Taurus-ის ტიპის შორ მანძილზე სასროლ რაკეტებს კიევი ამ ტრანშის ფარგლებში აღარ მიიღებს.

როგორც ცნობილია, კანცლერმა მერცმა უკრაინას შორ მანძილზე სასროლი იარაღის წარმოების და რუსეთის ტერიტორიაზე იერიშების მიტანის უფლება მისცა. შესაბამისად, უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დაფინანსების ახალი პაკეტის ნაწილი შორმანძილიანი შეიარაღებას მაინც ითვალისწინებს, მაგრამ არა იმდენად მზა იარაღის მიწოდებას, როგორც ადრე, არამედ ადგილობრივი წარმოების დაფინანსებას. თუკი გერმანიის პარლამენტი სამხედრო დახმარების ამ პაკეტს დაადასტურებს, გამოვა, რომ წელს გერმანიის მხრიდან უკრაინის დაფინანსება €9 მილიარდამდე გაიზრდება.

უკრაინისთვის სამხედრო დახმარების მიმწოდებელ ქვეყნებს შორის გერმანია მეორე ადგილს იკავებს და მას მხოლოდ ამერიკა უსწრებს. Kiel Institute-ის მონაცემებით, მიმდინარე წლის თებერვლის ბოლომდე ევროპამ ჯამში 64 მილიარდ ევრო გამოყო უკრაინის დასახმარებლად, ანუ მხოლოდ ერთი მილიარდით ნაკლები, ვიდრე ამერიკამ. ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარების ჩათვლით კი, ევროპის მხარდაჭერა ამერიკულს დაახლოებით €23 მილიარდით აჭარბებს.

იაპონიის ეკონომიკა შემცირდა

იაპონიის სტატისტიკის ეროვნული სამსახური მიმდინარე მონაცემებს ასაჯაროებს – წლის პირველ კვარტალში ქვეყნის ეკონომიკის მოცულობა წლიურად 0.2%-ით შემცირდა, რაც წინასწარ პროგნოზირებულზე უკეთესი შედეგია, რადგან წინასწარი გათვლებით კლება 0.7% უნდა ყოფილიყო.

მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, ძირითადად, კერძო სექტორის ბრუნვის შემცირება, ექსპორტის კლება, ეროვნული ვალუტის მერყეობა და ეკონომიკური აქტივობის შენელება განაპირობებს.

ექსპერტების შეფასებით, იაპონიის ეკონომიკა რეცესიის სერიოზული რისკის წინაშე დგას, რომლის დასაძლევად ქვეყნის მთავრობამ და ცენტრალურმა ბანკმა ერთიანი ძალებით უნდა იმოქმედონ.

უცხოური ვალუტის კურსები

მაისის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3,0976** ლარი

ვალუტა	მაისი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1,5972	1,5922	1,5921	1,5921	1,5921	1,5934	1,5904	1,5963	1,5857	1,5857	1,5857	1,5857	1,5857	1,5577	1,5760
10 დანიური კრონი	4,1849	4,1729	4,1732	4,1732	4,1732	4,1765	4,1684	4,1841	4,1568	4,1568	4,1568	4,1568	4,1568	4,0838	4,1317
1 ევრო	3,1239	3,1143	3,1138	3,1138	3,1138	3,1167	3,1105	3,1219	3,1012	3,1012	3,1012	3,1012	3,1012	3,0464	3,0822
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6732	3,6648	3,6525	3,6525	3,6525	3,6566	3,6643	3,6668	3,6495	3,6495	3,6495	3,6495	3,6495	3,6243	3,6608
100 ისლანდიური კრონი	2,1411	2,1379	2,1282	2,1282	2,1282	2,1303	2,1202	2,1340	2,1167	2,1167	2,1167	2,1167	2,1167	2,0794	2,1240
100 სერბიული დინარი	2,6648	2,6565	2,6561	2,6561	2,6561	2,6584	2,6529	2,6629	2,6450	2,6450	2,6450	2,6450	2,6450	2,5986	2,6286
10 ნორვეგიული კრონი	2,6521	2,6385	2,6477	2,6477	2,6477	2,6494	2,6476	2,6732	2,6547	2,6547	2,6547	2,6547	2,6547	2,6344	2,6657
10 პოლონური ზლოტი	7,3084	7,2654	7,2888	7,2888	7,2888	7,2843	7,2686	7,2955	7,2631	7,2631	7,2631	7,2631	7,2631	7,1692	7,2595
10 რუმინული ლეი	6,2750	6,2557	6,2548	6,2548	6,2548	6,2597	6,1470	6,1211	6,0526	6,0526	6,0526	6,0526	6,0526	5,9694	6,0386
100 უნგრული ფორინტი	0,7722	0,7707	0,7703	0,7703	0,7703	0,7706	0,7682	0,7727	0,7644	0,7644	0,7644	0,7644	0,7644	0,7526	0,7629
10 შვედური კრონი	2,8493	2,8300	2,8421	2,8421	2,8421	2,8507	2,8505	2,8651	2,8376	2,8376	2,8376	2,8376	2,8376	2,8161	2,8393
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3336	3,3261	3,3313	3,3313	3,3313	3,3382	3,3293	3,3334	3,3260	3,3260	3,3260	3,3260	3,3260	3,2593	3,2873
10 ჩეხური კრონა	1,2543	1,2500	1,2506	1,2506	1,2506	1,2515	1,2458	1,2520	1,2437	1,2437	1,2437	1,2437	1,2437	1,2216	1,2371
1 აშშ დოლარი	2,7492	2,7487	2,7483	2,7483	2,7483	2,7477	2,7473	2,7467	2,7456	2,7456	2,7456	2,7456	2,7456	2,7440	2,7436
1 კანადური დოლარი	1,9877	1,9895	1,9879	1,9879	1,9879	1,9917	1,9876	1,9912	1,9791	1,9791	1,9791	1,9791	1,9791	1,9621	1,9704
1 ავსტრალიური დოლარი	1,7581	1,7561	1,7669	1,7669	1,7669	1,7819	1,7723	1,7782	1,7632	1,7632	1,7632	1,7632	1,7632	1,7600	1,7773
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5410	0,5410	0,5411	0,5411	0,5411	0,5422	0,5423	0,5423	0,5423	0,5423	0,5423	0,5423	0,5423	0,5438	0,5443
1 თურქული ლირა	0,0714	0,0715	0,0713	0,0713	0,0713	0,0712	0,0711	0,0711	0,0711	0,0711	0,0711	0,0711	0,0711	0,0707	0,0708
100 იაპონური იენი	1,9221	1,9050	1,8985	1,8985	1,8985	1,9095	1,9186	1,9174	1,8972	1,8972	1,8972	1,8972	1,8972	1,8529	1,8805
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,4849	7,4835	7,4824	7,4824	7,4824	7,4808	7,4797	7,4781	7,4751	7,4751	7,4751	7,4751	7,4751	7,4707	7,4696
10000 ირანული რიალი	0,6546	0,6545	0,6544	0,6544	0,6544	0,6542	0,6541	0,6540	0,6537	0,6537	0,6537	0,6537	0,6537	0,6533	0,6532
10 ისრაელის შეკელი	7,5681	7,5958	7,6145	7,6145	7,6145	7,5979	7,6039	7,6589	7,6744	7,6744	7,6744	7,6744	7,6744	7,6749	7,7087
1 სინგაპურული დოლარი	2,1051	2,1010	2,1195	2,1195	2,1195	2,1317	2,1295	2,1277	2,1179	2,1179	2,1179	2,1179	2,1179	2,1033	2,1153
1 ქუვეითური დინარი	8,9726	8,9622	8,9609	8,9609	8,9609	8,9648	8,9605	8,9586	8,9550	8,9550	8,9550	8,9550	8,9550	8,9207	8,9281
10 ჩინური იუანი	3,7841	3,7802	3,7797	3,7797	3,7797	3,7788	3,8063	3,8015	3,7935	3,7935	3,7935	3,7935	3,7935	3,8109	3,8082
10 ჰონკონგური დოლარი	3,5450	3,5440	3,5460	3,5460	3,5460	3,5454	3,5449	3,5394	3,5326	3,5326	3,5326	3,5326	3,5326	3,5207	3,5157
100 ინდური რუპია	3,2538	3,2532	3,2507	3,2507	3,2507	3,2610	3,2537	3,2378	3,2030	3,2030	3,2030	3,2030	3,2030	3,2153	3,2173
1 ახალზელანდიური დოლარი	1,6281	1,6286	1,6314	1,6314	1,6314	1,6434	1,6412	1,6447	1,6290	1,6290	1,6290	1,6290	1,6290	1,6181	1,6335
100 რუსული რუბლი	3,3738	3,3598	3,3149	3,3149	3,3149	3,4048	3,4055	3,3965	3,3356	3,3356	3,3356	3,3356	3,3356	3,4087	3,4190
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6168	1,6165	1,6160	1,6160	1,6160	1,6163	1,6157	1,6153	1,6147	1,6147	1,6147	1,6147	1,6147	1,6137	1,6135
1 ბელარუსული რუბლი	0,9010	0,9077	0,9076	0,9076	0,9076	0,9037	0,9059	0,9117	0,9133	0,9133	0,9133	0,9133	0,9133	0,9144	0,9122
10 თურქმენული მანათი	7,8549	7,8534	7,8523	7,8523	7,8523	7,8506	7,8494	7,8477	7,8446	7,8446	7,8446	7,8446	7,8446	7,8400	7,8389
10 მოლდოვური ლეი	1,5970	1,6085	1,5955	1,5955	1,5955	1,5987	1,5994	1,5992	1,5960	1,5960	1,5960	1,5960	1,5960	1,5721	1,5729
1000 სომხური დრამი	7,0357	7,0566	7,0469	7,0469	7,0469	7,0544	7,0485	7,0419	7,0463	7,0463	7,0463	7,0463	7,0463	7,0687	7,0792
10 ტაჯიკური სომონი	2,5936	2,5980	2,5905	2,5905	2,5905	2,5900	2,5896	2,6373	2,6083	2,6083	2,6083	2,6083	2,6083	2,6068	2,6064
1000 უზბეკური სუმი	0,2127	0,2129	0,2127	0,2127	0,2127	0,2128	0,2125	0,2127	0,2131	0,2131	0,2131	0,2131	0,2131	0,2121	0,2115
10 უკრაინული გრივნა	0,6623	0,6599	0,6582	0,6582	0,6582	0,6607	0,6627	0,6629	0,6609	0,6609	0,6609	0,6609	0,6609	0,6617	0,6603
100 ყაზახური ტენგე	0,5358	0,5342	0,5323	0,5323	0,5323	0,5311	0,5342	0,5335	0,5316	0,5316	0,5316	0,5316	0,5316	0,5398	0,5404
100 ყირგიზული სომი	3,1489	3,1436	3,1463	3,1463	3,1463	3,1456	3,1452	3,1432	3,1441	3,1441	3,1441	3,1441	3,1441	3,1423	3,1418
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,4769	1,4736	1,4935	1,4935	1,4935	1,5004	1,5041	1,5017	1,5081	1,5081	1,5081	1,5081	1,5081	1,4990	1,5047
1 ბრაზილიური რიალი	0,4891	0,4845	0,4844	0,4844	0,4844	0,4857	0,4830	0,4807	0,4779	0,4779	0,4779	0,4779	0,4779	0,4835	0,4892
10 კატარული რიალი	7,5416	7,5406	7,5395	7,5395	7,5395	7,5383	7,5372	7,5345	7,5317	7,5317	7,5317	7,5317	7,5317	7,5271	7,5264
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9342	1,9263	1,9643	1,9643	1,9643	2,0023	1,9831	1,9719	1,9613	1,9613	1,9613	1,9613	1,9613	1,9279	1,9665

უცხოური ვალუტის კურსები

მაისის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,7424** ლარი.

ვალუტა	მაისი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1,5714	1,5694	1,5694	1,5694	1,5795	1,5761	1,5897	1,5812	1,5879	1,5879	1,5879	1,5879	1,5873	1,5842	1,5779	1,5834
10 დანიური კრონი	4,1196	4,1133	4,1133	4,1133	4,1413	4,1309	4,1684	4,1454	4,1643	4,1643	4,1643	4,1643	4,1626	4,1551	4,1376	4,1518
1 ევრო	3,0732	3,0686	3,0686	3,0686	3,0898	3,0815	3,1090	3,0924	3,1061	3,1061	3,1061	3,1061	3,1042	3,0984	3,0861	3,0969
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6467	3,6432	3,6432	3,6432	3,6702	3,6605	3,6772	3,6682	3,6955	3,6955	3,6955	3,6955	3,7036	3,6927	3,6838	3,6846
100 ისლანდიური კრონი	2,1210	2,1032	2,1032	2,1032	2,1176	2,1148	2,1501	2,1385	2,1423	2,1423	2,1423	2,1423	2,1558	2,1545	2,1401	2,1475
100 სერბიული დინარი	2,6211	2,6173	2,6173	2,6173	2,6348	2,6277	2,6519	2,6372	2,6492	2,6492	2,6492	2,6492	2,6479	2,6429	2,6330	2,6417
10 ნორვეგიული კრონი	2,6329	2,6362	2,6362	2,6362	2,6581	2,6621	2,6987	2,6832	2,7063	2,7063	2,7063	2,7063	2,7005	2,6978	2,6864	2,6882
10 პოლონური ზლოტი	7,2492	7,2257	7,2257	7,2257	7,2313	7,2595	7,3191	7,2848	7,3040	7,3040	7,3040	7,3040	7,3059	7,2942	7,2796	7,2827
10 რუმინული ლეი	6,0193	6,0135	6,0135	6,0135	6,1391	6,0615	6,1303	6,1101	6,1460	6,1460	6,1460	6,1460	6,1339	6,1303	6,1000	6,1183
100 უნგრული ფორინტი	0,7620	0,7613	0,7613	0,7613	0,7673	0,7656	0,7727	0,7671	0,7713	0,7713	0,7713	0,7713	0,7678	0,7683	0,7632	0,7673
10 შვედური კრონი	2,8194	2,8059	2,8059	2,8059	2,8273	2,8315	2,8642	2,8475	2,8695	2,8695	2,8695	2,8695	2,8604	2,8498	2,8387	2,8507
1 შვეიცარიული ფრანკი	3,2746	3,2750	3,2750	3,2750	3,2912	3,2871	3,3265	3,3115	3,3135	3,3135	3,3135	3,3135	3,3096	3,3050	3,3038	3,3160
10 ჩეხური კრონა	1,2334	1,2313	1,2313	1,2313	1,2404	1,2366	1,2494	1,2411	1,2488	1,2488	1,2488	1,2488	1,2460	1,2434	1,2379	1,2433
1 აშშ დოლარი	2,7425	2,7415	2,7415	2,7415	2,7406	2,7401	2,7397	2,7383	2,7376	2,7376	2,7376	2,7376	2,7357	2,7349	2,7342	2,7334
1 კანადური დოლარი	1,9612	1,9640	1,9640	1,9640	1,9644	1,9647	1,9737	1,9730	1,9828	1,9828	1,9828	1,9828	1,9882	1,9795	1,9780	1,9789
1 ავსტრალიური დოლარი	1,7582	1,7598	1,7598	1,7598	1,7660	1,7572	1,7660	1,7574	1,7690	1,7690	1,7690	1,7690	1,7643	1,7618	1,7616	1,7559
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5469	0,5469	0,5469	0,5469	0,5475	0,5493	0,5493	0,5488	0,5486	0,5486	0,5486	0,5486	0,5495	0,5492	0,5498	0,5497
1 თურქული ლირა	0,0709	0,0706	0,0706	0,0706	0,0706	0,0705	0,0706	0,0704	0,0701	0,0701	0,0701	0,0701	0,0701	0,0700	0,0699	0,0697
100 იაპონური იენი	1,8797	1,8837	1,8837	1,8837	1,8925	1,8959	1,9075	1,9060	1,9097	1,9097	1,9097	1,9097	1,8983	1,8961	1,8860	1,8995
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,4666	7,4639	7,4639	7,4639	7,4615	7,4603	7,4590	7,4552	7,4533	7,4533	7,4533	7,4533	7,4481	7,4462	7,4443	7,4419
10000 ირანული რიალი	0,6530	0,6527	0,6527	0,6527	0,6525	0,6524	0,6523	0,6520	0,6518	0,6518	0,6518	0,6518	0,6514	0,6512	0,6510	0,6508
10 ისრაელის შეკელი	7,7513	7,7249	7,7249	7,7249	7,7267	7,7696	7,7149	7,6461	7,6066	7,6066	7,6066	7,6066	7,7496	7,7176	7,7846	7,7835
1 სინგაპურული დოლარი	2,1122	2,1113	2,1113	2,1113	2,1181	2,1141	2,1256	2,1191	2,1288	2,1288	2,1288	2,1288	2,1248	2,1232	2,1202	2,1176
1 ქუვეითური დინარი	8,9216	8,9183	8,9183	8,9183	8,9212	8,9225	8,9299	8,9225	8,9260	8,9260	8,9260	8,9260	8,9198	8,9085	8,9033	8,9094
10 ჩინური იუანი	3,8043	3,8048	3,8048	3,8048	3,8006	3,7951	3,8040	3,7998	3,8112	3,8112	3,8112	3,8112	3,8021	3,8026	3,8038	3,7995
10 ჰონკონგური დოლარი	3,5122	3,5081	3,5081	3,5081	3,5051	3,5008	3,4996	3,4991	3,4958	3,4958	3,4958	3,4958	3,4903	3,4890	3,4879	3,4855
100 ინდური რუპია	3,2057	3,2057	3,2057	3,2057	3,2090	3,1997	3,1990	3,1839	3,2125	3,2125	3,2125	3,2125	3,2056	3,2039	3,1972	3,1939
1 ახალზელანდიური დოლარი	1,6131	1,6180	1,6180	1,6180	1,6202	1,6191	1,6282	1,6156	1,6302	1,6302	1,6302	1,6302	1,6288	1,6325	1,6326	1,6288
100 რუსული რუბლი	3,4100	3,3973	3,3973	3,3973	3,4109	3,3971	3,4226	3,4391	3,4435	3,4435	3,4435	3,4435	3,4214	3,4347	3,4790	3,4746
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6127	1,6121	1,6121	1,6121	1,6115	1,6118	1,6116	1,6102	1,6098	1,6098	1,6098	1,6098	1,6087	1,6091	1,6078	1,6073
1 ბელარუსული რუბლი	0,9095	0,9108	0,9108	0,9108	0,9095	0,9099	0,9095	0,9117	0,9114	0,9114	0,9114	0,9114	0,9093	0,9063	0,9065	0,9121
10 თურქმენული მანათი	7,8357	7,8329	7,8329	7,8329	7,8303	7,8289	7,8277	7,8237	7,8217	7,8217	7,8217	7,8217	7,8163	7,8140	7,8120	7,8097
10 მოლდოვური ლეი	1,5716	1,5697	1,5697	1,5697	1,5705	1,5726	1,5759	1,5765	1,5756	1,5756	1,5756	1,5756	1,5845	1,5818	1,5761	1,5759
1000 სომხური დრამი	7,0866	7,0920	7,0920	7,0920	7,0989	7,1157	7,1161	7,1114	7,1173	7,1173	7,1173	7,1173	7,0980	7,0944	7,1086	7,1062
10 ტაჯიკური სომონი	2,6344	2,6334	2,6334	2,6334	2,6363	2,6435	2,6431	2,6417	2,5341	2,5341	2,5341	2,5341	2,6329	2,6583	2,6641	2,6790
1000 უზბეკური სუმი	0,2115	0,2115	0,2115	0,2115	0,2122	0,2127	0,2125	0,2122	0,2125	0,2125	0,2125	0,2125	0,2123	0,2123	0,2141	0,2137
10 უკრაინული გრივნა	0,6613	0,6608	0,6608	0,6608	0,6589	0,6599	0,6610	0,6596	0,6595	0,6595	0,6595	0,6595	0,6562	0,6573	0,6582	0,6581
100 ყაზახური ტენგე	0,5370	0,5377	0,5377	0,5377	0,5366	0,5351	0,5369	0,5405	0,5352	0,5352	0,5352	0,5352	0,5344	0,5343	0,5379	0,5347
100 ყირგიზული სომი	3,1406	3,1394	3,1394	3,1394	3,1384	3,1338	3,1333	3,1317	3,1796	3,1796	3,1796	3,1796	3,1774	3,1319	3,1311	3,1301
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5129	1,5188	1,5188	1,5188	1,5180	1,5205	1,5323	1,5190	1,5304	1,5304	1,5304	1,5304	1,5283	1,5305	1,5319	1,5285
1 ბრაზილიური რიალი	0,4864	0,4824	0,4824	0,4824	0,4838	0,4848	0,4834	0,4850	0,4796	0,4796	0,4796	0,4796	0,4826	0,4847	0,4805	0,4823
10 კატარული რიალი	7,5230	7,5215	7,5215	7,5215	7,5186	7,5172	7,5167	7,5129	7,5110	7,5110	7,5110	7,5110	7,5053	7,5027	7,5008	7,4990
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9639	1,9630	1,9630	1,9630	1,9719	1,9642	1,9913	1,9783	1,9999	1,9999	1,9999	1,9999	1,9908	1,9922	1,9897	1,9815